

K 89.996
3

Հ. ՏԱՐԵՎՈՅԱՆ
Հ. ԲՈՂԻՍՅԱՆ



Ֆուտբոլի այլանդ

Խորհրդական աշխարհ




Էջմանյան

796.33
ଓ.গুপ্তস্বামী
বাংলাদেশ প্রকাশনা

১. কুমিল্লা, ২. এম্বিল

K 89.446
3



সাফারি অভ্যন্তরীণ
সাৰ্কুলেশন দ্বাৰা আঞ্চলিক উন্নয়নৰ পথ
সাৰ্কুলেশনৰ পথ
সাৰ্কুলেশনৰ পথ
সাৰ্কুলেশনৰ পথ
সাৰ্কুলেশনৰ পথ



ბ. ძ მ რ ძ ი ა

მსოფლიო პირველობა
ვებგვრიში

თამაში, რომელიც ყველას უჰგარს


ფეხბურთის მოყვარულს დიდი ხანია მობეზრდა ეურნალისტთა დაუსრულებელი იგავები იმის შესახებ, რომ ფეხბურთი დღეს სპორტის ყველაზე პოპულარული სახეობაა მთელს ქვეყანაზე, რომ მის მოტრფიალეთა რიცხვი შევი ველარ ეტევა ვერავითარ სტატისტიკურ ჩარჩოებში და რომ ფეხბურთს თამაშობს თითქმის ყველა — ახლადფეხადგმული ბავშვებიც, რომლებიც თავიანთ პირველ პენალტს ჯერ კიდევ ლოგინში სწავლობენ და მთლად გათეთრებული მოხუცებიც, რომლებიც ჩამტკრეული ფანჯრისათვის კი არ უჯავრდებიან პატარებს, არამედ ინიტოზ, რომ დარტყმა არ იყო ზესტი და მარჯვე. ჯანდაბასაც წაულია ფანჯრაც და ეზოში ახლადგაუნილი სარეცხიც. მთავარია დარტყმა იყოს უშეცლომო და ლამაზი.

ფეხბურთს იქვს განუმეორებელი სილამაზე, ტემპერატურით და მიმზიდველობა, რომელიც ხიბლავს და აჯადოებს ყველას: დიდსაც და პატარასაც, ქალსაც და კაცსაც.

გულშემატკიფარმა ყველაფერი ზედმიწევნით კარგად იცის: ვინ, სად და როგორ თამაშობს, როდის და რა მოხდა — რომელ წუთში და რა ვითარებაში. სტადიონის ტრიბუნების მუდმივი ბინადარნი დაწვრილებით მოგიყებიან სულ მცირე დეტალებსაც კი ნანახი თუ ყურმიკრული საფეხბურთო ბრძოლებიდან. მოგიყებიან მთელი გატაცებით, პოეტურობითა და შელამაზებით.

კიდევ შეტიც. ის გულშემატკიფარი რა გულშემატკიფარია, თუ წინასწარ არ განვიტრიტა მომავალი მატჩის შედეგი და დაბეჯიოებით, ხელების გაცხარებული ქნევით არ დაგიმტკიცათ რამდენიმე დღით აღრე, თუ ვინ ვის მოგებს და რა ანგარიშით.

მაგრამ ერთი რამაა ჯერჯერობით დაუდგენელი და გაურკვევლი ფეხბურთის ისტორიოგრაფთა სამარცხვინოდ. დღემდე არა-



ეინ იცის დანამდვილებით და დასაბუთებულიდ: სად და როგორ წარმოიშვა ეს თამაში, ვინ იყვნენ ის პირები აღამიანები, როგორ ლებაც შორეულ შთამომავლობას ფეხბურთი უანდერძეს.

მსგავსად იმ შეიდი ქალაქისა, რომელიც საუკუნეთა მანძილზე თავდაიწყებამდე დავობდნენ პომერიასის სამშობლო მე ვართ. დღე საც მრავალი ქვეყანა ჩემულობს, პირები ად ჩემი ტერიტორიის მწვანე მინდორზე გაძერეს აურთს ფეხი და სწორედ აქ იშვაო გულ-შემატევივართა საერთაშორისო ესპერანტო: გოლი!

ყოველ მოდეგებს არქიეპის მიუვალი ცხრაკლიტულიდან სათუთად ამიაქვს საუკუნეთა სიმძიმით დაფურცლილი და გაცრეცალი საბუთი. რომელიც უტყუარად ლალადებს იმის შესახებ, რომ ოდესაც, ასეული წლების წინ, ამ ქვეყანაში თამაშობდნენ ფეხბურთს ინ რაიმე მია მსგავს თამაშს. ასეთი საბუთები უხვადა აქვთ ბრიტანელებს, იტალიელებს, ფრანგებს, ესპანელებს... არც ერთ მათგანში არ შეიძლება ეჭვის შეტანა, მაგრამ არც აღმოსავლეთის ქვეყნების საბუთებია ნაყალბევი, სადაც თითქმის უხსოვარი დროიდანაა მოხსენებული ბურთის თამაში. შეტაც საინტერესო ნახატებს მიაკვლიერ ის ისტორიულისებრა ჩინეთში. „დიდი კედლის“ იქით თურმე ორი ათასი წლის წინათ სისტემატურად თამაშობდნენ ბურთს და ამ „კალენდარულ“ მატჩებს აეცილებლიდ ესტრებოდნენ იმპერატორებით; რომელიც საჩქერებით აჯილდოებდნენ საუკეთესო მოთამაშეებს. თუ ეს ასეა, პროფესიონალიზმი ფეხბურთში შემოსულა სწორედ იმ ხანებში—20 ასეული წლის წინათ.

ბურთის თამაში ხშირადაა მოხსენებული რუსულ და ქართულ ლიტერატურაშიც. უკვდავ „ვეფხისტყაოსანში“ და სხვა ნაწარმოებებში ნახსენებია თამაში ბურთით. გარდა ამისა, ჩვენში შემორჩენილია ლელობურთი, რომელსაც განსაკუთრებით დიდი პოპულარობა ქვეონდა დასავლეთ საქართველოში.

მაგრამ თუ ვილაპარაკებთ ე. წ. თანამედროვე ფეხბურთზე, რომელსაც დღევანდელი სახით ვიცნობთ და უუყურებთ, პრიორიტეტი უნდა უდავოდ მიეცეს ინგლისს, სადაც უკვე რამდენიმე ასეული წლის წინათ თამაშობდნენ ბურთს ორ კარს შორის. ამ თამაშმა შეა საუკუნეებში იმდენად მოიკიდა ფეხი, რომ ნამდვილი ეპიდემიის სახე მიიღო. მეფე ედუარდ II 1313 წელს იძულებული გახდა გამოეცა ედიქტი, რომელიც პატიმრობით ემუქრებოდა ყველას, ვინც მონაწილეობას მიიღებდა ამ „მომაკედინებელ და სისხლისმღვრელ“ თამაშში. სასტიკ კანონს თავისი საშინელი ანათემა დაუშატა ეპისკოპოსმა სტებმა, ხოლო შემდგომ წლებში მრავალჯერ იქნა დამტკიცებული სხვა შეფეთა მიერ.

ინგლისის ხელისუფალნი იძულებული იყვნენ ამ მეტარი და კატეგორიული ზომებისათვის მიემართათ იმის გამო, რომ ლონდონის ქუჩებში თურმე ნამდვილი ხელჩართული ბრძოლა იმართებოდა ყოველი თამაშის შემდეგ. ქალაქის ხელოსნები დილიდანვე კურავდნენ თავიანთ დუქნებს, თავდავიწყებით დასდევდნენ ბურთს, შეძეგ კი ჩხუბობდნენ, ცხეირ-პირს ამტვრევდნენ ერთმანეთს და შოელი კვირაობით სცდებოდნენ საჭმეს.

ინგლისური კანონი უაღრესად სასტრი და შეუფალი იყო, ხოლო სახელმწიფო ოდმინისტრაცია მისი პუნქტუალური შემსრულებელი, ამიტომ იგი გამალებით დაექცებდა შფოთისთავებს, მაგრამ ფეხბურთის მოყვარულთა შორეული წინაპრები კერპი და ჯიუტი ხალხი ყოფილა, რომელსაც არც მეფისა ეშინოდა და არც ეპისკოპოსისა სწამდა. არალეგალური ფეხბურთი განაგრძობდა არსებობას.

ვინ იცის, რამდენჯერ მიმართა ხალხმა მეფეებს პეტიციით მოეხსნათ ეს საშინელი ვეტო, მაგრამ გადიოდა ათეული წლები, საუკუნეები და ფეხბურთი მაინც აკრძალულ ხილად რჩებოდა ბრიტანეთის კუნძულზე. მხოლოდ 1603 წელს გაუქმდა ულმობელი ელიქტი და ფეხბურთმაც თავი დააღწია კონსპირაციას.

მაგრამ, თუ საერთოდ ბურთით თამაშის ფესვები მოცულია ათასწლეულთა უკუნი სიბნელით და ჯერჯერობით „უთვისტომლაა“ შინეული, თანამედროვე ფეხბურთს გააჩნია ნამდვილი პას-პორტი და შეტრიკა დაბადების ოფიციალური თარიღის აღნიშვნით.

... ეს მოხდა 1863 წლის 21 ოქტომბერს. ლონდონის ლუდბანა „გრედ კუინსტრიტში“ შეიკრიბნენ ქალაქის საფეხბურთო კლუბებია გამგებელნი, რათა ერთხელ და სამუდამოდ შემუშავებინათ თამაშის წესები და შეექმნათ ფეხბურთის ასოციაცია. მაგრამ ამ კეთილი განწრახების სიარულეში მოყვანა არც ისე იოლი გამოდგა. იმ დროისათვის ინგლისში ფეხბურთს თამაშობდნენ ყველგან — სკოლებში, კლუბებში, ჯარის ნაწილებში, მაგრამ ვისაც როგორ მოპრიანებოდა, ერთიანი წესების გარეშე. ყოველ კლუბს თავისი კანონები ჰქონდა, ეს კი დიდ უხერხელობასა და გაუგებრობას, ზოგჯერ სერიოზულ უთანხმოებასაც იწვევდა. ერთიანი საფეხბურთო წესების შემოლება სცადეს ჯერ კიდევ 1830 წელს, მაგრამ ცდა მარცხით დამთავრდა. 1848 წელს შემუშავებულ იქნა ე. წ. „კებბრიჯის წესები“, მაგრამ დიდხანს მანაც ვერ გაძლო.

და ამ „გრედ კუინსტრიტში“ შეიკრიბნენ პირველი საფეხბურთო დამფუძნებელი „კონფერენცია“ წევრები, მაგრამ მათს შორისაც აღმოჩნდნენ ოპოზიციონერები, რომლებიც ხმის ჩახლეჩადე

გაპეიოლნენ, რომ ბურთის თამაში საჭიროა არა მარტო ფეხით, არამედ ხელითაც. ფეხბურთის მოხსრებმა ერთსულოვნად გაილაშექრეს ხელბურთელთა წინააღმდეგ, განდევნეს ისინი ლუდიანიდან და დაწერეს თამაშის 13 პუნქტი, რომლებიც ფაქტიურად დღესაც



ასე თამაშობდნენ ფეხბურთის „მამები“ ბურთს ლონდონის ქუჩებში. თამაშობდნენ მოელი დღე—დილიდან დაღამებამდე.

შეაღენენ ფეხბურთის ძირითად არსეს. მართალია, წესებში შემდგომში მრავალი ცვლილება იქნა შეტანილი (1878 წელს მსაჯები შეიარაღდნენ სასტევნით, 1891 წელს ძალაში შევიდა უმაღლესი საფეხბურთო სასჯელი—11-მეტრიანი საჯარიმო და ა. შ.), მაგრამ კოდექსი, რომელიც 26 ოქტომბრის იმ ნისლიან სალამოს იქნა დაწერილი ლონდონში, დღესაც განაცემს ფეხბურთს ჩვენს ცოდვილ პლანეტაზე.

ამ დაკანონებული ფეხბურთის პირველი მასწავლებლები ინგლისელები იყვნენ, რომლებსაც გაპეიონდათ იგი ბრიტანეთის კუნძულებს გარეთ და სხვა ქვეყნებშიც ნერგავდნენ. გადიოდა წლები და ფეხბურთი სულ უფროდაუფრო ფეხს იყიდებდა ევროპის, სამხრეთ ამერიკის, აზიის, აფრიკის კონტინენტებზე (მხოლოდ ავსტრალია გადაურჩა ამ საყოველთაო ეპიდემიას). ფეხბურთელები უკვე ვეღარ ეტეოდნენ მხოლოდ თავიანთი ქვეყნის ეიწრო ჩარჩოებში, თანდათან მწიფდებოდა საერთაშორისო შეხვედრათა ჩატარე-

ბის საკითხი. ასეთი მატჩები მოეწყო კიდეც ევროპის სხვადასხვა სახელმწიფოთა მონაწილეობით, მაგრამ რაც უფრო იზრდებოდა ურთიერთობანი საფეხბურთო ასპარეზზე, მით უფრო საჭირო ხდებოდა საერთაშორისო ხელმძღვანელი ორგანოს შექმნა, რომელიც უმეთაურებდა და კონტროლს გაუწევდა დიდ საფეხბურთო მოძრაობას.

ასეთი ორგანიზაცია ჩამოყალიბდა 1904 წელს და ეწოდა ფეხბურთის საერთაშორისო ფედერაცია („ფიფა“). ორგანიზაციის პირველი წევრები იყვნენ: ბელგია, დანია, ესპანეთი, საფრანგეთი, შვეიცარია და შოლანდია. შეიძლება ბევრს გაუკვირდეს, რომ ამ სიაში არ ჩანს ინგლისი, მაგრამ ფეხბურთის პირველი მასწავლებლები შემთარიტი ბრიტანული ქედმილლობით იყვნენ განწყობილი თავიანთ მოწაფეთა მიმართ და თავს არ უყადრებდნენ მათ. ამიტომ ისინი საერთაშორისო ფედერაციასაც კადნიერიად უფრებდნენ და როგორც მოეპრიანებოდათ, ისე იქცეოდნენ—ხან შედიოდნენ მის შემადგენლობაში, ხანაც უკანვე გაქვინდათ საბუთები.

უკვე მაშინ, 1904 წელს, „ფიფამ“ მიზანშეწინილად სურნილის ჩატარება მსოფლიო ჩემპიონის წოდებაზე ყოველ ოთხ წელიწადში ერთხელ (შუალედებში ოლიმპიურ თამაშებს შორის), მაგრამ ამ გადაწყვეტილების სისრულეში მოყვანა მოხერხდა შეოლდ მეოთხედი საუკუნის შემდეგ. 25 წლის განმავლობაში სეიფში იყო ჩაკეტილი დადგენილება ჩემპიონატის შესახებ და ამ ხნის მანძილზე მსოფლიო ფეხბურთი ფაქტიურად „ობლად“ იყო დარჩენილი—ჩემპიონის გარეშე.

რა იყო „ფიფას“ ასეთი ბიუროკრატობის მიზეზი? საქმე იმაშია, რომ მსოფლიო ჩემპიონატის ორგანიზაცია დაკავშირდებულია საფეხბურთო პროფესიონალიზმის უაღრესად ფართო გავრცელებასთან. ოლიმპიურ საფეხბურთო ტურნირებს (1908 წლიდან) დასაწყისში მსოფლიო პირველობის მნიშვნელობა ჰქონდა და აკმაყოფილებდა კიდეც „დიდი ფეხბურთის“ მოთხოვნებს, მაგრამ პროფესიულმა ფეხბურთმა, რომელიც ინგლისში იშვა გასული საუკუნის დამლექს, გადაინაცვლა ეგრობისა და სამხრეთ ამერიკის შრავალ სახელმწიფოში და წამყვან ძალად იქცა. სანამ საზღვარი სამოყვარულო სპორტსა და პროფესიონალიზმს შორის აშკარა და გარკვეული იყო, ოლიმპიური ტურნირის გარშემო არც დავა წარმოებდა, არც გაუგებრობას ჰქონდა ადგილი. მაგრამ ოციან წლებში ფეხბურთი თითქმის ყველგან პროფესიონალიზმის ლიანდაგებზე გადავიდა, თანაც ბევრ ქვეყანაში მან მიიღო ე. წ. „მალული პროფესიონალიზმის“ სახე (ფეხბურთელები ფორმალურად მოყვარული

ბად ითვლებოდნენ, სინამდევილეში კი დიდ თანხას ღებულობდნენ კულტურის ხელმძღვანელობისაგან), ადგილი ჰქონდა ათასგვარი მაქინაზე ციასა და ხრიებს. ბოლოსდაბოლოს „ფიფა“ იძულებული გახდა დათმობაზე წასულიყო და მოეწყო მსოფლიო პირველობა, სადაც თანაბარი უფლებით შეეძლოთ მონაწილეობა პროფესიონალებსაც და მოყარულებსაც. მაგრამ მაშინევ იქნა დაწესებული შეზღუდვა: ეროვნული ნაკრების შემადგენლობაში არ შეიძლებოდა სხვა სახელმწიფოს ქვეშევრდომთა შეყვანა.

როგორც ცნობილია, ოლიმპიური სამოყვარულო სტატუტი გამორიცხავს თამაშებში პროფესიონალთა მონაწილეობის ყოველგვარ შესაძლებლობას, ე. ი. იმ სახელმწიფოებს, სადაც პროფესიონალისმი იყო დაწესებული, საშუალება არა ჰქონდათ გამოყეყანათ თავიანთი უძლიერესი გუნდები, ხოლო მარტო მოყარულთა ძალებით მონაწილეობას კი არც აზრი ჰქონდა, არც ინტერესი.

ამიტომ მსოფლიო ჩემპიონატის მომხრენი დაეინებით ამტკიცებდნენ, რომ მხოლოდ ამ შეჯიბრებაზე შეიძლება ზუსტად განისაზღვროს ნამდგილი საფეხბურთო იერარქია, მოხდეს ეროვნული ნაკრები გუნდების ჭრიშმარიტი კლასიფიკაცია. მართლაც, ოლიმპიური თამაშები ვერ გამოხატავდნენ საფეხბურთო ძალთა ნამდვილ შეფარდებას საერთაშორისო სარბიელზე, ვინაიდან ეს იყო პირველობა, სადაც მონაწილეობდნენ მხოლოდ „მეორე ნომრები“, უძლიერესნი კი განხე რჩებოდნენ.

„ფიფას“ 1904 წლის გადაწყვეტილების მიმდევარნი მოითხოვდნენ შემდეგს: თავი რომ დავანებოთ ეროვნული პრესტიუს საქმესაც კი და საკითხს წმინდა სპორტული თვალსაზრისით მიეცუდგეთ, მსოფლიო ჩემპიონატი პროფესიონალთა მონაწილეობით ხელს შეუწყობს ფეხბურთის განვითარებას როგორც ნაციონალური, ისე ინტერნაციონალური მასშტაბით და ბრძოლაც უძლიერესის სახელისათვის უფრო დაძაბული იქნებათ.

ერთი სიტყვით, ფეხბურთში მსოფლიო პირველობის ჩატარება აუცილებლობად იქცა და ეს საკითხი საბოლოოდ გადაწყდა 1928 წელს, „ფიფას“ მორიგ კონგრესზე, აშტერდამში. კონგრესშია დაადგინა: პირველი მსოფლიო ჩემპიონატი მოეწყოს 1930 წელს ურუგვაიში.

შეჯიბრებას პირველად ეწოდა „მსოფლიოს თასი“, შემდეგ მას დაარქვეს „ეიულ რიმეს თასი“ (ეიულ რიმე დიდხანს იმყოფებოდა „ფიფას“ პრეზიდენტის პოსტზე), შემდეგ ეს ორივე სახელი შეატარეს და გათამაშებას დაარქვეს „მსოფლიოს პირველობა—ეიულ რიმეს თასი“.

ისეთი შასშტაბის შეჯიბრების მოწყობა, როგორიცაა შსსაფულით პირველობა ფეხბურთში, უაღრესად რთული საქმეა. შეჯიბრების ბის ვადები, ქვეყანა, სადაც უნდა ჩატარდეს იგი, გათამაშების ფორმა—ყველაფერი ეს უნდა ზედმიწევნით იქნას გათვალისწინებული, აწონდაწონილი და გააზრებული, რათა ყველა მონაწილე, შეძლებისდაგვარიად, თანაბარ პირობებში იმყოფებოდეს. რა თქმა უნდა, ამ რთული საქითხის იდეალური ვადაწყვეტა აღმართ არასოდეს მოხერხდება, ეინაიდან განსხვავება ჩეენი პლანეტის სხვადასხვა მხარეებს შორის დიდია: ერთ ქვეყანაში ეროვნული ჩემპიონატი შხოლოდ იწყება, მეორეში კი იგი დიდი ხნის დამთავრებულია, ერთდაიმავე დროს ერთგან პაპანაქება ზაფხულია, ხოლო მეორეგან საფეხბურთო მინდვრებზე მუხლამდე თოვლი დევს.

კატეგორიულად იქნა უარყოფილი ე. წ. წმინდა ოლიმპიური სისტემა და შეჯიბრებას მიეცა ხასიათი, რომელიც შეიცავს როგორც წრიული, ისე გამოთიშვითი სისტემის ელემენტებს. ესაა ის „შერეული სისტემა“, რომელიც სხვადასხვა ვარიანტით დღემდე შემორჩია გათამაშებას.

ურუგვაი, 1930 წელი...

ეყრობა თუ ამერიკა? ამ ლოზუნგით წარიმართა დაცა პირველი მსოფლიო ჩემპიონატის ორგანიზაციის გარშემო და ბოლოს მან ნამდვილი ხელჩართული ბრძოლის ხასიათი მიიღო.

იმ დროს ეყრობა საყოველთაოდ ალიარებული იყო წამყვან „საფეხბურთო კონტინენტად“, სამხრეთ ამერიკაში კი იგი მხოლოდ იდგამდა ფეხს, თუმცა ურუგვაელებმა უკვე ამ დასაწყისშივე მიაღწიეს მეტად სერიოზულ წარმატებას და 1924 და 1928 წლების ოლიმპიურ თამაშებში ზედიზედ მოიპოვეს ჩემპიონობა. ეყრობაში სკეპტიკურად უყურებდნენ ურუგვაელთა ოქროს მედლებს და ლათინური ამერიკის ორივე ეს გამარჯვება შემთხვევით მოვლენად მიაჩინდათ, მაგრამ ფაქტი ფაქტად ჩიტებოდა—ისინი ჩემპიონები იყვნენ.

როგორც კი ოფიციალურად იქნა გამოცხადებული ფეხბურთის საერთაშორისო ფედერაციის გადაწყვეტილება მსოფლიო ჩემპიონატის ურუგვაიში ჩატარების შესახებ, ეყრობას მძლავრი პროტესტის ტალღა მოედო. ნაწყენი ევროპელები ამტკიცებდნენ, რომ ურუგვაი მზად არაა ასეთი შეჯიბრების ჩასატარებლად, რომ ტურნირის მოწყობა სამხრეთ ამერიკაში ნიშნავს ეყრობის სახელმწიფოთა გუნდების წინასწარ განწირვას მარცხისათვის, ვინაიდან უკვე მაშინ საქვეყნოდ იყო ცნობილი, რომ თამაში ოკეანეს გადაღმია, იქაური აუდიტორიის წინაშე მეტისმეტად ძნელი საქმეა.

თუ საერთოდ შეიძლება ფეხბურთის დაყოფა კონტინენტების მიხედვით, ევროპულ და სამხრეთამერიკულ ფეხბურთს შორის შესამჩნევი განსხვავება არსებობს. როცა ელაპარაკობთ ოკეანეს გადა-

ლმა ფეხბურთზე, მხედველობაში ძირითადად გვაქვს ბრაზილია, არგენტინა, ურუგვაი, პარაგვაი, პერუ და ჩილი.

1924 წლამდე ფეხბურთი სამხრეთ ამერიკაში თავისებური გზით ვითარდებოდა. როგორც საკლუბო, ისე ეროვნულ ნაკრებ გუნდებს არა ჰქონდათ ეყრობის კლუბებთან შეხვედრების გამოყდილება, სადაც იმ დროისათვის უკვე საბოლოოდ ჩამოყალიბდა ის ფეხბურთი, რომელსაც ჩეენ ახლა ვიცნობთ, ისეთი დამახასიათებელი თვეისებებით, როგორიცაა კოლექტივისმი, მტკიცე ტაქტიკური სქემა, პოზიციური თამაში და ა. შ. სამხრეთ ამერიკაში ფეხბურთი სულ სხვა გზით მიღიოდა: იქ ფეხბურთს თავიდანვე სანახაობითი ხასიათი მიეცა და ფართო მასების გასართობად იქცა. ათეული ათასობით მაყურებელი სტადიონის ტრიბუნებიდან გამაყრუებელი ყიფინით მოითხოვდა გოლებს, მოითხოვდა ლამაზ თამაშს, უმაღლეს ინდივიდუალურ ისტატობას, „ტრიუქებს,“ ეფექტებს.

სამხრეთ ამერიკის ქვეყნების მაყურებელი ვერ იტანს დუნე, უინტერესო ფეხბურთს, იგი არ აპარიებს შეცდომას ფეხბურთელს. ყველა ის ანგლო-რი და კარიკატურა, რომლებიც აქაური ტრიბუნების ბინადართ შეეხება, სინამდვილიდანაა აღებული. არგენტინის, ბრაზილიის, ურუგვაისა და სხვა ქვეყნების სტადიონებზე ტრიბუნები მოედნიდან გამოყოფილია მავთულხლართითა და წყლით სავსე ღრმა ორმოთი, დიდ მატჩებზე სისტემატურად მორიგეობენ პოლიციელთა და რეგულარული ჯარების შეიარაღებული ნაწილები, 90 წუთის განმავლობაში ტრიბუნებიდან მოისმის საშინელი ღრიანიელი, მოდის ბოთლებისა და ქვის სეტყვა და თავდავიწყებამდე მისულნი აქვე სცლიან თავიანთ კოლტებს. ყველაფერი ეს აქ ნორმალური მოვლენაა. ყოველ კლუბს თავისი ქომაგები ჰყავს და ისინი მატჩის ღროს სხვადასხვა ტრიბუნებზე სხედან. ვაი მას, ვინც შეცდება და მოწინააღმდეგის ბანაქში აღმოჩნდება! მაგრამ ასეთ მიამიტს აქ ვერ ნახავთ, ისევე, როგორც ვერ ნახავთ ნეიტრალურ მაყურებელსაც.

როგორც წესი, ფეხბურთელები და მსაჯები მინდორზე გამოდიან საგანგებო მიწისქვეშა გვირაბიდან, რათა მათი კავშირი მაყურებლებთან ნაკლები იყოს. მაგრამ ვერაბების, ორმოებისა და მავთულხლართების მთელი ეს კომპლექსიც კი ზოგჯერ უძლურია მაყურებელთა მძლავრი შეტევის წინაშე. ხელჩართულ ბრძოლას ხშირად თვით ფეხბურთელები იწყებენ მინდორზე, მათ მხარს უჭირენ ტრიბუნებიდან გადმოცენილ გულშემატკიცართა „ლეგიონები“ და მაშინ საქმეში ერევა პოლიცია, ჯარი, მეხანძრები...

მაგრამ არაეითარ შემთხვევაში სწორი არ იქნებოდა მხოლოდ

ამ მიმართებით გავცეხილა სამხრეთა მერიული ფეხბურთი. ბოლოს—დაბოლოს გულშემატყიფართა მთელი ეს ექსპანსიური არშია მოითხოვს ნამდევილ ფეხბურთს, ლამაზ, თამაზს, საინტერესო ბრძოლას, სანახაობას, რომელზეც მეტე შეიძლება ერთი კვირა ილაპარაკო. სწორედ ამიტომაა, რომ აქეურმა ფეხბურთმა მიაღწია განვითარების ესოდენ მაღალ ინდივიდუალურ კლასს.

ურუგვაის ხელისუფლებამ ყველა ზომას მიმართა, რათა შეენარჩუნებინა პირველი საფეხბურთო ჩემპიონატის ჩატარების უფლება. დიდი ხმაურით იქნა მიღებული დადგენილება, რომ ეკრანის გუნდებს უოველგვარი შელავათი მიეკურმოდათ მგზავრობისა და დაბინავებისას, სახელმწიფო ხაზინა ფულს არ იშურებდა ფართო აგიტაციისათვის.

ურუგვაელებს ერთი მეტად ავტორიატეტული საბუთი ჰქონდათ, რათა ხელიდან არ გაეშვათ ჩემპიონატის ორგანიზატორობა: სწორედ 1930 წელს შესრულდა მათი ეროვნული დამოუკიდებლობის 100 წლისთვე და ამ საიუბილეო დღესასწაულს ასეთი შეჯიბრება, რასაკვირველია, საგანგებო ელფერს მისცემდა.


მონტევიდეოში ჩამოედნენ ცამეტი სახელმწიფოს უნდები, რომელთა შორის დიდი უმრავლესობა—ცხრია—ამერიკიდან. იყო და შეოლოდ თხი—ერობიდან (საფრანგეთი, იუგოსლავია, ბელგია, რუმინეთი). საინტერესოა ალინიშნის, რომ პირველი გათამაშება (ისევე, როგორც თრი უკანასკნელი) ჩატარდა შერეული სისტემით: ქვეჯუფებში მატერიალურობით წრიული წესით, ხოლო შემდგომ—გამოთიშვით.

პირველ ჯგუფში ევროპელთაგან იბრძოდნენ ფრანგი ფეხბურთელები და თუმცა მათ დამარცხება განიცადეს საყოველთაოდ ალიარებულ ფავორიტთან—არგენტინის გუნდთან, ამ უკანასკნელ დიდად გაუჭირდა ერთადერთი ბურთის გატანა, რომელმაც მას გამარჯვება მოუტანა. გამარჯვება მაინც გამარჯვებაა და არგენტინელებმა შემდგომში იოლად გაიკაფეს გზა ფინალური ჯგუფისაკენ (3:1 ჩილისთან და 6:3 მექსიკასთან).

ერთადერთი გუნდი, რომელმაც ასე თუ ისე დაცუა ევროპული ფეხბურთის პრესტიჟი, ეს იყო იუგოსლავია. იუგოსლაველებმა მაყურებელთა აუწერელი ლრიანცელის ქვეშ დაამარცხეს ჩემპიონითის ერთ-ერთი. პრეტენდენტი — ბრაზილია (2:1), შემდევ დამაჯერებლად მოუგეს ბოლივიას (4:0) და მიიღეს ფინალისტის პას-პორტი.

მესამე ჯგუფში ყველაფერი მოხდა ისე, როგორც წინასწარი იყო „დაგეგმილი“ — ურუგვაელებმა ყოველგვარ გართულებათა

გარეშე მწყობრიდან გამოიყვანეს რუმინეთისა და პერუს გუნდები
და „ზემდგომ ინსტანციაში“ მოქალათდნენ.



მეორე ნახევარფინალისტი—ამერიკის შეერთებული შტატების გუნდი, გათამაშების ერთ-ერთ მთავარ მოულოდნელობას წარმოადგენდა. ეინ მოელოდა, რომ ამერიკელები, რომლებმაც ხეირიანად არც იცოდნენ ფეხბურთის თამაში, უძლიერესთა შორის აღმოჩნდებოდნენ, მაგრამ აშშ-ს საფეხბურთო გაერთიანებამ ასეთ უბრალო ხრის მიმართა: მან გუნდი დააკომპლიქტა ამერიკული ქვეშვერდომობის მქონე ინგლისელი პროფესიონალებისაგან და იმ გუნდმა ერთნაირი ანგარიშით—3:0 მოუგო ბელგიისა და პარაგვაის კოლექტივებს.

ის, რაც იუგოსლაველებმა და ამერიკელებმა ქვეჯგუფებში მოაპოვეს, ნახევარფინალურ მატჩებში ერთი ხელის მოსმით წყალში გადაიყარა. ძალთა შეფარდება ნათელი შეიქნა დასაწყისშდანვე და ორივე შეხვედრაში ფიქსირებულ იქნავერთნიარი ანგარიში—6:1. ურუგვაიმ მოუგო იუგოსლავიას, ხოლო არგენტინამ—აშშ-ს.

ასი ათასი მაყურებელი ესწრებოდა ჩემპიონატის ფინალს ურუგვაისა და არგენტინის შორის მონტევიდეოს უდიდეს სტადიონშე. იმ დღეს ურუგვაის დედაქალაქის მოსახლეობა ცხოვრიბდა ერთად-ერთი მოლოდინით—როგორ გათავდებოდა მატჩი მათს სტადიონშე, საიდანაც 90 წუთის განმავლობაში განუწყვეტელი ხმაური ისმოდა.

პირველ ტაიმში უპირატესობა არგენტინელთა მხარეს იყო. მართალია, ანგარიში გახსნა ურუგვაელმა დარაემ, მაგრამ სულ მალე ვარალიმ და სტაბილებ წინ გაიყვანეს თავიანთი გუნდი, ანგარიში გახდა 2:1.

შესვენების შემდეგ, როგორც მაშინდელი გაზეთები წერდნენ, ურუგვაელებმა ისეთი ტემპი შესთავაზეს მოწინააღმდეგეს, რომ „...არ ნანდა არც ბურთი, არც მოთამაშეები“. დაიწყო არგენტინელთა ნამდგილი განადგურება. ჯერ სეამ გაათანაბრია ანგარიში, ხოლო შემდეგ კასტრიმ და ირარტემ კიდევ თითო ბურთი გაიტანეს და ურუგვაის ნაკრებმა ფინალი მოიგო ანგარიშით 4:2.

ურუგვაელ ფეხბურთელთა გამარჯვებამ ეროვნული ზეიშის სახე მიიღო. საინტერესოა ასეთი დეტალი: ფინალური მატჩის დღეს მიმდინარეობდა ურუგვაის ბარლამენტის სხდომა. მაგრამ ბარლამენტის წევრთა აზრი და გონიერა სტადიონს დასტრიალებდა თავს, საიდანაც ყოველ 10 წუთში ერთხელ მოჰქონდათ ცხელ-ცხელი მშებები. როგორც კი დამთავრდა მატჩი, პარლამენტი შეწყვიტა მუშაობა და დეპუტატები სრული შემადგენლობით ვაემართნენ სტადიონშე.

რათა ზედ „ბრძოლის ველზე“ მიეღოცათ თავიანთი ფეხბურთელები ბისათვის ბრწყინვალე გამარჯვება.

ამავე დროს სულ სხვა სურათი და განწყობილება სუფელდა ბუენოს-აირესში. დედაქალაქი ძაძებით შეიმოსა. არგენტინელებმა სხვა რომ ველარაფერი მოახერხეს, თავიანთი მწუხარება საბოლოოდ იმით გაიქარვეს, რომ გამოცვიდნენ ქუჩებში და არგენტინაში ბინადარ ურუგვაელებს გაუსწორდნენ.

მღელვარება კარგა ხანს არ დამცხრალა. არგენტინისა და ურუგვაის საფეხბურთო კაეშირები დიდხანს დავობდნენ ფინალური მატჩის გარშემო. არგენტინელები ამტკიცებდნენ, რომ მატჩი არანორმალურ, უთანაბრო პირობებში ჩატარდა და მასპინძლებმა უსინდისოდ მოიგეს იგი, ხოლო ურუგვაელები, რომლებსაც თავი უკვე ქუდში ჰქონდათ, განზრახ აღიზიანებდნენ მოწინააღმდეგებს, რომ მუშტის ქნევა ჩხუბის შემდეგ სისულელა და მათთვის უჯვობესია მოიცავონ კიდევ ცოტა ხანს—ოთხ წელიწადს, რათა კვლავ დარწმუნდნენ, რომ... ურუგვაი არგენტინაზე ძლიერია. ორივე ქვეყნის განეთები კიდევ უფრო აღვივებდნენ ამ უთანხმოებას და საქმე იქამდე მივიდა, რომ არგენტინის და ურუგვაის საფეხბურთო კაფირებმა გაწყვიტეს ერთმანეთთან დიპლომატიური ურთიერთობა.

ასე მოიპოვა სამხრეთ ამერიკის პატარი სახელმწიფომ—ურუგვაიმ მსოფლიო ჩემპიონის გვირგვინი. აჟიოტავი, რომელიც თან ახლდა ამ შეჯიბრებას, დამახასიათებელია მაშინდელი პერიოდის ბურუუაზიული ფეხბურთისათვის, რომლის დევიზიც ასეთი იყო: „გამარჯვების მისაღწევად ყოველგვარი საშუალება კარგია“.

ეს განსაკუთრებით ცხადი შეიქნა მომდევნო მსოფლიო ჩემპიონატში, რომელიც 1934 წელს გაიმართა იტალიაში.

ქ 1934 წ 1946

იტალია, 1934 წელი...

არჩევანი იტალიაშე მიღება იმის გამო, რომ ამ ქვეყნის სპორტის შესეცურებშია ყოველი ლონე იხმარეს, რათა ტურნირის მომწყვობთა უფლება მოეპოვებინათ. აქაურ ქალაქებში უკვე არსებობდა დიდი სტადიონები და იტალიის საფეხბურთო ფედერაცია სრულ გარანტიას იძლეოდა, რომ შეჯიბრების ნორმალურიად ჩატარებას ხელს არაფერი შეუშლიდა.

მაგრამ იტალიური ფეხბურთის ხელმძღვანელობამ თავისი სირყა შეასრულა მხოლოდ სანახეეროდ. ის პუნქტები, რომლებიც შეეხებოდა გუნდების მიღება-დამინავებას, კვებას, ხარჯებს, მგზავრობას და ა. შ. მთლიანად იქნა განაღდებული, ხოლო რაც შეეხება შეჯიბრების ნორმალურიად ჩატარებას და საერთოდ — ობიექტურობას, აქ კი...

„ნელად, რომ სპორტის ისტორიაში მოიძებნოს შეორე მაგალითი, თუ როგორ შეიძლება გამოყენებულ იქნას ძლიერის უფლებები, — წერდა ერთ-ერთი იმდროინდელი განეთი, — მაგრამ სიმართლე არ იქნებოდა გვეთქვა, რომ იტალიის გუნდს „სკარდა აძრას“ („ცისფერი გუნდი“) არ შეეძლო პირველობის მოგება. ნორმალურ პირობებში, კეთილსინდისიერი შავების არბიტრობით, ნეიტრალურ მინდორზე, თავშექავებული შაყურებლების თანდასწრებით „სკარდა აძრას“ სერიოზული ზანსები ჰქონდა მოეპოვებინა ეს ტიტული, მაგრამ ამ შემთხვევაში ყველაფერი ისე იყო მოწყობილი, რომ იტალიელებს არაფრით არ შეეძლოთ მისი წაგება“...

ინტერესი შეორე მსოფლიო ჩემპიონატისადმი პირველთან შედარებით გაცილებით გაიზარდა და მასში მონაწილეობის სურვილი უკვე 33-მა სახელმწიფომ განაცხადა. მაგრამ ამჯერად მას 2. ბ. პატარე, ბ. ქორქია

აშეარად „ევროპული“ ხასიათი ჰქონდა, ვინაიდან იმერიკულებმა ნაელები ენთუზიაზმი გამოიჩინეს იტალიაში გამგზავრების მიმართ კერძოდ, მონაწილეთა შორის არ ჩანდა 1930 წლის მსოფლიო ჩემ-პიონი—ურუგვაი.

ურუგვაელებს კარგად ახსოედათ ის ბოიკოტი, რომელიც მათ 4 წლის წინ გამოუტადა ევროპაში და სამაგიერო „გაფიცეითა“ უპასუხეს (თუმცა „ბოროტი ენები“ ამბოდინენ, რომ ურუგვაის უბრალოდ ეშინოდა ბრძოლის ველზე არ წაეგითავისი უმაღლესი ტიტული და ამიტომ ამჯობინა „დიპლომატიურად“ გამოიხმოვებოდათ მას). ამას გარდა, ბრაზილიამ და არგენტინამ იტალიაში გამოგზავნეს მეორეხარისხოვანი სამოყვარულო ფეხბურთელები და ევროპას „გასაწიწვნად“ შეატოვეს ჩილისა და პერუს გუნდები.

მაგრამ მეორე ჩემპიონატის მონაწილეთა შორის მაინც იხილეს ისინი, ვინც გამარჯვების კვარცხლბეჭნე იდგა მონტევილეოში. იმდროინდელი ფეხბურთის კორიფეები მონტი, ორსი, გუაიტო და ფერარი 1930 წელს თამაშობდნენ ურუგვაისა და არგენტინისა გუნდებში, ხოლო 1934 წელს სამხრეთ ამერიკის სხვა გამოჩენილ ფეხბურთელებთან ერთად მათ თავი ამოყვეს იტალიის ნაერებში, ამასთან არ დარღვეულა სავალდებულო პირობა, რომელიც კრძალავს სხვა ეროვნების ფეხბურთელთა შეყვანას გუნდში. საეჭებურთო ფედერაციებმა იმ დროისათვის უკვე ისწავლეს სხვადასხვა ხრიკებით უცხოელთა გაფორმება საკუთარ ქვეშვერდომებად და სამხრეთ ამერიკელთა „გაიტალიელება“ დიდ სინელეს არ წარმოადგენდა.

შესარჩევი მატჩების ზემდეგ გამოვლინდა ფინალური ჯგუფის 16 მონაწილე, რომელთა შორის გადამწყვეტი შეხვედრები მიმდინარეობდა ოლიმპიური სისტემით. უკვე პირველი შეხვედრებიდან მოხდა არაეგრძოსელთა გამოთავსა ტურნირიდან (იტალია-აშშ — 7:1, ესპანეთი-ბრაზილია — 3:1, შვეცია-არგენტინა — 3:2, უნგრეთი-ევეიპ-ტი — 4:2).

პირველი მატჩი, რომელმაც გულშემატკიცართა ნამდვილი ინტერესი გამოიწვია, იყო იტალია-ესპანეთის შეხვედრა. საერთო აღიარებით, პირველ თამაშში უპირატესობა ძირითადად ესპანებს ჰქონდათ, რომელთა შორის გამოირჩეოდნენ მატჩის გმირები მექარე ზამორა და მცველი კინონესი. მსოფლიოში უძლიერესი მექარე — რიკარდო ზამორა — 14 წლის განმავლობაში ერთგულად ედგა სადარაჯოზე თავის გუნდს და ამჯერადაც ბრწყინვალედ ებრძოდა მოწინააღმდეგე ფორვარდებს, სადაც „ცეცხლითა და მახვილით“ მძვინვარებდა მონტი. „პამპასების კამენი“, როგორც მას უწოდებდნენ, ამ დღეს „ფორმაში“ იყო: მან 4 ესპანელი ფეხ-

ბურთელი გამოიყვანა მწყობრიდან, მათ შორის ზამორაც. იტალიელთა დამარცხება თითქოს გარდუვალი იყო, მაგრამ ისინი იმსახურები მსაჯმა, რომელმაც თამაშები მდგომარეობიდან გატანილი მურთი ჩათვალა და გადათამაშების უფლებაც აჩვენა მათ.

მეორე დღეს ესპანეთის გუნდში არ თამაშობდნენ არც ზამორა, არც კინონესი, არც ოთხი სხვა ძირითადი მოთამაშე და მიუხედავად იმისა, იტალიელებმა გაჰქირვებით მიაღწიეს გამარჯვებას მინიმალური ანგარიშით 1:0.

იტალიელებს მძიმე და სერიოზული მატჩი პქონდათ ჭინ ავსტრიის ნაკრებთან. მართალია, ეს არ იყო 30-ანი წლების განთქმული „ვუნდერტიმი“ („საოცარი გუნდი“), რომელსაც ალტაცებაში მოჰყავდა მყურებელი თავისი ტექნიკით, მაგრამ ავსტრიელები იმ დროისათვისაც შუა ევროპული ფეხბურთის საუკეთესო წარმომადგენლებად და ჩემპიონობის ერთ-ერთ უმთავრეს პრეტენდენტებად ითვლებოდნენ.


ეს იყო მეტად დაძაბული შეხედრა. სპეციალისტების აზრით, მისი ბედი გადაწყვიტა იტალიელი ფორვარდების სისწრაფემ და ენერგიულობამ, რომელებმაც ბოლოსდაბოლოს გატეხეს მოწინააღმდეგი დაცის შეუპოვარი თავგამოდება და ერთადერთი გადამწყვეტი ბურთი გაიტანეს მათს კარში.

ასე სკანდალური და აუწერელი შოვინიზმის ვითარებაში შინაგალევდა გზას ფინალისაკენ იტალიელთა „ცისცერი გუნდი“. რაც შეეხება მეორე ფინალისტს, ეს იყო ჩეხოსლოვაკიის გუნდი, რომელმაც დაძაბულ, მაგრამ კეთილსინდისიერ ბრძოლაში სტლია რუმენეთის (2:1), შეეიცარიასა და გერმანიას (3:1). პრესა აღნიშნავდა ჩეხების კარგ ფიზიკურ მომზადებას, კომბინაციურ სტილსა და ზუსტ ურთიერთოვემედებას.

ჩემპიონატის ფინალურ მატჩს ჭინ უძლოდა ორივე მხარის ხანგრძლივი დავა მსაჯის თაობაზე. სხდომა, რომელზეც უნდა ეტრინით მსაჯი, 8 საათს გაგრძელდა. ხან ერთი მხარე, ხან მეორე უარყოფდა აბიატრობის კანდიდატებს და ბოლოს, როგორც იქნა, არჩევანი შეჩერდა ეკლინე (ცველა).

ენერგიულმა, ტემპერამენტიანმა თამაშმა იტალიელებს მოუტანა გამარჯვება დამატებით დროში - 2:1. მატჩის საუკეთესო მოთამაშედ აღიარებულ იქნა ჩეხების შესანიშნავი მექარე პლანიჩა.

ამგვარად, იტალიის ფეხბურთის მესვეურებმა მიაღწიეს საწადელს და არც შემდეგ დაუკლიათ ცდა, რომ რაც შეიძლება სადღე-სასწაულო ელფერი მიეცათ თავიანთი გამარჯვებისათვის. მუსოლინიმ პირადად გადასცა ფეხბურთელებს შედლები „სპორტული



მამაცუნბისათვის". სააეტომიობილო ფირმა „ფიდატმა“ თვითოული მათგანი დააჯილდოვა აეტომიანქანით, ხოლო ფედერაციამ—დიდი ფურულადი თანხით.

ამით შეიძლებოდა დაგვემთაცრებინა იტალიის რეა ქალაქის სტადიონებზე გარდახდილ საფეხბურთო ბრძოლათა თხრობა, მაგრამ აღსანიშნავია ის, რომ ინგლისმა კვლავ ორ მიიღო მონაწილეობა გათამაშებაში. ფეხბურთის სამშობლო კვლავინდებურად ორ უფადრებდა თავის დანარჩენებს და მტკიცედ იცავდა თავის ტრადიციებს. ჩემპიონატის ვადები დაემთხვა ინგლისის ლიგის ორდენებს და ფორმალურად ბრიტანელებს უფლება ჰქონდათ უარი ეთქვათ საერთაშორისო ფედერაციისათვის იტალიაში ჩასვლაზე, მაგრამ ისინი საქმაოდ არაორაზროვნად აცხადებდნენ, რომ მსოფლიო პირველობა მათი მონაწილეობის გარეშე ორის „საფეხბურთო კომედია“ და მეტი არაფერი.

ეს იყო მეტად მტკიცნეული დარტყმა მსოფლიო ჩემპიონის პრესტიგისათვის და თავისებური გამოწვევა დუღები. იტალიის ფეხბურთის ფედერაციამ მიიღო ეს „ნასროლი ხელთათმანი“ და ოფიციალურად გამოიწვია ინგლისის ნაკრები.

მატჩი ინგლისი-იტალია, რომელსაც „ნამდვილი მსოფლიო პირველობის არაოფიციალური ფინალი“ უწოდეს, შედგა 1934 წლის 14 ნოემბერს ლონდონში, „არსენალის“ სტადიონზე. გაიმარჯვეს ინგლისელებმა ანგარიშით 3:2.

საფრანგეთი, 1938 წელი...

პირველი ორი ჩემპიონატის შემდეგ გათამაშების ჩატარების აღვილს საგანგებო მნიშვნელობა მიენიჭა. როგორც 1930, ისე 1934 წელს პირველობა მოიგეს ორგანიზატორებმა. კომენტარები, რომ კორუ იტუებან, ზედმეტია.


მოხდა ისე, რომ 1938 წლის მსოფლიო ჩემპიონატის ასპარეზად იქცა საფრანგეთი. მაგრამ მაყურებლებმა ამჯერადაც ვერ იძილეს ყველა უძლიერესი. ტურნირის ორგანიზატორებმა ოფიციალური მოწვევა გაუგზავნეს ინგლისის საფეხბურთო ასოციაციას, მაგრამ კუნძულიდან პასუხად ტრადიციული უარი მოვიდა. არ გამოგზავნეს გუნდები ურუგვაიმ და არგენტინამაც.

გათამაშების ფორმულაში შეტანილ იქნა მნიშვნელოვანი სიახლე: მსოფლიო ჩემპიონი და შეჯიბრების მომწყვობი ქვეყნის გუნდი უშუალოდ ფინალურ ჯგუფში იქნენ დაშვებული და მას შემდეგ ეს შეღავათი დღემდე უცვლელად ძალაშია.

საფრანგეთში ჩამოვიდა წინასწარ შეჯიბრებებში გამარჯვებული 15 გუნდი. შეხვედრები მათ შორის მიმდინარეობდა ოლიმპიური წესით.

დიდი ინტერესით მოელოდნენ გერმანიის გუნდის გამოსელის. გერმანული ფეხბურთის ხელმძღვანელებს მოსევნებას არ აძლევდა მსოფლიო ჩემპიონობის ტატული და ამ მიზნის მისაღწევად გუნდი საჩემაროდ იქნა გაძლიერებული ავსტრიელი მოთამაშეებით. როგორც ეს ნაერები შევიცარიის გუნდის წინააღმდეგ გამოვიდა, მის შემადგენლობაში ექვსი გერმანელი და ხუთი ავსტრიელი მოთამაშე იყო.

მაგრამ ნასესხებმა „ვარსკვლავებმა“ ვერაფერი უშეველეს გერმანიას. ერთ გუნდში გაერთიანებულმა ავსტრიელმა ფეხბურთელებმა,



რომლებიც განთქმული „ვენური“ სტილით თამაშობდნენ, და პრი-
მიტიული ტაქტიების მქონე გერმანებმა ვერაფრით ვერ გამოძებ-
ნეს საერთო ენა. მართალია, პირველი მატი დამთავრდა ფრედ—
1:1, მაგრამ ეს იყო გერმანიის გუნდის პირველი და უკანასკნელი
წარმატება. განმეორებით მატჩი გაიმარჯვა შევიცარიამ (4:2).

მაყურებელთა საყოველთაო ყურადღების ცენტრში იდგა ბრა-
ზილიელ ფეხბურთელთა გამოსელები. ეს გუნდი ერთადერთი იყო
სამხრეთ ამერიკიდან და, უნდა ითქვას, იგი სახელოვნად იცავდა
„ეგზოტიკური ფეხბურთის“ სახელს. ერთ-ერთი ფრანგული განხილ-
ვის წერდა: „ესენი არიან არა ფეხბურთელები, ევროპული გაგებით,
არამედ უონგლიორები, ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით“.

ბრაზილიელები მართლაც ბრწყინვალედ თამაშობდნენ. მათი
მატჩები პოლონეთისა და ჩეხოსლოვაკიის გუნდებთან ნამდვილი
დიდი ფეხბურთის დემონსტრაცია იყო და მათ ორივე შეხედრაში
გაიმარჯვეს, თუმცა მოვება ჩეხებთან მოპოვებულ იქნა მხოლოდ
დამატებით თამაშში.

კი მაგრამ, იტალიელები? როგორ თამაშობდა მსოფლიო ჩემპიო-
ნი? თამაშობდა თავის ჩვეულებრივ „სტილში“—უხეშად და ტლან-
ქად, რის გამოც იტალიური ფეხბურთი უხეშობის სინონიმად იქცა. გასაოცარია, მაგრამ ფაქტია, რომ მსაჯები რატომლაც ქვლავ
შეტისმეტი სიმპათიით იყვნენ განწყობილი „ცისფერი გუნდის“
მიმართ.

იტალიელთა უსირცხვილო უხეშობამ ყოველგვარ საზღვარს
გადააჭარბა ბრაზილიის გუნდთან შეხედრაში. ბრაზილიელთა რი-
გებში არ იყო იმ დროის გამოჩენილი ცენტრალური ფორმარდი
ზანგი ლეონიდასი, რომელმაც ფეხის ტრავმა მიიღო, და ეს დანაკ-
ლისა ცხადად იგრძნობოდა მთელი მატჩის მსელელობაში. ბრძოლა
მოიგო იტალიამ—2:1.

იმ დროს, როცა ძირითადი ყურადღება მიპყრობილი იყო
იტალიისა და ბრაზილიის გუნდებისადმი, ფინალისაკენ დამაჯირე-
ბლად მიიწევდნენ უნგრელი ფეხბურთელები. მათ სულ ითლად,
შესანიშნავ სტილში დაამარცხეს ინდოეთი (6:0), შევიცარია (2:0),
შევეცია (5:1) და ფინალში გავიდნენ. უნგრელთა გუნდში თამაშო-
ბდნენ მაღალი ქლასის ფეხბურთელები: მექარე საბო, ნახევარმცვე-
ლი სიუჩი, თავდამსხმელები ტიტკოში, შაში, შაროში...

იტალია-უნგრეთი. ფინალში ერთმანეთს შეხვდნენ სრულიად
განსხვავებული სკოლისა და სტილის გუნდები. უნგრელები პირველ
ყოველისა გამოირჩეოდნენ უკიდურესად დახევწილი, გეგმიანი ტაქ-
ტიკითა და სტრატეგიით. ისინი საჭიროების მიხედვით ცვლიდნენ

თამაშის რიტმს, დაცვაში მიმართავდნენ შანამდე უცნობ პერსონალურ დარაჯობას, ხოლო თავდასხმაში თამაშობდნენ აქადემიური, ზუსტი კომბინაციებით. იტალიელები, პირიქით, იმჯობინებდნენ ინდივიდუალურ თამაშს, მაღალ ტემპსა და აგრესიას. ზეტევაში ისინი არ ერიდებოდნენ არაფერს, მოწინააღმდეგეს არ აძლევდნენ სულის მოთქმის საშუალებას და ყოველ, თუნდაც სულ მცირე საშუალებას იყენებდნენ ქარში დარტყმისათვის.

ფინალური მატჩის დასაწყისში უნგრელთა განთქმულმა მეცარემ ორი შეცდომა დაუშვა და ეს საბედისწერო აღმოჩნდა გუნდისათვის. უნგრეთის ფეხბურთელთა მაღალმა ტექნიკამ უერ გაუძლო იტალიელთა თავბრუდამხვევ აგრესიას და შეხვედრა დამთავრდა „ცისფერი გუნდის“ გამარჯვებით ანგარიშით 4:2.

იტალია დიდი ზეიმით აღნიშნავდა თავის ხელმეორე ჩემპიონობას. მაგრამ ეს გამარჯვება იტალიელთათვის „გედის სამღერა“ აღმოჩნდა. ეს იყო მათი უკანასკნელი დიდი წარმატება და მას შემდეგ იტალიური ფეხბურთის ვარსკელავი აღარ გამოჩენილა დიდ საფეხბურთო ცისკიდურზე.

გრაფილია, 1950 წელი...

შეორე მსოფლიო ომშა დიდი თნით შეწყვიტა საერთაშორისო სპორტულ ურთიერთობათა მაჯისცემი. შეწყვიდა ფეხბურთში მსოფლიო პირველობის გათამაშებაც და მხოლოდ 1950 წელს შეიქნა შესაძლებელი მორიგი, IV ჩემპიონატის ჩატარება, რომელსაც ეწოდა „მსოფლიოს ჩემპიონატი— ეიულ რიმეს თასი“.

ამ სახელწოდების ისტორია ასეთია: 1946 წლის კონგრესზე, რომელიც ლუქსემბურგში შედგა, „ფიფამ“ მიიღო დადგენილება მსოფლიო ჩემპიონატისათვის ეწოდებინათ ფეხბურთის მაშინდელი პრეზიდენტის ფრანგი უიულ რიმეს სახელი, ხოლო თვით პრეზიდენტმა ფეხბურთის აჩუქა გამარჯვების მითოლოგიური ქალღმერთის—ნიკეას ლამაზი ქანდაკება, რომელიც მთლიანი თქმოსგანაა ჩამოსხმული, და მას შემდეგ უძლიერესთა ბრძოლა ამ ოქროს ქალღმერთისათვის წარმოებს.

ჩემპიონატის ორგანიზატორობა ბრაზილიის იუისრეს. მათ ჯერ კიდევ ადრე შეიტანეს წინადაღება გათამაშების წრიული სისტემით ჩატარებაზე როგორც ქვეჯგუფებში, ისე ფინალში, რაზეც კატეგორიული უარი მიიღეს „ფიფასაგან“, მაგრამ ისინი მტკიცედ იდგნენ თავიანთ მოთხოვნაზე და დაერინებით იბრძოდნენ ახალი სისტემისათვის. მათ საამისო ანგარიშიც ჰქონდათ: ოლიმპიური წესი ბრაზილიაში არაა პოპულარული, ვინაიდან ექსპანსიურ სამსრეთ-ამერიკელებს არ მოსწონთ ეს ფორმულა: წაავე—გამოითიშვ. გარდა ამისა, ბრაზილიის ფეხბურთის ხელს არ აძლევდა 16 მატჩი. შემოსავალი აშეარად ვერ გაწევდებოდა გუნდების მიღება-გასტუმრებასთან დაკავშირებულ ხარჯებს, 30 მატჩი კი სხვა საქმე იყო. ბრაზილიის ფეხბურთის ხელმძღვანელებს ეჭვიც არ ეპარებოდათ,

რომ სტადიონებზე კველა ბილეთი გაიყიდებოდა. ასეთ მატჩებს ბრაზილიელები არ იცდენენ.

ახლა ძნელია იმის თქმა, პროგრესული იყო „ბრაზილიური“ სისტემა თუ არა. წინასწარი ქეთგაბუფები ისე იყო შექმნილი, რომ ზოგიერთი მათგანი იძლეოდა ორ ფინალისტს, ზოგიერთი კი თითოს იმ ანგარიშით, რომ ფინალში 16 გუნდი მოხვედრილიყო (ბრაზილია და იტალია პირდაპირ გადიოდნენ მათს შორის). ქალალდზე კველაფერი უბრალოდ და კარგად გამოდიოდა, პრაქტიკულად კი საქმეები იიწერა. ზოგიერთი ჯგუფი საერთოდ დაიშალა, ზოგიერთს დააკლდა მონაწილეები, იმიტომ მოხდა გადაჯვეულებანი, უკავილენებმა ატენეს დავა და აყალბაყალი. ერთი სიტყვით, ეს იყო და ეს, ამ სისტემას შემდგომში აღარ დაბრუნებიან.

საინტერესოა აღინიშნოს, რომ ინგლისელებმა, როგორც იქნა, იყადრეს ჩემპიონატში მონაწილეობა, დაუბრუნდა მას მისი ლტოლვილი წევრიც—ურუგვაი, მაგრამ ახლა აესტრია, საცრაინეთი და არგენტინა გაჭირებულდნენ. ამიტომ ეთულ რიმეს თასის ეს გათამაშებაც არ იყო სრულფასოვანი.

ვინ იცის, ინგლისელებს რომ ცოდნოდათ თუ რა ბედი მოელოდა მათს დებიუტს, იქნებ ძველებურად კვლე შეეკავებინათ თავი, მაგრამ მომავალი ყოველთვის საიდუმლოებითაა მოცული... ინგლისელებმა ორივე წინასწარ შეხვედრაში განიცადეს დამარცხება ესპანეთისა და აშშ-ს გუნდებისაგან. ერთიდერთი სანუგეშო (თუ ეს ნუგეშია) მათ პქონდათ ის, რომ ანგარიში ორივე შემთხვევაში მინიმალური იყო—0:1.

ანალოგიური ბედი ეწია შსოფლიო ჩემპიონს—იტალიას. უაღრესად დაძაბულ მატჩში შეედებთან ჩემპიონმა განიცადა მარტი (2:3) და სირცხვილნაერამი გამობრუნდა შინ, ხოლო იუგოსლავის ძლიერმა გუნდმა წაიგო შეხვედრა ბრაზილიასთან (0:2).

ფინალურ ჯგუფში იდეალური თანათარიდობით გავიდნენ სამხრეთ ამერიკისა და ევროპის გუნდები: ბრაზილია, ურუგვაი, შვეცია და ესპანეთი.

სპეციალისტები პირველ ადგილს ერთხმად უქადანენ ბრაზილიას, რომელსაც ჯერ ერთი, შინ კედლებიც ეხმარებოდნენ და მეორეც, ისინი მართლაც საუკეთესონი ჩანდნენ ტურნირში. ან როგორ შეიძლებოდა ამ საკითხზე ორი აზრი ყოფილიყო, როცა ბრაზილიამ „კონცერტის“ სახით ჩატარა მატჩები ესპანეთთან (6:1) და შვეციასთან (7:1), ხოლო ურუგვაელებმა დიდის გაჭირებით მოუგეს შვეციის ნაკრებს—3:2 და ესპანეთთან შეხვედრაში,

როგორც იტუვიან, ცალი ფეხით გაასწრეს მინდვრიდან გააუთხეს
ბულ მოწინააღმდეგეს — 2 : 2.

ბრაზილიელთა გამარჯვებაში ეჭვი არ ეპარებოდა იმ 200.000
მაყურებელსაც, რომლებიც „მარავანას“ სტადიონზე უცდიდნენ
მატჩის დაწყებას, უცდიდნენ თავიანთი გუნდის გამარჯვებას...

მოხდა ის, რასაც არავინ მოელოდა. ის, რომ პირველი ტამი
დამთავრდა უშედეგოდ — 0 : 0, უმრავლესობაში მოულოდნელობას და
შემთხვევითობას მიაწერა, წინ კიდევ მთელი ტამი იყო სათამაშო
და იმ 45 წუთს ბრაზილიელთათვის უნდა მოეტანა ოქტოს მედლები,
მაგრამ ისინი ურუგვაის გუნდის წარმოუდგენელ წინააღმდეგობას
წააწყდნენ, დაიბნენ და წაგეს მატჩი ანგარიშით — 1 : 2.

ძნელია იმის გადმოცემა, თუ რა ხდებოდა ტრიბუნებზე. ბრა-
ზილიაში ახლაც ახსოვთ 200 ათასი განრისხებული მაყურებ-
ლის მშეინვარება. აქაურ პოლიციას ალბათ არასოდეს პერნია ასეთი
მძიმე სამუშაო, ვინაიდან 11 თავჩაქინდრული ბრაზილიელი ფეხ-
ბურთელის უხილვათოდ გაუვანა გაშმაგებული სტადიონიდან საარა-
კო საქმე იყო.

და იი, როცა „მარავანა“ ასეთი აღმუნატავდა
თავის გულისწყრომას, მონტევიდეოში ეროვნულ ზეიმს დღესასწა-
ულობდნენ. გაისმა თუ არა მსაჯის საფინალო სასტენი, ურუგვაის
დედაქალაქის მოსახლეობა დიდიან-პატარიანად გამოეფინა ქუჩებში.
სახლები, მოედნები, დაწესებულებები მოირთო დროშებით, ხოლო
შემდგომში, როცა ჩემპიონები შინ დაბრუნდნენ, მათ ტრიუმფალ-
ური შეხვედრა მოუწყეს და ეროვნულ გმირებად აღიარეს.

ამრიგად, ურუგვაიმ მეორედ მოიპოვა ფეხბურთის უმაღლესი
პრიზი, მაგრამ იმ დროისათვის მსოფლიო ჩემპიონატი „შავ ბაზ-
რად“ იქცა. აქ წარმოებდა ნამდვილი ჩარჩული ვაჭრობა, კლუბები
იგზავნიდნენ აგენტებს, „მაკლერებს“, რომლებიც არჩევდნენ ახალ-
გაზრდა, პერსპექტივულ მოთამაშეებს, ყიდდნენ და ყიდულობდნენ
მათ. საქმე იქამდე მიეიღა, რომ „ფიფა“ იძულებული გიხდა საგან-
გებო გადაწყვეტილებით შეეზლუდა ეს „საბირჟო“ სპეკულაცია.

შვეიცარია, 1954 წელი...

V მსოფლიო ჩემპიონატის შესახებ უცხოეთში გამოიკა იმდენი წიგნი, რომ შეიძლებოდა საკმაოდ მოზრდილი ბიბლიოთეკის შედგენა. ეს იყო ყველაზე დაძაბული შეჯიბრება ქიულ რიმეს თასის ისტორიაში.

პირველ ყოვლისა, საჭიროა აღინიშნოს, რომ შეეიცარიის საფეხბურთო მინდვრებზე ნაჩვენები იქნა ნამდვილი „დიდი ფეხბურთი“. მატჩები, მიმდინარეობდა უმაღლეს ტექნიკურ და ტაქტიკურ დონეზე, ინდივიდუალური ტექნიკა მკაცრად დაექცემდებარა გუნდის კოლექტიურ ინტერესებს. მონაწილეებმა აჩვენეს თანამედროვე ფეხბურთის მთელი რიგი სიახლენი.

„ფიფას“ კონგრესმა გაითვალისწინა წინა ჩემპიონატში დაშვებული საორგანიზაციო ხასიათის შეცდომები, შეიცვალა გათამაშების ფორმულაცი. ბრაზილიური წრიული სისტემა ევროპაში არ გამოდეგბოდა, ამიტომ დაუბრუნდნენ ძველ—შერეულ სისტემას. გაიზარდა ჩემპიონატის გეოგრაფიული ტერიტორიაც—შეჯიბრებაში მონაწილეობა მიიღეს იაპონიისა და სამხრეთ კორეის გუნდებმა.

მთელი სპორტული მსოფლიო იდევნებდა თეალს მატჩებს ქვეჯგუფებში. ეს მართლაც უაღრესად საინტერესო გათამაშება იყო, სადაც უძლიერესნი მძიმე ბრძოლაში იყაფავდნენ გზას ფინალისაკენ. იდგილი ჰქონდა კურიოზებსაც. მაგალითად, VI ჯგუფიდან ფინალში უნდა გასულიყვნენ ან ესპანელები ან თურქები. პირველი მატჩი ესპანელებმა თავიანთ მინდობრზე საკმაოდ ითლად მოიგეს — 4 : 1, მაგრამ მეორე შეხვედრაში, რომელიც თურქეთის დედაქალაქში შედგა, ესპანელებს ძალზე გაუჭირდათ. გაუჭირდათ ისე, რომ სტამბოლი დამარცხებულებმა დატოვეს (0 : 1).

დაინიშნა დაძარებითი მატჩი. იგი შედგა რომში და თურქები მა აქაც ნამდვილი „აზიური“ სიჯიუტე გამოიჩინეს. თამაში დამართვა თავირი ფრედ - 2:2. ამით აღმიარებული შეხვედრათა ლიმიტი და საკრიზე მიღება იღდა ალბერტე: ვისაც შეხვდებოდა კენტი, ფინალშიც ის გავიღოდა.

იღბალი თურქებს აღმოაჩინდათ. შავთმიანმა იტალიელმა ბიქუნამ ამოილო კენტი, რომელიც ფაქტიურად ვიზას წარჩინადგენდა შვეიცარიაში გასამგზავრებლად.

მეხუთე მსოფლიო ჩემპიონატის ფინალში გავიღნენ: ბრაზილია, მექსიკა, საფრანგეთი, იუგოსლავია, აესტრია, შოტლანდია, ურუვეაი, ჩეხოსლოვაკია, უნგრეთი, სამხრეთ კორეა, თურქეთი, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა, ინგლისი, ბელგია, იტალია, შვეიცარია.

16 უძლიერესი, 16 საუკეთესო. მაგრამ რაც არ უნდა უძლიერესი უუწოდოთ ფინალისტებს, გარკვეული განსხვავება მათ შორის მაინც იყო. ვანა შეიძლებოდა, მაგალითად, ბრაზილიისა და სამხრეთ კორეის გუნდების შედარება? ან როგორ შეიძლებოდა ერთ სასწორზე უნგრეთისა და, ვთქვათ, მექსიკის გუნდების შეკვება?

საერთოდ, ამ დროისათვის დიდად გაიზარდა ილმოსაცვლელი ევროპის ქვეყნების წონა საერთაშორისო სატებბჭურო ასამარეზზე. უნგრეთის, იუგოსლავიის, ჩეხოსლოვაკიის ეროვნული ნაკრები გუნდები ეს იყო ძალა, რომელსაც შეეძლო დაემარცხებინა იდრე უძლიერებელი აღიარებული ფავორიტები. რა თქმა უნდა, მათ შორის პირველი იდგილი ეკუთვნოდა ოლიმპიურ ჩემპიონს — უნგრეთის შესანიშნავ გუნდს.

ოთხი წლის განმავლობაში არ წაუგიათ არც ერთი მატჩი უნგრელებს. პირველად მათ გააქარწყლეს მითი იმის შესახებ, რომ ინგლისის ნაკრების დამარცხება მისსავე მოედანზე შეუძლებელია და სწორედ ლონდონში, ფეხბურთის ამ „მექაზი“ მოიპოვეს გამარჯვება ინგარიშით 6:3, ხოლო მცირე ხანს შემდეგ ბუდაპეშტში მიიღეს ინგლისელები და ისე „არასტუმართმოურულად“ გაუმასპინძლდნენ მათ, რომ იმ მატჩის ანგარიში სამუდამოდ შემორჩია ფეხბურთის ისტორიას — 7:1.

1954 წლის მსოფლიო ჩემპიონატში ფაქტიურად ასე იღვა საეთხოე: ეინ მოიპოვებდა პირველ იდგილს — უნგრეთი თუ სამხრეთ ამერიკა (უფრო სწორად, ბრაზილია ან ურუვეაი).

ორი ფავორიტი: უნგრეთი და ბრაზილია ჯერ კიდევ მეოთხედფინალში შეხვდა ერთმანეთს და საფსებით სამართლიანად

წერდნენ მაშინ, რომ ესია „ფინალი მეოთხედფინალში.“ წერდნენ ასეც: „რატომაა ფინალი ასე აღდე?“ მაგრამ, რაც არ უნდა ნააღდეს, რევი ყოფილიყო ეს ფინალი, იგი კენჭისყრის ძალით იქნა გათავისუფებული, ამიტომ მის ნააღრევობასა თუ უკანონობაზე ლაპარაკიც კი ზედმეტი იყო.

უნგრელებმა სწორად დაგევმეს მატჩი. მათ გადაწყვიტეს თამაშის დებიუტშივე გადაესროლათ მთელი ძალები შეტევაში, ემოქმედათ უკიდურესად მაღალ, მაქსიმალურ ტემპი, მიეღწიათ შედეგისათვის და შემდეგ შეენარჩუნებინათ მოპოვებული წარმატება.

ასეც მოხდა. უნგრელებმა თავბრუდამხვევი ტემპი აიღეს, უკვე მეხუთე წუთები ცენტრალური თავდამსხმელი ჰიდეგიური მცველთან ბრძოლაში დაეუფლა ბურთს და უძლიერესი დარტყმით გავზიანა იგი კარში—1:0. სულ მცირე ხანს შემდეგ ჰიდეგიურის გადაცემიდან მეორე ბურთი იქნა გატანილი და ბრაზილიელებმა კვლავ ცენტრიდან დაიწყეს თამაში.

ანგარიში 2:0, როცა მაყურებლები ჯერ კიდევ ხეირიანად არ დაშსხდარიყვნენ ტრიბუნებზე, თითქმის უკვე ნიშნავდა გიმარჯვებას, მაგრამ ბრაზილიელები თანდათან გაერკენენ ვითარებაში და თამაში სრულიად საწინააღმდეგო სახე მიიღო. ახლა უნგრეთის გუნდი აღმოჩნდა კართან მიჯავდებო. მალე უნგრელთა კარში დაინიშნა თერთმეტმეტრიანი საჯარიმო, რომელიც ზუსტად გამოიყენა სანტოსმა—1:2.

მდგომარეობა უაღრესად დაიძაბა და გინ იცის, როგორ წავიდოდა უნგრელთა საქმე, რომ ბრაზილიელებს მეტი თავდაცერა გამოიჩინათ საკუთარი კარის სიახლოეს. აქ მათ დაარღვევის წესი, რისთვისაც დასჯილ იქნენ თერთმეტმეტრიანი საჯარიმო დარტყმით—3:1.

ბრაზილიელებმა ერთხელ კიდევ შეუტიეს მოწინააღმდეგეს და უსლინიმ კვლავ მინიმუმამდე დაიყვანა განსხვავება ანგარიშში—2:3. უნგრელთა კარი რამდენიმეჯერ იღვა იშეარა საშიშროების წინაშე. მძიმე სამუშაო დაწვეა მცველებსა და მეკარე გრიშის. ბურთი ზედიზედ მოხვდა ძელს, სამხრეთ ამერიკელი ფეხბურთელები გააფთრებით უტევდნენ მოწინააღმდეგეს და სწორედ მაშინ, როცა გოლი უახლოესი წუთების საქმე იყო, უნგრელებმა შეძლეს ერთ-ერთი იერიშის მოგერიება. მარჯვენა ფრთაზე გაითამაშეს კომბინაცია და გაიტანეს კიდევ მეოთხე გოლი.

4:2—ასეთი იყო ამ „ნააღრევი ფინალის“ ანგარიში. ეს იყო ჩემიონატის ყველაზე საინტერესო და დაძაბული მატჩი, ნამდებილი დიდი ფეხბურთი, მაგრამ ორივე გუნდის მოთამაშეთა ნერვიულო-

ბამ, მწვევე ბრძოლაში მიაღწია ისეთ დონეს, რომ მატჩის სამართლიანად უწოდეს „სკანდალი ბერნში“. ორი პენალტი, განუწყვეტილი უხეშობა, წამოძახილები, დაუფარავი, აშკარა ჩაუბი. მატჩის მსაჯმა ინგლისელმა ა. ელისმა შემდგომში განაცხადა: „ჩემს ცნოვრებაში უძელნიერს წუთებად ვთვლი იმ დროს, როცა წამშომის ისარმა მეორე ტაიმში 45-ს მიაღწია. კიდევ ცოტა და მე აღბათ ველარ შევაკეთდი მოთამაშებს და ფეხბურთის მსაჯობის ნაცელად კრიის არბიტრობა მომიწევდა“.

ა. ელისმა მინდვრიდან გააძევა უნგრელი ბოეიქი, ბრაზილიულები ნ. სანტოსი და ტონი. მაგრამ თუ მოთამაშეები მინდორზე ასე თუ ისე მაინც იყავებდნენ თავს, მატჩის დამთავრების შემდეგ გასახდელში გაიმარაო ნამდვილი ხელჩრთული ჩეუბი და ფეხბურთელთა დაშოშმინებას საქმაოდ დიდი დრო დასჭირდა.

კიდევ უფრო ძნელი გამოდგა უნგრელთათვის მატჩი ურუგვაისთან. მართალია, ამჯერად არაეთარ უხეშობას აღვილი არა ჰქონდა და მოთამაშეები რაინდული თავაზიანობით ეპყრობოდნენ ერთმანეთს, თამაში მეტად მძიმე იყო ორივე გუნდისათვის.

უნგრელთა გეგმა განვლილი მატჩისაგან არ განსხვავდებოდა: ორი გოლი შეხვედრის დასაწყისში, აუცილებლად ორი გოლი და მერე მოგება განაღლდებულია.

და ეს ორი გოლი უნგრელებმა გაიტანეს (მეორე ბურთის შესახებ, რომელიც პილეგუტიმ თავით გაგზავნა მოწინააღმდეგის კარში, წერდნენ, რომ ეს იყო შედევრი). თითქოს ყველაფერი რიგზე იყო, შეგრამ გეგმის მეორე ნახევრის შესრულება უნგრელთათვის რთულ იმოცანად იქცა და მატჩის დასასრულამდე ურუგვაულებმა ორივე ბურთი გაქვითეს—2:2.

დაინიშნა დამატებითი დრო—30 წუთი. ძნელად თუ ეინმე იფიქრებდა ოლიმპიური ჩენვიონის გადარჩენას, ორჯერ, ხობბერგისა და ბორგესის გარღვევების შემდეგ, გრიშინის კარი ბეწვეუკიდა, მაგრამ ბედი ამჯერად აშკარად წყალობდა მექარეს და იგი ორჯერ სასწაულით გადაურჩა ბურთის გამოტანას ბადიდან, ხოლო შემდგომში, როცა ურუგვაელთა ექსტაზი შენელდა, უნგრელებმა წინ გადაიტანეს თამაში. ზედიზედ ორი გოლი გაიტანეს მოწინააღმდეგის კარში და გაიმარჯვეს ანგარიშით 4:2.

და აი, მაშინ, როცა მაყურებლები, სპეციალისტები, უურნალისტები გართული იყვნენ უნგრეთის განთქმული ფეხბურთელების ბრძოლით სამხრეთ ამერიკის უძლიერეს გუნდებთან და მომავალ მსოფლიო ჩემპიონს აქ ეძებდნენ, ფინალისაკენ დინჯად და დამაჯერებლად მიიწევდა დასავლეთ გერმანიის გუნდი. გერმანელთა

ამ გამარჯვებათათვის დასაწყისში ყურადღება არავის მიუქმდება, ეინაიდან ვიღაცა ვიღაცას ყოველთვის უგებს. და მერე სხვასთან ავებს ხოლმე. ეს ჩვეულებრივი ამბავია. მაგრამ გერმანელები თურ-მე სულაც არ აპირებდნენ „მერე“ წაგებას.

აზრად მოუკიდოდა შაგალითად ვინჩეს, რომ დასავლეთ გერ-მანია მოუკებდა იუგოსლავის ძლიერ გუნდს? ალბათ რავის, გარდა თვით გერმანელებისა. ისინი თამაშობდნენ ყოველგვარი გარეგნული ეფექტისა და სილამაზის გარეშე, თამაშობდნენ მოფიქრებულად, საიმედოდ, ზუსტი ურთიერთმოქმედებით დაცუაში, უდიდესი ყურა-დლებითა და მონდომებით თავდასხმიში. იუგოსლაველებს (ისევე, როგორც მატჩე დამსწრე მაყურებლებს) ბოლომდე არ დაუკარ-გავთ იმედი, რომ მოიგებდნენ თამაშს, მაგრამ გავიდა 90 წუთი და ფარებზე ეწერა 2:0 გერმანელ ფეხბურთელთა სასარგებლოდ.

ამ შეიძლება მატჩის შემდეგ გერმანელებმა კიდევ უფრო საოცარი სიურპრიზი მიართეს იყსტრიის ძლიერ გუნდს. იყსტრიიელები მინ-დორზე გამოვიდნენ თავიანთ გამარჯვებაში ღრმად დარწმუნებული და „საეკონურტო“ სტანდი დაიწყეს თამაში: ღრმაზი „ტრიუქ-ბით“, მოხდენილი გადაცემებით. სანამ ისინი ერთმანეთს ეჯიბრე-ბოდნენ ამ კოსტაობაში, დასავლეთ გერმანიის გუნდი მეთოდურად, თანდათან იძლიერებდა შეტევას და სულ უფრო ეუფლებოდა ინიციატივას. პირველი ბურთი იყსტრიიელებმა თავიანთ კარში ღიმილით მიიღეს, როგორც გაუგებრობა, როგორც შემთხვევითობა, მაგრამ პირველ ბურთს მოყენებორე, მესამე და აქ ყველასათვის ცხადი გახდა, რომ გერმანელთა გუნდი ესაა შეაცრი დისკიპლინის მქონე, შეთამაშებული ანსამბლი, ერთ საერთო გეგმას დამორჩილე-ბული მექანიზმი, რომლისთვისაც თამაშის ღროს არ არსებობს პირველხარისხოვანი საქმეები და ე. წ. „ზევი სამუშაო“. თამაშში ყველაფერს დიდი მნიშვნელობა იქვს და ამიტომ ყველაფერი უნდა დროზი და კეთილსინდისიერად გაკეთდეს.

ამჩინად, დასავლეთ გერმანიის იმ გუნდს შორის, რომელმაც დაიწყო გათამაშება და რომელიც ფინალში გავიდა, დიდი განსხვა-ვება იყო. იგი გაძლიერდა, გამოიწროთ და მაინც ფინალური მატ-ჩის შესახებ ორი აზრი არ არსებობდა. იგი უნგრელებს უნდა მოე-გოთ.

ასე ფიქრობდა ყველა, ვინაიდან ჯერ კიდევ ქვეყნებში შეხვედრისას უნგრელებმა იოლად დაამარცხეს დასავლეთ გერ-მანიის ნაერები ანგარიშით 8:3. რა პროგრესი უნდა განეცადათ გერმანელებს, რომ ამ 5 ბურთის განსხვავება მოესპონ?

გერმანიის გუნდის მწვრთნელის, „ფეხბურთის მელას“ ზ. პერ-ბერგერის სტრატეგიული მანევრი უნგრელებმა სრული მნიშვნე-

ლობით შეაფასეს მხოლოდ მაშინ, როცა გერმანიის გუნდის შეძლებელი შეძლო და სამშობლოში წილო მათთვის განკუთვნილი კქროს მედლები. ზ. პერბერერმა კარგად იცოდა, თუ რას ნიშნავდა უნგრეთის გუნდთან თამაში, ამიტომ მან ქვეჯგუფში გამოიყანა არა ნამდვილი საბრძოლო შემადგენლომა, არამედ შესუსტებული გუნდი, რომელმაც წააგო კიდეც მატჩი. მაგრამ ამ დამარცხებას გერმანელთათვის პრაქტიკული მნიშვნელობა აღარ ჰქონდა, ვინაიდან მეოთხედოთინალში გასვლა მათ უკვე გაინაღდას, ძირითადი მოთამაშების დასვენებას კი დიდი მნიშვნელობა ჰქონდა და ეს მოქლევადიანი „შეებულება“ სრულად იქნა გამოყენებული.

70 ათასი მაყურებელი უცდედა „ვანკდორფის“ სტადიონზე ფინალური მატჩის დაწყებას.

დაწყო თამაში და უკვე ათი წუთის შემდეგ ყველაფერი „რიგზე იყო“—უნგრელებმა დასაწყისშივე გაიტანეს თავიანთი ტრადიციული ულუფა—2 გოლი. გერმანელები თამაშს განაგრძობდნენ ჩეებული შეუპოვრობითა და სიღინჯით, ყოველგვარი პანიკის გარეშე. გადიოდა დრო და ისინი სულ უფროდაუფრო ეუფლებოდნენ მინდორს, სულ უფროდაუფრო დამაჯერებელი იყო მათი იერიშები. მხოლოდ მაშინ მიხვდნენ უნგრელი ფეხბურთელები, თუ რა ფასად ულირდათ ორი გამარჯვება სამხრეთ ამერიკის უძლიერეს გუნდებთან, მათი ფიზიკური ძალა და მორალური სიმტკიცე გამოფიტული აღოჩნდა, თანდათან იჩენდა თავს მოწინააღმდეგის შეეფასებლობაც.

შეფერმა და რანმა გაქვეითეს ანგარიში—2 : 2. მატჩის დამთავრებას აყლდა 5 წუთი, როცა ნახევარმცველმა ბოეიქმა თავისი საჯარიშო მოედნის მახლობლად დაკარგა ბურთი. იგი გადაეცა მორლექს, მისგან რანს და ამ უკანასკნელმა ლანტოშთან ბრძოლაში რაღაც სასწაულით მოასწრო კარში დარტყმა. გრომიჩის ნახტოში წამით დაიგვიანა და ბურთი ბადეში გაეხვია—3 : 2.

დარჩენილი ხუთი წუთი მთელ მატჩიდ ლირდა. უნგრელთა შტურმი გრიგალს წააგიუდა. მალე გერმანელთა კარში გატანილ იქნა კიდეც გოლი, რომელიც მსაჯმა ჩათვალი, მაგრამ გვერდითი მსაჯი დაეინებით ამტკიცებდა, რომ თავდამსხმელი თამაშები მდგომარეობაში იმყოფებოდა და მისი ეს კატეგორიული მოხხოვნა დაქმაყოფილებულ იქნა. ლინგმა არ ჩათვალა გოლი. მატჩის უკანასკნელ წუთზე ჰიდეგეცუტი სრულიად მარტო გავიდა მექანის პირისპირ, მაგრამ ილბათ ზედმეტი მდელვარებისაგან პირდაპირ ხელებში მისცა მას ბურთი. ეს იყო უნგრელთა უკანასკნელი შანსი. დრო აღარ დარჩა—3 : 2.

ეს მოხდა 1954 წლის 4 ივნისს. მსოფლიო ჩემპიონთა სიაში გამოჩენდა ახალი სახელი—გერმანიის ფედერაციული ოქსპუბლიკა. გერმანიის გუნდმა პირველობა მოიგო მოწინააღმდეგეთა ძლიერი და სუსტი მხარეების გათვალისწინებით, უალრესად თავგანწირული, ენერგიული თამაშის წყალობით. უცხოური გაზეთები წერდნენ, რომ ფინალური მატჩის შემდეგ გერმანელი ფეხბურთელები დალლილობისაგან ძლიერ იდგნენ ფეხზე და ექიმს სათითაოდ მოჰყავდა ისინი გრძენობაზე.

ვისი რა საქმეა, რაც გასახდელში ხდებოდა. მსოფლიო ჩემპიონობა დაულელიად არავის მოუბოვებია და თუ გერმანელები სხვაზე უფრო მეტად დაიდალნენ, ეს კიდევ უფრო ხაზს უსკაშს მათს შრომისუნარიანობას, თავდადებას, სპორტულ ეინს.

ასე დამთავრდა მეხუთე მსოფლიო ჩემპიონატი და მისი „დრამატიული ფინალი“. ასე გაუშევს უნგრელმა ფეხბურთელებმა ხელიდან ოქროს ჭალლმერთის თასი.

შპეცია, 1958 წელი

ის, რაც აღრი მოხდა

1956 წლის 3 ოქტომბერს დუბლინში შედგა მატჩი ირლანდიისა და დანიის გუნდებს შორის. ირლანდიელებმა სტუმრები დაამარცხეს ანგარიშით 2:1.

ეს იყო გრანდიოზული მასშტაბის საფეხბურთო შეჯიბრების დასაწყისი, რომლის მსგავსი არ ასოცის მსოფლიო პირველობის ისტორიას. ირმოცუდაათმა სახელმწიფომ განაცხადა სურვილი მონაწილეობა მიეღო თქმის ქალღმერთისათვის ბრძოლაში და ამ ოთხი კონტინენტის წარმომადგენლებიდან (ავსტრალიამ ჯერჯერობით ვერ ისანა თავი ეროვნული თამაშის —კრიკეტის ტურნირან და არავის ედავება საფეხბურთო მინდობრზე) საბოლოოდ უნდა დარჩენილიყო მხოლოდ ერთი, ერთადერთი უძლიერესი გუნდი— მსოფლიოს ჩემპიონი.

VI ჩემპიონატს არავითარი „მაგრამ“ არ დაყოლია თავიდანეე მონაწილეთა კონტინგენტის მხრივ. აქ იყო ყველა, ვინც კი თამაშობს ფეხბურთს: ისეთი ავტორიტეტებიც, როგორიც არიან მსოფლიოს ორგზის ჩემპიონები ურუგვაი და იტალია, და ისეთი გუნდებიც, რომელთა სახელის გაგონებაზე ფეხბურთის სპეციალისტები მხოლოდ მხრებს იჩენ და გარკვეულს ვერაფერს ამბობენ — სუდანი, სირია, კიურასათ და სხვა მათი მსგავსნი. წინ იყო გრძელი და მომქანცავი გზა, გზა შესარჩევი თამაშებიდან ფინალური ჯგუფისაკენ, რომლის გავლა „ფეხის დაუცდენლად“ უალრესად რთულსა და ძნელ საქმეს წარმოადგენდა.

კანონიერი „პროტექცია“ მიეცა გერმანიის ფედერაციული

რესპუბლიკის გუნდს, როგორც მსოფლიო ჩემპიონს, და შეეციას, როგორც გათამაშების ორგანიზატორს. ეს ორი ადგილი გათამაშების დებულებით იყო გათვალისწინებული მათთვის და მთელი დანარჩენი საფეხბურთო მსოფლიოსათვის დარჩა ცოტა, ერთობ ცოტა—სულ რაღაც 14 ვაკანტური ადგილი.

აი ამ ვაკანტური ადგილებისათვის დაიწყო მრძოლა 1956 წლის 3 ოქტომბერს.

ასეთი მასშტაბის შეჯიბრებისათვის საჭირო იყო დეტალურად შემუშავებული, ობიექტური და სამართლიანი დებულება, საღაც კველას თანაბარი უფლება და პირობები უნდა ჰქონოდა როგორც შესარჩევ ჯგუფებში, ისე ფინალში.

და შეიძლება ითქვას, რომ ასეთი ფორმულა იქნა კიდევ გამონახული (რა თქმა უნდა, შესაძლებლობის ფარგლებში). ოლიმპიურ სისტემაზე ლაპარაკიც ზედმეტი იყო, ვინაიდან სწორედ კენჭისყრას ახლავს თან ყველაზე მეტი მოულოდნელობანი და გარდა ამისა, ვანი სამართლიანი იქნებოდა, რომ ერთი (შეიძლება შემთხვევით) წაგების შემდეგ გუნდს ჯერ კიდევ შესარჩევ თამაშებში მინცვრილან ტრიბუნებზე გადაენაცვლა?

წრიული სისტემის წინააღმდეგი პრინციპში, რასაკვირველია, არავინაა, მაგრამ, აბა წარმოიდგინეთ, 50 გუნდის შეხვედრები ერთმანეთთან ორ-ორჯერ! ვინ აუგა მათს მგზავრობას ერთი კონტინენტიდან მეორეზე, სადაა ამდენი დრო და შესაძლებლობა!

ამიტომ ყველას ჯობია წრიული და ოლიმპიური სისტემების შეხამება. პრეტენზიებიც ნაკლები იქნება და მომდევრაციც. სწორედ ეს ჰქონდა მხედველობაში „ფიფას“, როცა მთელი საფეხბურთო მსოფლიო დამყო 14 ჯგუფად 14 ფინალისტის გამოსავლენად.

პრინციპი—თამაშები საკუთარ და მოწინააღმდეგის მინდვრებზე, გათვალისწინებულ იქნა უპირველეს ყოვლისა, ვინაიდან საკუთარი მინდორი ეს ნიშნავს ნაცნობ, შშობლიურ ატმოსფეროში თამაშს, ეს ნიშნავს თვეისი სტადიონის ტრიბუნებიდან მრავალათასიანი გულშემატკიცირის განუწყვეტილ მხარდაჭერას და ვინ არ იყოს, რომ ეს აკმბონებენტი დიდი დაშმარებაა ფეხბურთში და რომ იგი სანახევროდ უნდა გაიყონ მოწინააღმდეგებმა.

ტურილად კი არ ამბობენ ფეხბურთის სპეციალისტები: „მიალწიე ფრეს მოწინააღმდეგის მინდორზე და შენ უკვე გამარჯვებული ხარ“.

საბოლოოდ, 14 ვაკანტური ადგილი ასე განაწილდა: ევროპა — 9 ადგილი, სამხრეთ ამერიკა—3 ადგილი, ცენტრალური და

ნერდილოეთ ამერიკა—1 ადგილი, აზია და აფრიკა—1 ადგილი.
აი ამ ზონებში მიმდინარეობდა ბრძოლა ფინალში გასულისა—
თვის.

ე პ რ ტ კ ა

მასრავლებლებია კვლავ დაიბრუნოს კათედრა

პროგნოზები, პროგნოზები, პროგნოზები...

ეს ნამდვილი საფეხბურთო ავადმყოფობაა. ჯერ არ ყოფილა
მატები, არ ყოფილა სულ უბრალო შეჯიბრებაც კი, რომელსაც
წინ არ უძლოდეს დავა, პაქტონია, წინასწარმეტყველება და პრო-
გნოზები.

გულშემატკიცარი მიღის სტადიონზე და ლრმადაა დარწმუნე-
ბული, რომ მისი წინასწარმეტყველება ზუსტი და შეუცდომელია,
ხოლო რაც შეეხება ისეთ დიდ შეჯიბრებებს, როგორიცაა მსოფ-
ლიო პირველობა, აյ პროგნოზებით დაკავებულია მთელი საფეხბუ-
რთო სამყარო, გაზეთები, რადიო, ტელეხედვა და... ამინდის ბიუ-
როც კი.

პროგნოზები არ აკლდა ევროპის ზონის პირველ ჯგუფსაც—
აქ თავმოყრილი იყვნენ ინგლისის, ირლანდიისა და დანიის გუნ-
დები და საყოველთაო წინასწარმეტყველება გამარჯვებას ინგლი-
სის ფეხბურთოლებს უქადა.

მართლაც, ამ ვარაუდს რეალური საფურველი ჰქონდა. კონ-
სერვატორები, რომლებსაც ათეული წლების განმავლობაში არ სურ-
დათ ეცნოთ „დანარჩენი სამყარო“, ბოლოსდაბოლოს გონის მოვი-
დნენ. შეწყვიტეს განდგომის პოლიტიკა და ჩაეგნენ საერთაშორისო
საფეხბურთო ცხოვრებაში. მართალია, ამ კარანტინის შემდეგ
ყოფილმა მასწავლებლებმა შეარე გაკეთილი მიიღეს უნგრელები-
საგან (3 : 6 და 1 : 7), მაგრამ, ეტყობა, უამისოდ არც შეიიღებოდა—
ინგლისელები საბოლოოდ გამოფხიზლდნენ და სერიოზულად შეუდ-
ვნენ ნამდვილი, ბრძოლისუნარიანი ნაკრების შედგენას.

მაგრამ ოლი სათქმელია—ნაკრების შედგენა. ეს ინგლისური
უებბურთის სინამდვილეში ქრონიკულ სიძნელეებთანაა დაკავშირე-
ბული. საქმე იმაში კი არაა, რომ ამ ქვეყანაში არ არიან ბლიერი
უებბურთელები. პირიქით, აქ რამდენიმე ათასი პროფესიონალი
მოთამაშეა და მათს შორის ნაკრების კანდიდატთა რაოდენობა იმ-
დენად დიდია, რომ ჭირს ოციიდე ნამდვილად უძლიერესის შერ-
ჩევა. ეს კიდევ არაფერი. ეროვნული ნაკრების მწერლნელის არჩე-
ვე

ვანი ყოველთვის ეჯახება კლუბების მფლობელთა ეგოისტურ, წმინდა კომერციულ ინტერესებს. თვითეული ის „ვარსკვლავი“, რომელმაც ადგილი უნდა დაიკავოს ნაკრებში, მეტად ძირიად ფისობს (საშუალოდ 30-50 ათას სტერლინგად) და არც ერთ კლუბს არ სურს სარისკოდ გასწიროს ეს „ოქტოს ფეხები“.

„ინგლისის სპორტული ღირსება, პატრიოტიზმი? ომ, დიახ, დიახ!—ამბობენ ისინი,—მაგრამ რატომ უნდა გავწიო რისკი შე და არა ჩემმა მეზობელმა?“ ალბათ, ამიტომა, რომ არასოდეს არ შეუდგენიათ ინგლისის ნაკრები ერთი რომელიმე უძლიერესი კლუბის ბაზაზე, თუმცა იქ საბოლოოდ დარწმუნდნენ, რომ 11 „ვარსკვლავი“ ეს ჯერ კიდევ არაა საუკეთესო გუნდი.

უნგრეთთან განცდილმა დამარცხებამ აიძულა ინგლისის ფეხბურთა და კლუბები ესტონათ საუკეთესო გუნდის ჩამოყალიბებაზე. ასეთი გუნდი შეიქმნა კიდევ და, თუმცა მიუნშენში განცდილმა საშინელმა საერთაკო კატასტროფამ ინგლისურ ფეხბურთს გამოსტაცა სამი ბრწყინვალე ფეხბურთელი, მასწავლებლებმა დაიბრუნეს რელი ავტორიტეტი, დაიბრუნეს დაკარგული „ქათედრა“ და კელავ მტკიცედ ჩადგნენ ლიდერთა შორის.

დინჯი, საკუთარ ძალებში დარწმუნებული ინგლისელი პროფესიონალები თამაშობენ უალრესად ეკონომიკურად, მიზანდასახულად, ისინი თავითანთ ტექნიკას იყენებენ საქმიანად, ზედმეტი და უსარგებლო ეფექტური გარეშე, ასეთი დევიზით: ტექნიკა ტაქტიკის სამსახურში.

ამიტომ იყო, რომ ყველა ერთხმად გამარჯვებას უქადა ინვალისელთა გუნდს. ინგლისელებმა საქმიანდ ითვლად მიაღწიეს წარმატებას ქვეჯგუფში. ისინი გათამაშებაში ჩაებნენ 1956 წლის 5 დეკემბერს, როცა ვულვერჟემპტონში მიიღეს დანიის გუნდი და დამარცხეს იგი ანგარიშით 5:2. ამის შემდეგ ინგლისელები ლონდონში შეხვდნენ ირლანდიის ნაკრებს და უკვე პირველ ტაიმში 4 „მშრალი“ ბურთი გაიტანეს მოწინააღმდეგის კარში. მეორე ტაიმი მათ ფაქტიურად იღარ იინტერესებდათ. ამიტომ ირლანდიელებს საშუალება მიეცათ ცოტა მაინც ამოესუნთქათ და თავი ეხსნათ გამანადგურებელი ანგარიშისაგან. საბოლოოდ გაიმარჯვეს ინგლისელებმა ანგარიშით 5:1.

საპასუხო მატჩი კოპენბაგენში დანიელებმა ინგლისთან კვლავ წააგეს - 1:4, ხოლო ირლანდიამ თავის მინდორზე დუბლინში თანაბრად ითამაშა ლიდერთან - 1:1.

საბოლოოდ ამ ჯგუფში ჩატარებულ მატჩებს ასეთი სახე აქვს (ფრჩხილებში აღნიშნულია პირველი ტაიმის შედეგი):

I ჯგუფი



ირლანდია—დანია 2:1 (2:0) 3/X—1956 დუბლინი ინგლისი—დანია 5:2 (2:1) 5/XII—1956 ვულვერქემპტონი ინგლისი—ირლანდია 5:1 (4:0) 8/V—1957 ლონდონი დანია—ინგლისი 1:4 (1:1) 15/V—1957 კოპენჰაგენი ირლანდია—ინგლისი 1:1 (1:0) 19/V—1957 ლუბლინი დანია—ირლანდია 0:2 (0:0) 2/X—1957 კოპენჰაგენი

	გ.	ყ.	წ.	ბ.	ქ.
ინგლისი	3	1	0	15:5	7
ირლანდია	2	1	1	6:7	5
დანია	0	0	4	4:13	0

1/8 ფინალში გაეიდა ინგლისის გუნდი.

ფინალის ეძღვევის «ლოროვილ შვილები»

სწორედ მაშინ, როცა ინგლისელები ვადაზე ადრე და გადა- ჭარბებით ასრულებდნენ გეგმას, ფრანგებს თავიანთ ქვეჯგუფში ერთადერთი სადარდელი ჰქონდათ—ბელგიის გუნდი. მესამე მო- ნაწილეს – ისლანდიას, არც ფრანგები და არც ბელგიელები სერიო- ზულ ყურადღებას არ აქცევდნენ, ვინაიდან ამ სუსტიანი ქვეყნის ფეხბურთელები არც არიან სათვალიერი ჩასაგდები.

საფრანგეთის ნაკრების შექრონელმა ა. ბატიემ თავიდანეე გარ- კვეთ და კონკრეტულად დაუსახა თავის გუნდს სამოქმედო გეგ- მა: მოგება პარიზში და ფრე ბრიუსელში. ეს იყო სავალდებულო მინისტრი, რომელის შესრულების შემდეგ ფრანგების ბუჭხალტერია წესრიგში იქნებოდა ყოველგვარ გართულებათა გარეშე. ეს გეგმა ბელგიელებმაც კარგად იცოდნენ, ვინაიდან თვითონაც ზუსტად ასეთი პროგრამა ჰქონდათ: ერთი მოგება და ერთი ფრე.

და თითქოს განგებ, კალენდარი ამ ჯგუფში შედგა ისე, რომ ფაეორიტები ერთმანეთს შეხვდნენ დასაწყისში და დასასრულს— სწორედ იმ დასაწყისში დამარცხეს ფრანგებმა თავიანთი ძირით- ადი კონკურენტი პარიზში და საქმაოდ იოლადა— 6:3. დანარ- ჩენი მატჩები ისლანდიელებთან მიმდინარეობდა ზუსტად „გრაფი- კის“ მიხედვით, როგორც საწერონელი ვარჯიშები, სანი არ მოახ- ლოვდა საფრანგეთისა და ბელგიის გუნდების განშეორებითი შეხვე- დრა ბრიუსელში.

ფრანგების ამოცანა გაცილებით უფრო იოლი იყო, ვინაიდან საქმის ნახევარი მათ უკვე მოთავებული ჰქონდათ, მაგრამ ამ დროი-

სათვის გუნდი არ იყო შესაფერის ფორმაში, ძირითად შემაღებელ-ლობაში შეიცვალა ომდენიმე მოთამაშე და საქმის მორჩე ნახევრის ძმიდებიდანად მოთავებაზე მათ უკვე იღარა პერიოდული პირეანდელი ოპტიმისტური შეხედულება.

ამიტომ იყო, რომ 27 ოქტომბრის გატჩა „ეიზელის“ სტადიონზე სულ 10 დღითად შეეძლო ჩატუშია ა. ბატის გეგმა და მაშინ მოწინააღმდეგენი კიდევ ერთხელ უნდა შესვედროდნენ დამატებით მატჩში. ეს კი იხალ უსიამოვნებებს იწვევდა.

ამ გადამწყვეტ შესვედრაში საფრანგეთის ნაკრების ფორვარდებმა ვერც ერთი ბურთი ვერ გაიტანეს, მაგრამ ამჯერად თავი ისახელა დაცემ (თუმცა, მოელოდნენ პირიქით) და უშედეგოდ დამთავრებულმა მატჩმა — 0 : 0 ფრანგებს მოუტანა 7 კულა, რაც სრულიად საქმარისი იყო ფინალურ ჯგუფში გასასვლელად.

საფრანგეთის ნაკრების ხელმძღვანელობას მტკიცედ პერიოდა გადაწყვეტილი ამჯერად მაინც მიეღწია სერიოზული წარმატებისათვის მსოფლიო ჩემპიონატში და ამიტომ შეუდგა თავისი „ლტოლვილი შეილის“, განთქმული ფორვარდის რაიმონ კოპას ძებნას, თუმცა კაცმა რომ თქვას, საძებნელი აქ ბევრი არაფერი იყო. სულ მცირე ხნის წინ ფრანგებმა თევითონ ასე გულიყვად გაძჰიდეს რ. კოპა და შშენივრად იცოდნენ სადაც — ესპანეთში. ახლა კი ცრემლმორეულნი ეხევწებოდნენ „რეალ-მადრიდს“, სულ ცოტა ხნით მაინც ეთხოვებინათ მათთვის მათივე ქვეშევრდომი — რაიმონ კოპა.

შართალია, აქა-აქ გაისმოდა ხმები, თითქოს „გაესპანელებული ფრანგი“ ველარ აეწყობოდა თავის რეელ მევობრებს „რეიმსის“ გუნდიდან, რომლებიც ეროვნული ნაკრების ძირითად ბირთვეს წარმოადგენდნენ. ეს შიში უსაფუძვლო გამოდგა. სწორედ რ. კოპამ მოიტანა გუნდში ის, რაც საჭირო იყო: შეთამაშება, კოლექტიურობა, ზუსტი ურთიერთმოქმედება და მოწინააღმდეგის კართან შექმნილ შესაძლებლობათა გამოყენება.



რაიმონ კოპა — საფრანგეთის ნაკრების კუმბინაციათა მთავარი ორგანიზაციის და სულისამღვმელი.

II ჯგუფი

საფრანგეთი — ბელგია 6:3 (4:1) 11/XI—1956 პარიზი
 საფრანგეთი — ისლანდია 8:0 (5:0) 2/VI—1957 ნანტი
 ბელგია — ისლანდია 8:3 (7:1) 5/VI—1957 ბრიუსელი
 ისლანდია — საფრანგეთი 1:5 (0:2) 1/IX—1957 რეიქიავიკი
 ისლანდია — ბელგია 2:5 (0:2) 4/IX—1957 რეიქიავიკი
 ბელგია — საფრანგეთი 0:0 (0:0) 27/X—1957 ბრიუსელი

	გ.	ფ.	წ.	პ.	ქ.
საფრანგეთი	3	1	0	19:4	7
ბელგია	2	1	1	16:11	5
ისლანდია	0	0	4	6:26	0

1/8 ფინალში გავიდა საფრანგეთის გუნდი.

უცხოულები ფიც ცდები

შეიძლება ეს კაცს მოჩეკნებოდა რომანტიკულ და გულისამა-ნუყებელ სურათად, მაგრამ უნგრეთის საუკეთესო ფეხბურთელებს, ეროვნული ნაკრების კანდიდატებს გული არ აჩვებით. ისინი საესებით სერიოზულად იდგნენ სმენაზე გაჭიმულნი და თავიანთი ქვეყნის საფეხბურთო კავშირის თავმჯდომარე შანდორ ბარნითან ერთად იმეორებდნენ ფიცს სიტყვებს:

„ფიცსა ვდებ, მოელი ჩემი ცოდნითა და შეურყიველი სურ-ეილით მიეკალშიო იმას, რომ მსოფლიო პირველობისათვის მზადების დროს და მსოფლიო ჩემპიონატში, ჩემი ძალითა და უნარით ხელი შეეუწყო უნგრეთის გუნდის წარმატებას... ფიცსა ვდებ, რომ მოელი ჩემი შრომა და მოქმედება გამსჭვალულია კეშმარიტი პატ-რიოტიშითა და ურთიერთთანამშრომლობის სულისკეთებით“.

რამ აიძულა უნგრელი ფეხბურთელები ფიცი დაედოთ? რა გაუჭირდა ისეთ გუნდს, რომელიც საფეხბურთო პორიზონტზე წლების განმავლობაში ისე ბრწყინვადა?

„ბერნის ტრაგედია“ მძიმედ დაემჩნა უნგრეთის განაქმულ გუნდს. მოხდა ცვლილებანი ძირითად შემაღენლობაში, მოელი რიგი შეხედრები გუნდმა არათანაბარი ძალით ჩატარა, ახალგაზრდობა ვერ აჩვენებდა სტაბილურ თამაშს.

როცა ცნობილი გახდა მესამე ჯგუფის შემაღენლობა (უნგრეთი, ბულგარეთი, ნორვეგია) ფეხბურთის სპეციალისტთა და მიმოშვილელთა საერთო ლოგიური დასკვნა აზრთა სხვადასხვაობას 40

არ წაწყდომია: ნორვეგია სათვალავში ჩასაგდები არაა, ბრძოლა
იწარმოებს ორ გუნდს—უნგრეთსა და ბულგარეთს შორის.

ლოგიკა ლოგიკად დარჩა, ნორვეგიელებმა კი თავიანთ მინდო-
რზე მიიღეს უნგრეთის გუნდი და მაყურებელთა განუწყვეტილი
ლრიანცელის ქვეშ პირველი ტაბიში დამთავრეს ფრედ, ხოლო შესვე-
ნების შემდეგ გაიტანეს გადამწყვეტი ბურთი და გაიმარჯვეს ანგა-
რიშით 2 : 1.

ეს იყო „სიურპრიზი № 1“ ამ დროისათვის ბულგარელებს
უკი მოგებული პქონდათ მატჩი თსლოში იმავე ანგარიშით—2 : 1
და დიდი უბირატესობა გააჩნდათ მთავარი მოწინააღმდეგის წინა-
შე, მაგრამ უნგრეთის ფეხბურთის ხელმძღვანელობამ ასეთი ამო-
ცანა დაუსახა თავის გუნდს: ნორვეგია—ეს არაფერია, მთავარია
ორივე მატჩი მოვუგოთ ბულგარელებს, მაშინ ცველაფერი გამოს-
წორდება“.

და უნგრელმა ფეხბურთელებმა მართლაც მოიგეს ეს ორივე
შეტაც ძნელი და საპასუხისმგებლო შეხვედრა. მათ ნამდვილად
„უნგრულად“ ითამაშეს ბუდაპეშტში და გასტეხეს ძლიერი შეტო-
ქის წინააღმდეგობა—4 : 1. თსლოში აწეწილი საქმეები უნგრეთის
გუნდმა საბოლოოდ მოაგვარა 15 სექტემბერს, როცა სოფიაში
დაამარცხა ბულგარელი ფეხბურთელები ანგარიშით 2 : 1 და საბო-
ლოოდ გაინალდა პირველი იდგილი ჯგუფში. დარჩენილი მატჩი
ნორვეგიასთან საკუთარ მინდორზე უნგრელთათვის ფაქტიურად
რეანიმის აღების საშუალებას წარმოადგენდა და მათ იყარეს კიდევ
ჯაერი პირველ წრეში დამარცხებისათვის—5 : 0.

III ჯგუფი

ნორვეგია—ბულგარეთი 1 : 2 (0 : 1) 22/V—1957 თსლო

ნორვეგია—უნგრეთი 2 : 1 (1 : 1) 12/VI—1957 თსლო

უნგრეთი—ბულგარეთი 4 : 1 (3 : 0) 23/VI—1957 ბუდაპეშტი

ბულგარეთი—უნგრეთი 1 : 2 (1 : 2) 15/IX—1957 სოფია

ბულგარეთი—ნორვეგია 7 : 0 (3 : 0) 3/XI—1957 სოფია

უნგრეთი—ნორვეგია 5 : 0 (2 : 0) 10/XI—1957 ბუდაპეშტი

	პ.	ფ.	წ.	ბ.	კ.
უნგრეთი	3	0	1	12 : 4	6
ბულგარეთი	2	0	2	11 : 7	4
ნორვეგია	1	0	3	3 : 15	2

1,8 ფინალში გაეიდა უნგრეთის გუნდი.



ევროპის ზონის IV ჯგუფში, სადაც თავმოყრილი იყვნენ გერმანიანის დემოკრატიული რესპუბლიკის, ჩეხოსლოვაკიისა და უელსის გუნდები, წინასწარ „განწირულად“ გერმანელი ფეხბურთელები ზიანინდათ. პირველი ადგილის პრეტენდენტებად ასახულებულნენ ჩეხებს, რომლებმაც მთელ რიგ სერიოზულ წარმატებებს მიიღიეს ბოლო ხანებში, ასევე საიმედოდ მიაჩინდათ უელსის გუნდი, სადაც თამაშობდნენ ინგლისის პირველი ლიგის პროფესიონალი ფეხბურთელები და განთქმული ცენტრტორეარდი, გიგანტი ჯონ ჩარლზი, რომელშიც იტალიურმა კლუბმა „იუვენტუსმა“ საზღაპრო თანხა გადაიხადა — 65 ათასი გირეანქა სტერლინგი.

შაგრამ უელსის გუნდს ჯონ ჩარლზმაც ვერ უშველა და გერმანელებმა ლაიბციგში დაამარცხეს მოწინააღმდეგე, რომელსაც უკვე პჰონდა მოვებული მატჩი ჩეხოსლოვაკიასთან.

შემდგომში გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის გუნდმა ბრნოში (ჩეხოსლოვაკია) განიცადა მატჩი მასპინძლებისაგან ინგრიშით 1:3 და შეიქმნა ასეთი საინტერესო მდგომარეობა: ჩეხებს დარჩენილი პჰონდათ ერთი მატჩი გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკასთან. თუ ისინი დამარცხდებოდნენ, ხოლო უელსი თავის მინდორზე მოიგებდა შეხვედრის გერმანელებთან, სამიერე გუნდს ექნებოდა ქულათა თანაბარი რაოდენობა — 4 და მაშინ ამ ქვეჯგუფში ყველაფერი უნდა დაწყებულიყო თავიდან, თანაც სამისოდ საჭირო იქნებოდა ნეიტრალური მინდვრების გამონახვა.

ჩეხები სულაც არ აპირებდნენ ყველაფრის თავიდან დაწყებას. მათ ლაიბციგში ერთი ქულაც თავზე საყრელად ჰყოფნიდათ, მაგრამ შეტი დამაჯერებლობისათვის ეს მატჩი ჩეხების მიერ მოვებულიერია დიდი ინგრიშით 4:1 და ყველაფერი თავის რიგზე დადგა.

IV ჯგუფი

უელსი — ჩეხოსლოვაკია — 1:0 (0:0) 1/V — 1957 ქარდიფი

გდრი — უელსი — 2:1 (1:1) 19/V — 1957 ლაიბციგი

ჩეხოსლოვაკია — უელსი 2:0 (1:0) 26/V — 1957 პრაღა

ჩეხოსლოვაკია — გდრი 3:1 (0:1) 16/VI — 1957 ბრნო

უელსი — გდრი 4:1 (3:0) 25/IX — 1957 ქარდიფი

გდრი — ჩეხოსლოვაკია 1:4 (1:3) 27/X — 1957 ლაიბციგი



	გ.	ფ.	წ.	ბ.	მ- ნა კონკურსი 6 დიდი მომატების
ჩეხოსლოვაკია	3	0	1	9:3	
უელსი	2	0	2	6:5	4
გერმ	1	0	3	5:12	2

1/8 ფინალში გავიდა ჩეხოსლოვაკიის გუნდი.

ვენა—ვალეზისა და ფეხბურთის ჩაღაპი

ვინ არ იცის, რომ ავსტრიის ცენტრი ვენა—ესაა ვალების დედაქალაქი, იოჟან შტრაუსის დიდებულ მელოდიათა სამშობლოების საყოველთაოდ ცნობილია. მაგრამ დრონი იცვლებიან და დღეს რომ ვენელებს შეითხოთ: ვალების მოსმენას ინებებთ, თუ სტადიონზე წამობრძანდებით ფეხბურთის საყურებლიადო, ექვთ არ შეგვაროთ—სტადიონზე აღგილი არ გეყოფათ მაყურებელთა დასატევად.

რას იზამ, ასეთია ფეხბურთის ძალა დღეს და ავსტრიის მით უმეტეს აქვთ ფეხბურთის სიყვარულის უფლება, რომ მათი გუნდი ექვსი ჩატარებული მსოფლიო პირველობიდან ხუთჯერ გავიდა ფინალურ ჯგუფში და ამ ტრადიციის დარღვევა არც ამჯერად სურდათ აქაურ გულშემატკიცერებს, მით უმეტეს, როცა ცნობილი გახდა კენჭისყრის შედეგები და გამოვლინდა მე-5 ჯგუფის შემადგრომობა (ავსტრია, პოლანდია, ლუქსემბურგი). მათ კარგად იცოდნენ, რომ ლუქსემბურგი—ეს მხოლოდ დამატებაა პროგრამის ზევით, რომელსაც რამდენადმე მაინც სერიოზული კონკურენციის გაწევა არ შეუძლია მოწინააღმდეგოთვის.

პროგნოზი ამ შემთხვევაში სწორი გამოდგა. ლუქსემბურგის ნაკრებმა ოთხივე მატჩი წააგო, მიიღო თავის კარში 19 ბურთი, გაიტანა მხოლოდ 3 და უიმედოდ გამოემშვიდობა გათამაშებას.

ავსტრიელებს თავიდან მაინცამაინც არც პოლანდიისა ეშინოდათ, ვინაიდან ამ ქვეყნის ფეხბურთის ისტორიაში დიდი წარმატებები არ წერია, ხოლო ბოლო ხანებში მიღწეულ გამარჯვებებს, მათ შორის—გურ-თან ანგარიშით 2 : 1, ისინი თელიდნენ არა პოლანდიელთა მოგებად, არამედ გერმანელთა წაგებად.

გათამაშება ავსტრიელთათვის მართლაც ვალსით დაიწყო: მათთავიანთ სტადიონზე მსუბუქად და იოლად დაამარცხეს ლუქსემბურგი ანგარიშით 7 : 0, მაგრამ უკვე შემდგომ მატჩში საქმე სხვაგვარად წავიდა. 1957 წლის 26 მაისს ვენაში შედგა თამაში ავსტრიისა და პოლანდიის გუნდებს შორის. დამთავრდა პირველი ტამით და დამსტრენი თვალებს არ უჯერებდნენ—პოლანდიის „შემთხვევითი“ გუნდი წინ იყო ანგარიშით 2 : 0. 45 წუთის განშევლობაში სრული ქაოსი და აღრევა სუფევდა ავსტრიის გუნდში, ხოლო

ჰოლანდიელები დიდი აღმავლობით უტევდნენ მოწინააღმდეგეს და გასაქანს არ აძლევდნენ შას.

საქმე ცუდად იყო. აესტრიიელები აშეარა მარტის წინაშე იდგნენ ვინაიდან ზინ წაგებული მატჩის შემდეგ საიმედო პერსპექტივა აღარ ჩანდა და აესტრიიელებმა მეორე ტაიმში გამოავლინეს ფეხბურთი, რაც კი შეეძლოთ. ისინი მთელი მონდომებით, მთელი ძალით იმპონით იმპონდნენ დაკარგულის ასანაზღაურებლად. შემდგომი ამ მატჩს დიდი გამოხმაურება ჰქონდა პრესაში. გაზრდები წერდნენ, რომ მაყურებლები გაუგონარი ლრიანცელით მოითხოვდნენ თავიანთი გუნდის გამარჯვებას, რომ გერმანელი მსაჯი ცელნერი ყოველგვარი საშუალებით აპროლებდა ჰოლანდიელებს, ხოლო მის მიერ დანიშნული პენალტი მატჩის დამთავრებამდე რამდენიმე წელით ადრე, როცა ინგარიში გახდა 2 : 2, ეს იყო „წარმოუდგენელი საფეხბურთო თავხედობა“.

მაგრამ ასეა თუ ისე, აესტრიიელ ფეხბურთელთა თავგამოდებამ, მაყურებელთა მრისანე ყიეინამ და ცელნერის არაობიერტურმა სასტუმშა ჰოლანდიელებს წაგება მოუტანა ანგარიშით 2 : 3. დამარცხებულები დიდ იმედებს ამყარებდნენ „ფიფას“ სპეციალურ კომისიაზე, რომელსაც უნდა გაერჩია მათი პროტესტი; ეტყობა „ფიფას“ ოლარ უნდოდა ამ ინციდენტის გართულება და მატჩის შედეგი ძალაში დატოვა.

საპასუხო თამაში ამსტრიდაში აესტრიიელებმა გაკილებით შეკრინა ჩაატარეს, მიაღწიეს ფრეს და ერთხელ კიდევ გაინალდეს ფინალში გასელის უფლება.

V ჯგუფი

აესტრია—ლუქსემბურგი 7 : 0 (2 : 0) 3/IX—1956 ვენა

ჰოლანდია—ლუქსემბურგი 4 : 1 (2 : 1) 20/III—1957 როტერდამი

აესტრია—ჰოლანდია 3 : 2 (0 : 2) 26/V—1957 ვენა

ჰოლანდია—აესტრია 1 : 1 (0 : 1) 25/IX—1957 ამსტერდამი

ლუქსემბურგი—აესტრია 0 : 3 (0 : 1) 29/IX—1957 ლუქსემბურგი

ლუქსემბურგი—ჰოლანდია 2 : 5 (1 : 4) 13/X—1957 ლუქსემბურგი

	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
აესტრია	3	1	0	14 : 3	7
ჰოლანდია	2	1	1	12 : 7	5
ლუქსემბურგი	0	0	4	3 : 19	0
1/8 ფინალში გავიდა აესტრიის გუნდი.					

საბჭოთა კავშირის გუნდს მექენის ჯგუფში გამარჯვების უმცველ კანდიდატად თვლილნენ, ხოლო მის ძირითად მოწინააღმდეგები პოლონელი ფეხბურთელები მიაჩნდათ. მესამე მონაწილე—ფინეთი ეს იყო ისეთივე „პროგრამის დამატება“, როგორც, ეთქვათ, მეორე ჯგუფში ისლანდია, ან მეხუთეზი—ლუქსემბურგი. საერთო პროგნოზი ისეთი იყო: 1. სსრ კავშირი, 2. პოლონეთი, 3. ფინეთია.

დამთავრდა გათამაშება ჯგუფში და ოდგილები მართლაც ისე განაწილდა, როგორც პროგნოზით იყო გათვალისწინებული. მაგრამ წინასწარმეტყველებასა და სინამდვილეს შორის დიდი, მეტად დიდი განსხვავება აღმოჩნდა. პირველად საქმე არის ფინელმა ფეხბურთელებმა, როცა მოსკოვის „დინამის“ სტადიონზე სასტიკი წინააღმდეგობა გაუწიეს საბჭოთა კავშირის გუნდს და მხოლოდ დამამული და მძიმე ბრძოლის შემდეგ წააგეს მატჩი მინიმალური განსხვავებით - 1 : 2. ორივე ბურთი ფინელთა კარში გაიტანეს ნახევარმცველებმა ვოინოვმა და ნეტომ. საბჭოთა გუნდის თავდამსხმელებმა ბევრი უტრიალეს ფინელთა დაცვის საიდუმლოს, მაგრამ ვერაფერი მოუხერხეს და დასჯერდნენ თავიანთი ნახევარმცველების გოლებს.

ამ დროისათვის ფინელებს ერთი შეხედრა უკეთ ჰქონდათ წაგებული პოლონელებთან, ხოლო ჩექენ გუნდს—გამარჯვება პოლონეთთან. ყველაფერი დამოკიდებული იყო საბჭოთა კავშირისა და პოლონეთის გუნდების შეხედრაზე, რომელიც ვარშავაში შედგა 1957 წლის 20 ოქტომბერს.

პოლონელებმა ერთხელ კიდევ დაამტკიცეს თავიანთი მაღალი კლასი და მოიგეს შეხედრა ანგარიშით 2 : 1. საჭირო გახდა დამატებითი მატჩის ჩატარება.

სსრ კავშირი თუ პოლონეთი რომელი გუნდი მიიღებს „პას-პორტს“ შეეციაში გასამგზავრებლად? ეს საკითხი საყოველთაო ყურადღების ცენტრში იდგა არა შარტო ამ ორი ქვეყნის ფეხბურთის მოყვარულთათვის.

საფეხბურთო წრეები მოუთმენლად ელოდნენ ცნობებს საბჭოთა კავშირისა და პოლონეთის წარმომადგენელთა მოლაპარაკების

შესახებ, თუ სად და როდის უნდა ჩატარებულიყო მატჩი. ჟუნგა-
დატებად წამოყენებული იყო ოთხი ქალაქი: სტადიონი, ბელგრადი,
ლაიპციგი და სოფია. არჩევანი საბოლოოდ შეჩერდა ლაზეპლიგზე,
სადაც მთავარი სტადიონი 110
ათას კაცს იტევს.




საბჭოთა გუნდის თავდამსხმელი
ვალენტინ ივანოვი თამაშის
დროს.

ფეხბურთელთა უპირატესობა სულ უფროდაუფრო აშკარა ხდე-
ბოდა. მათ ორი „მშრალა“ ბურთი გაიტანეს პოლონელთა კარში
და გაიმარჯვეს ანგარიშით 2:0.

VI ჯგუფი

სსრკ—პოლონეთი 3:0 (1:0) 23/VI—1957 მოსკოვი
ფინეთი—პოლონეთი 1:3 (0:1) 5/VII—1957 პელსინკი
სსრკ—ფინეთი 2:1 (1:1) 27/VII—1957 მოსკოვი
ფინეთი—სსრკ 0:10 (0:7) 15/VIII—1957 პელსინკი
პოლონეთი—სსრკ 2:1 (1:0) 20/X—1957 ხოუვი
პოლონეთი—ფინეთი 5:0 (2:0) 3/XI—1957 ვარმავა

	მ.	ფ.	წ.	ბ.	კ.
სსრკ	3	0	1	16:3	6
პოლონეთი	-3	0	1	9:5	6
ფინეთი	0	0	4	2:19	0



გადაიხადეთ ჯარიმა

ფეხბურთში ხშირად ყველაფერი „უკუმა“ ხდება ხოლმე: წააგებ სწორედ იქ, სადაც მოგების ყველაზე მეტი იმედი გაქვს.

იუგოსლავიის გუნდს, მართალია, არ წაუგია მატჩი საბერძნეთში, სადაც იგი „საექსეურსიო“ თამაშს ელოდა, მაგრამ ის ერთი ქულა, რომელიც მან ითენში დაიარება 1957 წლის 5 მაისს, მეშვიდე ჯგუფის ფავორიტს შეიძლება მეტად ძეირიად დაჯდომიდა მონავალში. ბერძენში ფეხბურთელებმა კეშმარიტი ძევლი სპარტანული სიმტკიცე გამოავლინეს და ოუმცა ვერც თვითონ გაიტანეს ბურთი, არც მოწინააღმდეგეს მისცეს ამის საშუალება—0:0.

ეს იყო ნიშანი იმისა, რომ ბერძნები შეუფალ ციხე-სიმაგრეს წარმოადგენენ თავიანთ უბალახო, ქვასავით მაგარ მინდორზე. მაგრამ ამ უშედეგო მატჩს კინალამ შეეწირა ორიეე მოწინააღმდეგე. შათ „შინაურულად“ მოულაპარაკიათ იმის შესახებ, რომ შეხვედრის მსელელობაში შეეცვალათ მოთამაშები, რაც „ფიფას“ წესებით სასტიკად აკრძალულია საერთაშორისო ოფიციალურ ტურნირებში, მით უშეტეს მსოფლიო ჩემპიონატში.

აგენტურამ სასწრაოფოდ აცნობა უმაღლეს ორგანოს წესების ამ „ავაზაური“ დარღვევის „შესახებ და „ფიფამ“ გადაწყვიტა ორივე გუნდისათვის დამარცხება მიესახა, მაგრამ შემდეგ ვიღაცას აზრად მოუვიდა, რომ ასეთი სასჯელი სულ ითლად უხსნიდა გზას ფინალისაჲნ მესამე მონაწილეს—რუმინეთს, ამიტომ „ფიფამ“ შეცვალა თავისი პირვენდელი გადაწყვეტილება და ფულადი ჯარიმა შეუსავა წესრიგის დამრღვევთ.

სპარტანულ „ციხე-სიმაგრეს“ ცოტა ხანს შემდეგ წააწყდა რუმინეთის ძლიერი გუნდიც. ბრძოლა ამჯერადაც უაღრესად მწვავე და დაძაბული იყო და რუმინელებმა ძლიეს მიალწიეს მეტად ძნელ გამარჯვებას—2:1.

ეს იყო საბერძნეთის ფეხბურთელთა უკანასკნელი სიტყვა. დარჩენილ შეხვედრებში მოწინააღმდეგეთა მინდვრებზე მათ დამარცხება განიცადეს და გათამაშების ცხრილში ბოლო იდგილზე მოიკალათხს.

პირველი ადგილის მთავარმა კონკურენტებმა ფრედ ითამაშეს

ბუქარესტში—1:1. დარჩა უკანასკნელი მატჩი მათ შორის. ამ აქ წარმოსდგა იუგოსლაველთა წინაშე მთელი სიცხადით საბერძნეთში დაკარგული ქულის სიმძიმე. მათ მხოლოდ ერთი გამოსავალი ჰქონდათ—გამარჯვება, გაშინ, როცა რუმინელთათვის ფრეც საესებით საქმარისი იყო.

ეს არც ისე იოლი ამოცანა იუგოსლაველებშა წარმატებით გადაჭრეს, გაიმარჯვეს ანგარიშით 2:0 და მიიღეს სავირო ორი ქული.

VII ჯგუფი

საბერძნეთი—იუგოსლავია 0:0 (0:0) 5/V—1957 ათენი

საბერძნეთი—რუმინეთი 1:2 (1:1) 16/VI—1957 ათენი

რუმინეთი—საბერძნეთი 3:0 (0:0) 29/IX—1957 ბუქარესტი

რუმინეთი—იუგოსლავია 1:1 (0:0) 14/X—1957 ბუქარესტი

იუგოსლავია—საბერძნეთი 4:1 (2:1) 3/XI—1957 ბელგრადი

იუგოსლავია—რუმინეთი 2:0 (0:0) 17/XI—1957 ბელგრადი

	გ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
იუგოსლავია	2	2	0	7:2	6
რუმინეთი	2	1	1	6:4	5
საბერძნეთი	0	1	3	2:9	1

1/8 ფინალში გავიდა იუგოსლავიას გუნდი.

სპანდალი მატჩის ნაცვლად

1957 წლის 4 დეკემბერს ქ. ბელფასტში (ჩრდილოეთ ისლანდია) დანიშნული იყო მორიგი შესარჩევი მატჩი მსოფლიო პირველობაზე ფეხბურთში ევროპის ზონის მერვე ჯგუფში ჩრდილოეთი ირლანდიისა და ირალიის გუნდებს შორის.

მატჩის დღისათვის გუნდების მდგომარეობა ასეთი იყო:

	თ.	გ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
ჩრ. ირლანდია	3	1	1	1	4:2	3
პორტუგალია	3	1	1	1	4:4	3
ირალია	2	1	0	1	1:3	2

მსოფლიოს ორგზის ჩემპიონის—ირალიის გუნდის წინაშე რთული ამოცანა იდგა. ირალიიელებს ფრედ მაინც უნდა ეთამაშათ თავიანთ მთავარ შეტოქესთან და შემდევ დაემარცხებინათ პორტუგალია. ირალიიელებმა მხოლოდ უალრესად დაძაბული ბრძოლის შემდევ სძლიერ ჩრდ. ირლანდიის გუნდს რომში (1:0), ხოლო ლი-

საბონში მოულოდნელად წააგეს პორტუგალიის ნაკრებთან (0:3), ამიტომ ადვილი წარმოსადგენია 4 დეკემბრის მატჩის მინშველობა თრიფე გუნდისათვის.

იმ დღეს დიდი ბრიტანეთის კუნძულებზე განუშვერეტი ნისლი ჩამოწეა, რომელსაც აქ „სმოგს“ უწოდებენ. მანქანები ანთებული ფარებით დადოოდნენ და რამდენიმე ნაბიჯზე მაინც არაფერი ჩანდა. ტაქსის მძლოლებმა კატეგორიული უარი განაცხადეს მგზავრების გადაყვანაზე და თავიანთი მანქანები ქუჩის განაპირას დააყენეს ჩართული სინათლეებით.

ლონდონის იეროპორტი ამ დღეს არ ლებულობდა თვითმფრინავებს და უნგრელმა მსაჯმა, რომელსაც უნდა ჩაეტარებინა ჩრ. ირლანდიისა და იტალიის გუნდების მატჩი, ვერ შეძლო ჩამოსვლა. იტალიელმა ფეხბურთელებმა უარი განაცხადეს თამაშზე, თუ მატჩის მსაჯი ინგლისელი ან ირლანდიელი იქნებოდა.

ვინაიდან აქ არ იღმოჩნდა ისეთი ნეიტრალური მსაჯი, რომელსაც „ფიფას“ მიერ ნება ჰქონოდა, მომსახურებიდა მსოფლიო პირველობის მატჩებს, გუნდების წარმომადგენლებმა გადაწყვიტეს კალენდარული მატჩის ნაცვლად ამხანაგური შეხვედრა ჩაეტარებინათ. როცა ეს გადაწყვეტილება მაყურებლებს გამოუცხადეს რადიოთი, ტრიბუნებზე აღმოთების გრძვინეამ გადაიარა.

კალენდარული მატჩი არ შედგა, მაგრამ არც ამხანაგური შეხვედრა გამოვიდა, ვინაიდან იმ სკანდალს, რომელიც ბელფასტის სტადიონზე მოხდა, საერთო არაფერი ჰქონდა ამხანაგობასა და მეგობრობასთან.

სკანდალი დაიწყო იშით, რომ როცა იტალიის სახელმწიფო პიმინი სრულდებოდა, მაყურებლები განუწყვეტლივ ყვიროდნენ, უსტვენდნენ და ყოველგვარი საშუალებით ცდილობდნენ ჩაეხშოთ პიმინის ხმა, ხოლო თეთი მატჩის მსელელობა თრჯერ შეწყდა და ეს თავისებური „ანტრაქტები“ ფეხბურთელებმა ხულიგნობითა და მუშტი-კრიკით შეაგეს.

მატჩი დამთავრდა ფრედ—2:2, მაგრამ მსაჯის ფინალური სასტუნის შემდეგ აღვირიასნილმა მაყურებლებმა ტრიბუნებიდან შევინარ მინდორზე გადაინაცვლეს და მუშტებით დაერივნენ იტალიელებს. მხოლოდ მოლიცის აეტიური ჩარეცის შემდეგ გადაჩნდენ იტალიის ფეხბურთელები სიკედილს, თუმცა მათი ცენტრალური თავდამსხმელი უგრძნობ მდგომარეობაში მიიყვანეს სააგაღმყოფოში.

ბელფასტის ინციდენტმა მალე საერთაშორისო სკანდალის სახე მიიღო. იტალიის პარლამენტში ორმა დეპუტატმა აღმოთება გამოთქვა მათი სპორტსმენების შეურაცხყოფის გამო. შილანში შედგა 4. ბ. პაიჭაძე, ბ. ქორქია

დემონსტრაცია, სადაც ახალგაზრდები გამოდიოდნენ ლოზუნებით: „არ გვინდა ირლანდიელებთან თამაში. ისინი სპორტსმენები არ არიან!“

ფეხბურთის საერთაშორისო ფედერაციას ასეთი სკანდალებით ვერ გააკერძებ. მატჩი ჩრ. ირლანდიისა და იტალიის გუნდებს შორის მაინც შედგა ბელფასტში და გამარჯვება შასპინძლებმა მოიპოვეს ანგარიშით 2 : 1. ამის შემდეგ იტალიელებმა რევანში აიღეს პორტუგალიის გუნდთან შეხვედრაში თავიანთ მინდობრზე 3 : 0. ამან მსოფლიოს ორგზის ჩემპიონს მოუტანა მხოლოდ მორალური კმაყოფილება და არა ადგილი ფინალში.

საინტერესოა ერთი დეტალი. ირლანდიელებმა კინალამ უარი თქვეს ჩემპიონატში მონაწილეობაზე. ირლანდიაში აკრძალულია ფეხბურთის თამაში კვირა დღეებში და საფეხბურთო კავშირი სასტიკად წინააღმდეგი იყო შეეცვალა ეს აკრძალვა. ირლანდიის საფეხბურთო ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტმა ვილკენმა, რომელიც ყველასთან მჴიდრო კავშირში იმყოფება, განაცხადა: „კვირაში შეიძინ დღეა. არ მესმის, რატომაა საჭირო თამაში მაინც დამინც კვირა დღეს“.

მაგრამ ჩემპიონატის პროგრამით ორი თამაში კვირა დღეს დაემთხვეთ. მხოლოდ დიდი ფულადი ჯარიმის შიშით დართო ფედერაციამ ფეხბურთელებს თამაშის უფლება, ხოლო თვეთონ პასუხისმგებლობა მოიხსნა რელიგიური ღვთისმსახურების დარღვევისათვის.

VIII ჯგუფი

პორტუგალია—ჩრ. ირლანდია 1 : 1 (0 : 1) 16/I—1957 ლისაბონი

იტალია—ჩრ. ირლანდია 1 : 0 (1 : 0) 24/IV—1957 რომი
ჩრ. ირლანდია—პორტუგალია 3 : 0 (1 : 0) 1/V—1957 ბელგიაშტარი

პორტუგალია—იტალია 3 : 0 (1 : 0) 26/V—1957 ლისაბონი
ჩრ. ირლანდია—იტალია 2 : 1 (2 : 0) 15/XII—1957 ბელფასტი
იტალია—პორტუგალია 3 : 0 (1 : 0) 22/XII—1957 რომი

	გ.	ფ.	ბ.	ქ.
ჩრ. ირლანდია	2	1	1	6 : 3 5
იტალია	2	0	2	5 : 5 4
პორტუგალია	1	1	2	4 : 7 3

1/8 ფინალში გაეიდა ჩრდილოეთ ირლანდიის გუნდი.



მაღრიდში ცხოვრობს ერთი კაცი, რომელსაც ჰქვია სანტიაგოს, ბარნაბეუ. ესაა მეტად მდიდარი მრეწველი, გაქნილი ბიზნესმენი, რომლის მილიონები შორს სცდება ესპანეთის ფარგლებს. მისი სახელი ფართოდაა ცნობილი საერთაშორისო ბირეაზე.

სწორედ ამ სანტიაგო ბარნაბეუზე აჩბობენ, რომ ესპანეთის ეროვნული ფეხბურთის დაქვეითებაში შას დიდი ბრალი მიუძლვისო.

რაშია საქმე? რა კავშირი აქვს ვაჭარს ფეხბურთთან, მის აღმაფლობასა და დაქვეითებასთან?

აქვს. ესპანეთში აქვს. ს. ბარნაბეუს რთულ კომერციულ სისტემაში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ადგილი უკირავს ფეხბურთს და მისგან მიღებულ შემოსავალს. იყია განთქმული „რეალ“ მაღრიდის პატრიონი, რომელიც ფაქტურად ტონის მიმეტია ესპანეთის ფეხბურთში.

„რეალი“ მრავალჯერ იყო ესპანეთის ჩემპიონი, მაგრამ ეს არაა ს. ბარნაბეუს ძირითადი კოზირი. მისთვის მთავარი ისახ, რომ „რეალი“ უცვლელად იმარჯვებს ერობის ჩემპიონთა თასის გათამაშებაში და სწორედ ამ ტატულს მოაქვს შემოსავალი ს. ბარნაბეუს უძირო სალარიზი. მის სურს მათლიდ ერთი რამ: ითამაშოს „რეალშა“ ისე, რომ მაყურებელს არ დაეწიაროს სტადიონშე მოსელა და, რაც მთავარია, ბილეთის ყიდვა, ხოლო ვინ ითამაშებს მის კლუბში ასე კარგად, ესპანელი თუ გადამთიცლი, მისთვის სულ ერთათა. მთავარია ბუცი კარგად იყოს მორგებული ფეხზე და ამ ფეხს ზუსტად გაძქონდეს ბურთი კარში, სხვა დანარჩენი, მათ შორის — ეროვნული ფეხბურთის პრესტიგიც, მისთვის ლიტონი სიტყვებია.

ს. ბარნაბეუს არ ენანება ფული უცხოეთის „ვარსკვლავთა“ შესაძნად. თუ „რეალისათვის“ საჭიროა რომელიმე ფეხბურთელი, ბარნაბეუ საზღაპრო თანხასაც კი გადაიხდის მის შესაძნად, ეინაიდან ბარნაბეუმ კარგად იცის — დღეს გადახდილ დოლარს ხვალ ათი შოაქვს. ასე ვადაიხადა თავის დროზე დიდალი თანხა კლუბის მფლობელმა არგენტინელი ოლფრედო დი სტეფანოს, თრანგი რიო-ბრინ კოპას, ურუგვაელი სანტიაგოს, პენტოს და სხვათა საყიდლად. ასე ამომჟყო „რეალში“ თავი სამშობლოს მოლალატე უნგრელმა პუშკაშია.

ს. ბარნაბეუს სხვა წამბაძველებიც ჰყავს ესპანეთში და ამიტომა, რომ ეროვნული ფეხბურთი ამ გვეყანაში დაქვეითების გზაზე დგას. აქ არაენ ამჩნევს ახალგაზრდა ტალანტებს, მათი აღზრდისათვის არავის სკალია, ვინაიდან ფეხბურთის სპეციალისტებს და-

ვალებული იქვთ ეძებონ მოთამაშეები, დაულალავად ეძებონ... სხვა
შეცვნები.

ამიტომაა, რომ ესპანეთის ნაკრები წირუბიატებლად გამოღის
მსოფლიო პირველობებზე. 1954 წელს ესპანელებმა ვერ ზეძლეს ფი-
ნალში გასვლა ისეთ სუსტ მოწინააღმდეგესთან ბრძოლაშიც კი
როგორიცაა თურქეთი.

VI ჩემპიონატში ესპანელები ერთ ჯგუფში მოხვდნენ შოტ-
ლანდიისა და შვეიცარიის გუნდებთან. თითქოს, ამაზე კარგ „აკმ-
ბანიას“ ისინი ვერც ინატრებდნენ, მაგრამ უკვე პირველსაც მატ-
ჩიში სანანებლად გაუხდათ ზედმეტი თვითდამშეიდება, როცა საკუ-
თარ მინდორზე, მაღრიდში, ვერაფრით ვერ გატეხეს შვეიცარიელ-
თა სასტიკი წინააღმდეგობა და ფრეს დასჯერდნენ. მაგრამ ეს
თურმე მხოლოდ დასაწყისი იყო. ზუსტად ორი თვის შემდევ ესპა-
ნელები შოტლანდიას ვაემგზავრნენ და გლაზგოში დამარცხდნენ
ანგარიშით - 2:4.

ესპანელთა ნაკრების სსნა შეეძლოთ მათსავე დამღუპეელებს—
შვეიცარიელებს, ვინაიდან რევანში შოტლანდიასთან ესპანეთში იი-
ლო ანგარიშით 4:1. და უნდა ითქვას, შოტლანდიელთა საქმე
ბეწენე უკიდი მათსავე სტადიონზე, გლაზგოში, მაგრამ შვეიცარიის
გუნდის თავდამსხმელები კარგავდნენ ისეთ მომენტებს, რომ ესპა-
ნელთა წირმომაღვენელი, რომელიც ამ მატჩს ესწრებოდა, ბურ-
თივით ხტოდა ადგილზე და სიმწრით თმებს იგლევდა. მართალია,
დიდის გაქირვებით, მაგრამ შოტლანდიელებმა მაინც მოიგეს თამა-
ზი - 3:2 და შვეიცარიის გუნდი ესპანელებს შიუტოვეს ანგარიშის
გასასწორებლად. ბრიტანელთათვის ამ მატჩს არაეითარი ინტერესი
და შინიშენელობა არ გააჩნდა, ვინაიდან მათ თავი უკვი ქუდში
ჰქონდათ.

IX ჯგუფი

ესპანეთი-შვეიცარია 2:2 (1:1) 10. III—1957 მაღრიდი
შოტლანდია-ესპანეთი 4:2 (2:1) 8. V—1957 გლაზგო
შვეიცარია-შოტლანდია 1:2 (1:1) 19. V—1957 ბაზელი
ესპანეთი-შოტლანდია 4:1 (2:0) 26. V—1957 მაღრიდი
შოტლანდია-შვეიცარია 3:2 (1:1) 6. XI—1957 გლაზგო
შვეიცარია-ესპანეთი 1:4 (0:2) 24. XI—1957 ლოზანა

	გ.	დ.	წ.	ბ.	ქ.
შოტლანდია	3	0	1	10:9	6
ესპანეთი	2	1	1	12:8	5
შვეიცარია	0	1	3	6:9	1

1/8 ფინალში გიეიდა შოტლანდიის გუნდი.

რობორ დაიჯის ბრაზილიანებმა

თუ კინმეთა უილბლო მსოფლიო პირეელობის გათამაშებაში, ეს უმცესებლიდ ბრაზილიის გუნდია. ხუთჯერ მოწყო თასის გათამაშება, ხუთჯერ მიიღეს მასმი მონაწილეობა ბრაზილიელებმა და ვერც ერთხელ ვერ შეძლეს ამ სანუკეარი პრიზის მიღება, თუმცა უოფელთვის ერთ-ერთ უმთავრეს პრეტენდენტებად ითვლებოდნენ და ამას იდგნენ გამარჯვებასთან.

ბევრი ამის მიზეზად თვლიდა ბრაზილიელთა ზედმეტ არტისტულობას, უსარგებლო ეფექტებით გატაცებას, ზოგიერთებს კი საერთოდ ვერ გაეგოთ, თუ რატომ არ იყო ბრაზილიის გუნდი მსოფლიო ჩემპიონი ერთხელ მაინც.

ეტყობა, ბრაზილიელებსაც ძლიერ აწუხებდათ ეს საკითხი და ამიტომ ამჯერად გათამაშებისათვის ემზადებოდნენ ისე, როგორც არასდროს. აქ დაივიწყეს ფეხბურთის ორი წამყვანი ცენტრის რიო-დე-ჟანეიროსა და სან-პაულუს ტრადიციული ქაშპობა და გუშინ-დელი მტრები დღეს მეგობრულად გაერთიანდნენ ჩემპიონის ტიტულისათვის საბრძოლებლად.

ბრაზილიიდან საოცარი ხმები მოდიოდა. ნაკრები გუნდის კან-დიდატთა რაოდენობა გაცილებით მეტი იყო, ვიდრე ვაკანტური ადგილები და მწერთნელი ვ. ფერლა გასაჭირში იმყოფებოდა სწორედ ამ უხვი და თანაბარი სიძლიერის არჩევანის გამო.

და ია სწორედ ეს ჩემპიონობის ერთ-ერთი „კანდიდატი № 1“ ძლიერდით გავიდა ფინალში და ისიც როგორ ქვეჯგუფში? სადაც მხოლოდ ერთი, ერთადერთი მოწინააღმდევე ჰყავდა—პერუ.

1957 წლის 7 აპრილს პერუელებმა თავიანთ დედაქალაქში მიიღეს ბრაზილიის ფეხბურთელები, მოელი თავგანწირებით ითამაშეს და ისე ახლოს იყვნენ გამარჯვებასთან, რომ, როგორც უცხოეთში წერდნენ: „მისი კუდი უკვი ხელში ეჭირათ.“ მაგრამ ფეხბურთში „კუდს“ ქულები არ მოაქვს, ხოლო ბრაზილიელებმა მეორე ტამში შეძლეს ანგარიშის გათანაბრება—1:1 და მხოლოდ ერთი ქულით დაბრუნდნენ რიო-დე-ჟანეიროში.

ყველა ელოდა სასტიკ რევანშს ბრაზილიელთა მხრივ მათს სტადიონზე, მაგრამ მასპინძლებმა უოფელგვარი სისასტიკის გარეშე მოიგეს იგრ მინიშალური განსხვავებით—1:0 და ამაზეც დიდი მაღლობელნი დარჩინენ.



I ჯგუფი

პერუ-ბრაზილია 1:1 (1:0) 7. IV—1957 ლიმა

ბრაზილია-პერუ 1:0 (1:0) 14. IV—1957 როთ-დე-უანეირო

	გ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
ბრაზილია	1	1	0	2:1	3
პერუ	0	1	1	1:2	1

1/8 ფინალში გავიდა ბრაზილიის გუნდი.

აი რა მოხდა მეორე პაუზი

გერმანულმა გაზეთმა „ინტერნაციონალეს შპორტ ეხომ“ ოფიციალურად გამოქვითა აზრი ეკონომისა და სამხრეთ ამერიკის თერთმეტ ცნობილ სპეციალისტს მომავალი მსოფლიო ჩემპიონის შესახებ. რვა სპეციალისტმა პირველი ადგილი მიანიჭა არგენტინის ნაკრებს, ორმა—სსრ კავშირს, ერთმა—ინგლისს.

მაშინ, რა თქმა უნდა, გარკვევით არაფრის თქმა არ შეიძლებოდა, ენიაიდან, ეისაც რა სწამდა, იმას ლაპარაკობდა, შაგრამ რვა სპეციალისტის თვალში არგენტინის ფეხბურთელებმა საგრძნობი ჩრდილი მიაყენეს თავიანთ ფერორიტეტს 1957 წლის 6 ოქტომბერს ბოლივიის დედაქალაქ ლა-პასში.

ამ დღეს აქ შედგა შესარჩევი მატჩი არგენტინისა და ბოლივიის გუნდებს შორის. ლა-პასი ზღვის დონიდან 3.658 მეტრის სიმაღლეზე მდებარეობს და ასეთ „სტრატოსფერულ“ ზონაში ფეხბურთის თამაში ემარჯვებათ პირველ ყოვლისა თვით მისპინძლებს — ბოლივიელებს.

არგენტინის ფეხბურთელებს აშენად არ ჰყოფნიდათ უანგბადი. ისინი ძლიერ მოძრაობდნენ მინდობრუნვე, ცედელ ასრულებდნენ თავიანთ ტრიუქებს და დატოვეს აქ ესოდენ საჭირო 2 ქულა. ანგარიში იყო 2:0 მასპინძელთა სასაჩვენებლოდ. ასევე დამატებება განიცადეს ლა-პასში ჩილის ფეხბურთელებმა—0:3.

შაგრამ ბარად ჩამოსულისთანავე ბოლივიის გუნდი კარგავს თავის ლრუბლებს უძირატესობას და ილაზ წარმოადგენს ისეთ შრისხანე დალას, როგორც შინ.

შემდგომი არგენტინელებმა დამაჯერებლად დაამარცხეს თავიანთი მოწინააღმდეგები და გამოვიდნენ პირველ აღვილზე.

II ჯგუფი

ჩილი-ბოლივია 2:1 (0:1) 22. IX—1957 სანტ-იაგო

ბოლივია-ჩილი 3:0 (1:0) 29. IX—1957 ლა-პასი



ბოლივია-არგენტინა 2:0 (1:0) 6. X—1951 ლა-პასი
ჩილი-არგენტინა 0:2 (0:2) 13. X—1957 სანტი-იაგო
არგენტინა-ბოლივია 4:0 (2:0) 17. X—1957 ბუენოს-ასტრესი
არგენტინა-ჩილი 4:0 (4:0) 20 X—1957 ბუენოს-აირესი

	გ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
არგენტინა	3	0	1	10:2	6
ბოლივია	2	0	2	6:6	4
ჩილი	1	.	0	2:10	2

1/8 ფინალში გაეიდა არგენტინის გუნდი.

პარაგვაილთა სიურარიზი

„რატომ არ უნდა მოვხვდეთ ფინალში? მსოფლიოს 16 უძლიერეს გუნდს შორის მოხვედრა დიდი სახელი და პატივია. ჩენ ოთხი წლის დაძაბული ბრძოლა დაგვექმნა უმაღლესი კლასის გუნდი, რომ ისეთი ახალგაზრდა ტალანტებიდან, როგორებიცაა ამარილა, ლასკანო, აგიერო, ხარა და სხვანი აღვაზარდა ფეხბურთის ნამდეილი ოსტატები, რომლებიც განამტკიცებენ სამხრეთმერიკული ფეხბურთის პრესტიჟს „შეციაში.“ — ასე წერდა პარაგვაის ნაკრები გუნდის მწვრთნელი ა. გონსალესი მას შემდეგ, რაც დამთავრდა გათამაშება საშხრეთ ამერიკის მეორე ჯგუფში. ვილაპარაკუთ გულაბდილად: დასაწყისში, ილბათ ა. გონსალესს აზრადაც არ მოსელია სამხრეთ ამერიკის პრესტიჟის დაცვა შეციაში, ვინაიდან ეს მისია ამ ჯგუფიდან ურუგვაის უნდა შეესრულებინა.

მსოფლიოს ორგზის ჩემპიონშია ამჯერად აშკარად ჭაიფორხილა. თითქმის ყველა დარწმუნებული იყო, რომ ურუგვაელები გავიდოდნენ ფინალში და კოლუმბიასთან ფრედ და ზოერებული მატჩის (1:1) შემდეგაც არ შეცვლილა ეს საყოველთაო აზრი, ვინაიდან... „ხდება ხოლმე...“

ამ დაქარგული ქულის კომპენსაცია უნდა მომხდარიყო პირველსაცე მატჩში პარაგვაის გუნდთან ასუნსიონში, მაგრამ პარაგვაელებმა ისეთი ფანატიკური თავგანწირებით ჩაიარეს ეს თამაზი, რომ ურუგვაის განთქმული გუნდი მოლისანი დემორალიზებული აღმოჩნდა. ანგარიში 5:0 პარაგვაელთა სასაჩვენებლოდ კომენტარებს არ საჭიროებს. მათი უპირატესობა ცხადი და ნათელი იყო.

ურუგვაიმ თავის მინდორზე შემდგომში აიღო რევანში, მიგრამ ეს საქმეს არ ცვლიდა. შეციაში გაემგზავრნენ პარაგვაელი ფეხბურთელები.

III ჯგუფი

კოლუმბია-ურუგვაი	1:1 (1:0)	16. VI—1957	ბოგოტინი	
კოლუმბია-პარაგვაი	2:3 (1:1)	20. VI—1957	მედელინი	
ურუგვაი-კოლუმბია	1:0 (0:0)	30. VI—1957	მონტევიდეო	
პარაგვაი-კოლუმბია	3:0 (0:0)	7. VII—1957	ასუნსიონი	
პარაგვაი-ურუგვაი	5:0 (3:0)	14. VII—1957	ასუნსიონი	
ურუგვაი-პარაგვაი	2:0 (1:0)	28. VII—1957	მონტევიდეო	
			გ.	
პარაგვაი	3	0	1	11:4
ურუგვაი	2	1	1	4:6
კოლუმბია	0	1	3	3:8

1/8 ფინალში გაეიღდა პარაგვაის გუნდი.

ცენტრალური და ჩრდილოეთი ამერიკა ერთი აღგილი და ექსი კადეილატი

როგორც ცნობილია, VI მსოფლიო ჩემპიონატის ფინალურ ტურნირში დაშვებულ იქნა 16 გუნდი. აქედან 2 ადგილი დაეთმო მსოფლიო ჩემპიონსა და გათამაშების ორგანიზატორს, 9 ადგილი — ევროპას, 3—სამხრეთ ამერიკას. დარჩენილ 2 ვაკანტურ ადგილში უნდა ჩატევულიყო მთელი დაზარჩენი მსოფლიო, უფრო კონკრეტულად, ერთი ადგილი მიეკუთვნა ცენტრალურ და ჩრდილოეთ აშერიკას, ერთიც — აფრიკასა და აზიას.

ერთის შეხედეთ, ეს ნამდებილი გეოგრაფიული დისკრიმინაცია, მაგრამ ფეხბურთის საერთაშორისო ფედერაცია ასეთ ტერიტორიულ განაწილებას ახდენს მხოლოდ იმ ნიშნით, თუ სად როგორაა განვითარებული ფეხბურთი და ამაში იგი საესებით მართლია. ერთბამ და სამხრეთ ამერიკამ დაიმსახურეს მეტი ადგილი ფინალში, ჩრდილოეთ ამერიკამ, იურიკამ და აზიამ კი ჯერ არა.

ცენტრალური და ჩრდილოეთ ამერიკის ზონაში შეიქმნა ორი ძეგლგუფი. პირველში მოხვდნენ კოსტა-რიკას, კუსტოსისა და გვატემალას გუნდები. კოსტა-რიკას ფეხბურთელთა უპირატესობა ირავითარ ეჭვს არ იწვევდა და მათ დამაჯერებლად მოიპოვეს გამარჯება ძველგუფში.

I მედებული

გვატემალა—კოსტა-რიკა	2:6 (1:4)	6. II—1957	გვატემალა
კოსტა-რიკა—გვატემალა	3:1 (2:0)	10. II—1957	სან-სოსე

კოსტა-რიკა-კიურასაო 4:0 (2:0) 3. III—1957 სან-ხოსე
გვატემალა-კიურასაო 1:3 (1:1) 10. III—1957 გვატემალა-
კიურასაო-გვატემალა (არ შედგა)
კიურასაო-კოსტა-რიკა 1:2 (0:2) 4. VIII—1957 ვილემსტადი

	გ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
კოსტა-რიკა	4	0	0	15:4	8
კიურასაო	1	0	2	4:7	2
გვატემალა	0	0	3	4:12	0

მეორე ქვეჯგუფში თავი მოიყარეს მექსიკის, კანადისა და ამერიკის შეერთებული შტატების გუნდებმა. პროგნოზის გაკეთება აქაც უშეცდომოდ შეიძლებოდა: პირველი აღგილი უნდა დაეკავებინათ მექსიკის ფეხბურთელებს და მათ თითქმის კონკურენციის გარეშე შეძლეს კიდევ ამ გამარჯვების მოძოვება. გუნდების ძალთა შეფარდებაზე ნათლად შეტყველებს ქვემოთ მოყვანილი ცხრილი.

II ქვეჯგუფი

მექსიკა-აშშ 6:0 (3:0) 7. IV—1957 მეხიკო
აშშ-მექსიკა 2:7 (2:3) 28. IV—1957 ლოს-ანჯელესი
კანადა-აშშ 5:1 (2:1) 18. V—1957 ტორონტო
აშშ-კანადა 2:3 (0:1) 6. V—1957 სენტ-ლუისი
კანადა-მექსიკა 0:3 (0:2) 20. VI—1957 ოტავა
მექსიკა-კანადა 2:0 (1:0) 31. VII—1957 მეხიკო

	გ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
მექსიკა	4	0	0	18:2	8
კანადა	2	0	2	8:8	4
აშშ	0	0	4	5:21	0

გადამწყვეტ ჰატჩინი ერთმანეთს შეხვდნენ ქვეჯგუფში გამარჯვებულნი—მექსიკისა და კოსტა-რიკას გუნდები. პირველად მექსიკილებმა მიიღეს მოწინააღმდეგე საკუთარ მინდორზე და გაიმარჯვეს ანგარიშით 2:0. განმეორებით შეხვედრაში, რომელიც სანხოსეში შედგა, მექსიკელებმა მიაღწიეს ფრეს—1:1 და გავიდნენ ფინალში.

მექსიკა-კოსტა-რიკა 2:0 (2:0) 13. X—1957 მეხიკო
კოსტა-რიკა-მექსიკა 1:1 (1:1) 17. X—1957 სან-ხოსე
1/8 ფინალში გაეიდა მექსიკის გუნდი.

პჰიპა, პფრიდა

გაგილონის გოლოლი

ორი უდიდესი შატერი იყის — აზიისა და იფრიკის 8 სახელმწიფოს ფეხბურთელებს უნდა ებრძოლათ ერთადერთი ადგილისთვის, მაგრამ როგორც აფრიკაში, ისე აზიაშიც საქმეები იმგვარად იჩია, რომ ამ ერთი ადგილის გარევებს მოჭყვა მთელი რიგი პოლიტიკური ინციდენტები და სხვა ხასიათის უთანხმოებანი. ბოლოს დაბოლოს ის ადგილი არც აზიას ერგო, არც იფრიკას.

პირველად აყალმაყალი ამ ზონაში თურქებმა იტეხეს. კვლასათვის კარგად ცნობილია, რომ თურქეთის ნაწილი ეეროპაში შედის, მაგრამ საქმე ამაში არაა. თურქებს ფეხბურთში თავი მოლიანად „ეფრობელებად“ მოაქვთ, ამიტომ მათ საშინლად იწყინეს, როცა გაიგეს, რომ „ფიფას“ განაწილებით მოხველრილი არიან აზიაში, ერთ ჯგუფში „ვილაც“ ისრაელ ფეხბურთელებთან ერთად და დემონსტრაციულად გაიტანეს თავიანთი განაცხადი ორგეონიტეტიდან.

თურქებს მიბაძა კიბროსის საფეხბურთო კავშირმაც, ეინაიდან ამ ქვეყანაში მაშინ ფეხბურთის თამაშის თავი არავისა ჰქონდა, და ამრიგად ისრაელისა და ევეკილის გუნდები ქვეყნის გამარჯვებული გამოვიდნენ ისე, რომ ერთხელაც არ გაუკრავთ ბურთისათვის ფეხი.

მეოთხე ქვეყნებიდან ფინალში გავიდა სულანი, რომელმაც საკუთარ მინდორზე ხარტუმში მოუგო სირიას — 1:0, ხოლო მეორე მატჩი დამასკოში დამთავრია ფრედ — 1:1.

პირველ ქვეყნებში მატჩი ინდონეზიისა და ჩინეთის გუნდებს შორის დამთავრდა თითო მოგებითა და თითო დამარცხებით. ამიტომ პირველი ადგილის საკითხი უნდა გადაეწყვიტა დამატებით თამაშს ნეიტრალურ მინდორზე. ეს მატჩი შედგა რანგუნში (ბირმა). ინდონეზიელებმა გამოეორეს იგივე მანევრი, რაც 1956 წლის ოლიმპიურ თამაშებში საბჭოთა კავშირის გუნდის წინააღმდეგ და „რეინა-ბეტრონის“ კედელი აღმართეს თავიანთი კარის წინ. ანგარიში 0:0 ინდონეზიელებს ხელს უწყობდა, ვინაიდან მაშინ გამარჯვებულის საკითხს წარვეტდა ბურთების შეფარდება, ეს კი მათ სასარგებლოდ იყო — 5:4.

ასეც მოხდა. მატჩი დამთავრდა ფრედ და ქვეყნებში პირველი ადგილი მიეკუთვნათ ინდონეზიელებს.

გამარჯვებული უნდა გამორკეცელიყო დაჩირენილ მატჩებში, რაგრამ გათამაშება ამაზე შეწყდა. არც ეგვიპტელებს, არც სუდანს

ნელებს არ სწადდათ თამაში იმ ქვეყნის გუნდთან, რომლის მხარ-
თველი წრეები პროვოკაციულ და მტრულ საქმიანობას ეწეოდანენ
არაბეთის ქვეყნების წინააღმდეგ, მათ სოლიდარობა გამოიუცხადა
ინდონეზიამ და, ამგვარად, ისრაელს თამაშებში მონაწილეობის
გარეშე უნდა მიეღო აღგილი შეეცაში. და ეს მაშინ, როცა სხვა
სახელმწიფოთა გუნდებმა გზა ფინალისაენ „სამკედრო-საიკოლო-
ლო“ ბრძოლით გაიკაფეს და იმ ბრძოლას შეეწირნენ ისეთი
გუნდები, როგორც ურუგვაი, ესპანეთი, იტალია, ბულგარეთი,
პოლონეთი და სხვანი.

„ფიფამ“ ამ საკითხეზე მიიღო საგანგებო გადაწყვეტილება,
რათა ისრაელთა ვარდით მოფენილ გზაზე თუნდაც ერთი ეკალი
მაინც ამოსულიყო. ციურისზო შეიკრიბა საორგანიზაციო კომიტე-
ტი, რომელმაც გადაწყვიტა კენჭისყრის ჩატარება ევროპის ზონის
9 გუნდს შორის, რომელმაც მეორე აღგილები დაიკავეს ჯგუფებ-
ში. ამის შედეგად ისრაელის იღბლიან გუნდს უნდა შეცვედროდა
მეორე იღბლიანი გუნდი, რომელიც თეთრ კენჭს ამოიღებდა.

ასეთმა გადაწყვეტილებამ კანონიერი პროტესტი გამოიწვია
სხვათა მხრივ. მაგალითად, სამხრეთ ამერიკის ქვეყნებში აღმომა-
ტული სყიდვენ იმით, რომ აღგილი, რომელიც თავიდან ევროპის
არ იყო, უნდა რგებოდა მაინცდამაინც ევროპის რომელიმე გუნდს.
რატომ, რისთვის?

კომიტეტმა მაშინვე გამოისწორა თავისი შეცდომა და კენჭის-
ყრაზი მონაწილეობის მისაღებად მოწევება დაუგზავნა სამხრეთ ამე-
რიკის ქვეყნებსაც, მაგრამ ლოზანაში, სადაც 15 დეკემბერს შედგა
ეს თავისებური ლატარია, სამხრეთ ამერიკიდან არაეინ ჩანდა. ეტ-
უონა იღბლის საძიებლად ოკეანის კამია მგზავრობა არაეინ ისურ-
ვა. საბოლოოდ ლოზანაში ჩამოიდგნენ ირლანდიის, ბულგარეთის,
უკრაინის, პოლონეთის, რუმინეთის, ესპანეთის, იტა-
ლიისა და პორტუგალიის წარმომადგენლები.

თეთრი კენჭი უელსის დელეგატმა ამოიღო.

უელსისა და ისრაელის გუნდებს შორის შედგა ორი მატჩი და
ორივე ბრძანებულთა გამარჯვებით დამთავრდა ერთნაირი ანგარი-
შვით—2 : 0.

I ქვეჯუფი

ინდონეზია—ჩინეთი 2 : 0 (1 : 0) 12. V—1957 ჯაკარტა
ჩინეთი—ინდონეზია 4 : 3 (2 : 1) 2. VI—1957 პეკინი

	პ.	ტ.	წ.	ბ.	ქ.
ინდონეზია	1	0	1	5 : 4	2
ჩინეთი	1	0	1	4 : 5	2

ვინაიდან ორივე გუნდს ქულათა თანაბარი რაოდენობა აღმოაჩნდა, მოწყო დამატებითი მატები რანგუნში (ბირმა), რომელიც დამთავრდა ფრედ—0:0. გატანილი და მიღებული ბურთების უკთესი შეფარდების წყალობით პირველი იდგილი მიეკუთვნა ინდონეზიის გუნდს.

II ქვეჯგუფი

თურქეთის ფეხბურთელებმა უარი განაცხადეს გათამაშებაში მონაწილეობის მიღებაზე, ამიტომ ისრაელის გუნდი პირდაპირ გავიდა აზია-აფრიკის ზონის ნახევარფინალში.

III ქვეჯგუფი

კიბრისის ფეხბურთელებმა უარი განაცხადეს გათამაშებაში მონაწილეობის მიღებაზე, ამიტომ ეგვიპტის გუნდი პირდაპირ გავიდა აზია-აფრიკის ზონის ნახევარფინალში.

IV ქვეჯგუფი

სუდანი — სირია 1:0 (0:0) 10. III — 1957 ხარტუმი

სირია — სუდანი 1:1 (0:1) 24. V — 1957 დამასკე

	გ.	დ.	წ.	ბ.	ქ.
სუდანი	1	1	0	2:1	3
სირია	0	1	1	1:2	1

ზონის ნახევარფინალი

ვინაიდან ინდონეზიის ფეხბურთელებმა უარი განაცხადეს ისრაელთან თამაშზე, ეს უკანასკნელი გავიდა ფინალში. ნახევარფინალური მატები სუდანისა და ეგვიპტის გუნდებს შორის არ შედგა იმის გამო, რომ ორივე გუნდმა უარი განაცხადა უინალში ისრაელთან თამაშზე. ზონის ფინალის ნაცელად საორგანიზაციო კომიტეტმა გადაწყვეტა საკლასიფიკაციო მატების ჩატარება ისრაელისა და უელსის გუნდებს შორის კენჭისყრით.

საკლასიფიკაციო მატები

ისრაელი — უელსი 0:2 (0:2) 15. I — 1958 ტელ-ავივი

უელსი — ისრაელი 2:0 (1:0) 5. II — 1958 კარდიფი

	გ.	დ.	წ.	ბ.	ქ.
უელსი	2	0	0	4:0	4
ისრაელი	0	-	2	0:4	0

1/8 ფინალში გავიდა უელსის გუნდი.



ციფრები და ფაქტები

თექვსმეტი თვეის მანძილზე გრძელდებოდა შესარჩევი მატერიალური მსოფლიო პირების ფეხბურთში.

შესარჩევი თამაშების დიდ მნიშვნელობასა და პოპულარობაზე მეტყველებს ის ფაქტი, რომ 89 მატჩს დაესწრო 4.700.000 მაყურებელი. ეს ნიშნავს, რომ ყოველ მატჩს საშუალოდ უყურებდა 51.000 კაცი. აქედან 12 მატჩს დაესწრო 100.000-ზე მეტი მაყურებელი, ხოლო ბრაზილიისა და პერუს მატჩზე რიო-დე-ჟანეიროს უდიდეს სტადიონზე („მარაკანა“) მოვიდა მაყურებელთა სარეკორდო რაოდენობა—200.000.

შესარჩევ მატჩებში სულ გატანილ იქნა 341 გოლი, ე. ი. საშუალოდ 4 გოლი თვეითეულ მატჩში. ყველაზე უფრო შედეგიანი იყო ორი შესველრა: სსრ კავშირი-ტინეთი—10 : 0 და საფრანგეთი-დანია—8 : 0.

ბურთების ყველაზე მეტი რაოდენობა გაიტანა ინგლისელმა ტომი ტეილორმა (ტომელიც საპატიო კატასტროფის დროს დაიღუპა)—8. მომდევნო აღვილებზე არიან სიხოვესკი (საფრანგეთი)—7, კუბალა (ესპანეთი), მადიუ (შოტლანდია)—5, სიმონიანი (სსრკ), მახომი (უნგრეთი) და გურტერია (მექსიკა)—4.

დიდი ტურნირის ზონა


განვლო შესარჩევი მატჩების დაძაბულმა პერიოდმა. 16 ფინალისტი მხად იყო ჩემპიონის წოდებისათვის საბრძოლველად, შეგრამ საჭირო იყო მათი დაყოფა ჯგუფებად. კენჭისყრა მოეწყო ციურისში, ფეხბურთის საერთაშორისო ფედერაციის აღმასრულებელი კომიტეტის სხდომაზე.

უნგრეთის საფეხბურთო კავშირმა ასეთი საინტერესო წინადაღება შეიტანა კენჭისყრისათვის: ვინაიდან ფინალში გაეიდა 4 გუნდი დიდი ბრიტანეთიდან, 4 გუნდი—აღმოსავალეთ ევროპიდან, 4 გუნდი—დასაელეთ ევროპიდან და 4 გუნდიც—ამერიკიდან, კენჭისყრა მოხდეს ისე, რომ ეს გუნდები ქვეჯუფებში სათითაოდ განაწილდნენ.

უნგრელთა წინადაღება ერთხმად გავიდა. 4 სხვადასხვა ყუთში ჩადგეს ბარათები გუნდების დასახელებით: პირველში—არგენტინა, ბრაზილია, პარაგვაი, მექსიკა; მეორეში—ინგლისი, შოტლანდია, უელსი და ჩრ. ირლანდია; მესამეში—სსრ კავშირი, უნგრეთი, იუგოსლავია და ჩეხოსლოვაკია; მეოთხეში—გრი, საფრანგეთი, შეეცია და ავსტრია. შემდეგ ყოველი ყუთიდან ამომქონდათ თითო ბარათი, რის მიხედვითაც შედგა 4 ქვეჯუფი 4 გუნდის შემადგენლობით თვითეული.

კენჭისყრის შედეგად, რომლის ოფიციალური ცერემონიალის ტრანსლაცია ტელეხელვით ხდებოდა მთელს ევროპაში, ფინალურ ქვეჯუფებს ასეთი სახე მიეცა:

I ჯგუფი (ქ. მალმე): გრი, არგენტინა, ჩეხოსლოვაკია, ჩრდილოეთი ირლანდია.



II ჯგუფი (ქ. ნორჩეპინგი): საფრანგეთი, პარავეაი, იუგო-სლავია, შოტლანდია.

III ჯგუფი (ქ. სტოკოლმი): შვეცია, შექსიეა, უნგრეთი, უელსი.

IV ჯგუფი (ქ. გერებორგი): აესტრია, ბრაზილია, სსრ კავშირი, ინგლისი.

ინტერესმოქლებული არ იქნება, თუ ორითე სიტუაცით აღვწერთ ფორმულას, რომლის მიხედვითაც ჩატარდა ფინალური გათამაშება.

ტურნირი მიმდინარეობდა შერეული სისტემით. მატჩები ქვეჯგუფებში, ე. ი. შერველფინალი, მიმდინარეობდა წრიული სისტემით, საყოველთაოდ მიღებული ჩათვლით (მოგება 2 ქულა, ფრე—1, წაგება—0).

გუნდები, რომლებიც თავიანთ ქვეჯგუფებში დაიკავებენ პირველ და მეორე ადგილებს, დაიშევებიან მეოთხედუინალურ მატჩებში სათამაშოდ, ამასთან, რათა სწორად იქნას შედგენილი მეოთხედუინალურ შეხვედრათა წყვილები, აუცილებლად ზუსტდება, თუ რომელმა გუნდმა დაიყავა თავის ჯგუფში პირველი ადგილი იმ ანგარიშით, რომ ქვეჯგუფებში ნათამაშევი გუნდები ფინალიდეველარ შეხვედნენ ერთმანეთს. ამიტომ წყვილები დგება ე. წ. ჯვარედინი მეთოდით.

მეოთხედუინალიდან გათამაშება წარიმართებოდა ოლიმპიური სისტემით. უკელაფერი დეტალურად იყო გათვალისწინებული, ლიად შეოლოდ ფინალის საკითხი რჩებოდა. ვთქვათ, მსოფლიო ჩემპიონატის უკანასკნელი, ფინალური მატჩი ფრედ დამთავრებულიყო, ფრედ ეთამაშათ ფინალისტებს განმეორებით შეხვედრაშიც. როგორ უნდა გადაეწყვიტათ ჩემპიონის საკითხი — დაინიშნებოდა მესამე, დამატებითი მატჩი, თუ კენჭს ყრიდნენ?

საორგანიზაციო კომიტეტმა დაიტოვა უფლება მეორე მატჩის ფრედ დამთავრების შემთხვევაში მიეღო საგანგებო დადგენილება, რომელიც საერთოდ და საბოლოო იქნებოდა ფინალისტთათვის.

ჩას ამბობდნენ მოვლინებები

შეეცის ტურნირის დაწყების წინ პრესაში თავიანთი აზრი გამოითქვეს ფინალისტთა მწერთნელებშა. საინტერესოა, რას ფიქრობდნენ შაშინ ეს სპეციალისტები, ვინ აღმოჩნდა მათვან მართალი?

ზ. ჰერბერგერით (გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა):

ჩეხოსლოვაკიისა და ჩრდილოეთ ირლანდიის გუნდები ჩეხნ-
თვის უფრო სახიფათოა, ვიდრე არგენტინისა. ჩეხოსლოვაკიის ფეხ-
ბურთელთა კოლექტიური მოქმედება, ირლანდიელთა ძალისმიერი
თამაში ჩენ მეტ უსიამოვნებას მოვაყენებს, ვიდრე არგენტინელთა
ტემპერამენტი და ვირტუოზულობა.

გ. სტაბილე (არგენტინი):

ჩენ უფრო ითლი თამაშები მოგვიწევს, ვიდრე ბრაზილიას,
მაგრამ ჩეხები და გერმანელები თამაშობენ დაცვითს ვარიანტს, რო-
მელსაც ჩენ—არგენტინელები—ორგანულად ვერ ვიტანთ. მაინც,
ვუიქრობ, ჩენი გუნდი შეძლებს ღირსეულად წარმოადგინოს შევ-
ცის მინდვრებზე არგენტინული ფეხბურთი.

ქ. კოლექტი (ჩეხოსლოვაკია):

უნგრელები ჩენზე იღბლიანები ყოფილან: მათი მოწინააღმდე-
ვები არც ისე ძლიერნი არიან. მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ
ჩენ არ ვაფალთ მეოთხედოინალში.

პ. დოპერტი (ჩრდილოეთ ირლანდია):

ჩენ შეგვიძლია ფურორი მოვახდინოთ და ეს პირველი შემთხ-
ვება არ იქნება ირლანდიის ფეხბურთის ისტორიაში. ჩენი ნაკრები
შეთამაშებული ანსამბლია, უკანასკნელი 4 წლის მანძილზე გუნდი
თითქმის უცვლელი შემაღენილობით თამაშობს.

ა. ბატიე (საფრანგეთი):

ჩენს ჯგუფში ფავორიტები არ არიან, მაგრამ ეს არ ვეაძლევს
საფუძველს ეითიქროთ, რომ წარმატება უკვე უსრუნველყოფილია.
ჩენთვის განსაკუთრებით სახიფათოა ჩენი მუღმიერი მოწინააღმდე-
ვი—იუგოსლავიის გუნდი.

ა. გონსალესი (პარაგვაი):

დარწმუნებული ვარ, რომ პარაგვაელები ტექნიკით არ ჩამო-
უვარდებიან ჩენს ჯგუფში მყოფ მოწინააღმდევებს. მაგრამ ვხედავ
განვაცხადო, რომ პარაგვაელი ფეხბურთელები ფურორს მოახდენენ
თავიანთი ტემპერამენტიანი თამაშით.



ა. ტირნაჩიძი (იუგოსლავია):

ჩეენ ჩეეულებრივ წარმატებით ვთამაშობთ ფრანგების წინააღმდეგ, მაგრამ ისტორია ყოველთვის არ შეორდება. არ შეიძლება პარაგვაის გუნდის შეუფასებლობაც, ხოლო რაც შეეხება შოტლანდიელებს, მათ დიდი ხანია უძლიერეს ფეხბურთელთა რეპუტაცია აქვთ.

გ. ალენი (შოტლანდია):

ჩეენ არაფერი ეიცით პარაგვაის გუნდის შესახებ. იუგოსლაველთა წინსვლა უდავოა, ხოლო ფრანგებთან ჩეენ დიდი ხანია არ გვითამაშია.

ჯ. რეინორი (შვეიცარია):

ჩეენ იმედი გვაქვს მოვუგოთ უელსის გუნდს, როგორმე დაეძლიოთ მექსიკა და ლირსეული წინააღმდეგობა გაიცემიოთ უნგრელ ფეხბურთელებს.

ი. ტრელესი (შექსიგა):

1954 წლითან შედარებით ჩეენი ფეხბურთი წინ წაეიდა. ჩეენ, შექსიკელებს, გვჯერა ჩეენი ვარსკელაყისა.

შ. ბარჩი (უნგრეთი):

შეედებს დიდი უპირატესობა აქვთ—ისინი თავიანთ სახლში თამაშობენ. უელსისა და შექსიგის ფეხბურთელებს შეოლოდ ყურმოკრითა გვაქვს გაგონილი. ვფიქრობ, რომ შეეცია და უნგრეთი გაიმარჯვებენ ქვეყნებში.

დ. მერცი (უელსი):

კენტისურა ჩეენთვის იღბლიანი გამოდგა. უკეთეს პარტნიორებს ვერ ვიპოვიდით არჩევანის უფლებაც რომ მოეცათ.

ე. არგაუერი (ავსტრია):

შეგვიძლია თუ არა დავამარცხოთ ბრაზილია, ინგლისი და საბჭოთა კავშირი? მშ!

ჩემი მეგობარი ბერბერეგი მაშვეიდებდა იმით, რომ წინა ჩემ-პიონატში გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის გუნდს არიყინ ასახელებდა ოქროს თასის პრეტენდენტად, მაგრამ ამას სულაც არ შეუტლია ხელი გერმანელთათვის გამხდარიყვნენ მსოფლიოს ჩემ-პიონები.



ვ. ფეოლი (ბრაზილია)

რასაკვირველია, სხვა ჯგუფში მოხვედრა უფრო ხელსაყრელი იყო, მაგრამ ჩვენ კარგად გავიცანით ინგლისურ და ივარისულ ფეხბურთს და ლირსეულად შევაფასეთ საბჭოთა გუნდის ოსტატობა. და ეს უკვე კონირია—ჩვენ ვიცნობთ მოწინააღმდეგებს.

უ. უინტერბორტომი (ინგლისი):

ვინ იქნება გამარჯვებულთა შორის? მიამიტი შეკითხვაა. ამიტომ ჩემი პასუხიც შეიძლება მიამიტი მოგეჩვენოთ. მე მცონია, ჩველაფერს ჯობია ჩუმად ყოფნა.

გ. კანილინი (სსრ კავშირი):

მე ვფიქრობ, რომ გამარჯვების თანაბარი შანსები აქვთ ინგლისის, საბჭოთა კავშირის, ავსტრიის, ბრაზილიის, უნგრეთისა და ჩეხოსლოვაკიის გუნდებს.

16 ფინალისტი

გადახილის ფაზის ციფრული რესუბინი

1954 წლის მსოფლიო პირველობის დიდ საოცრებას წარმოადგენდა ის, რომ ჩემპიონის წოდება მოიპოვა გუნდმა, რომელსაც განამდე ერთობ მოკრძალებული რეპუტაცია მქონდა საერთაშორისო სარბიელზე.

მაგრამ ფაქტი ფაქტია—გერმანელებმა მოიგეს ოქროს თასი. ეს აღმოჩნდა ძლიერი, დისკიპლინირებული, საათის მექანიზმით ზუსტად გამოზომილი ანსამბლი, რომელსაც შესწევდა ძალა ისეთი აღმაფრენისათვის, როგორიცაა ფინალური მატჩის მოგება უნგრეთის ნაკრებთან.

გერმანელებმა მაშინ მეოთხედფინალში ანგარიშით 2:0 დაამარცხეს იუგოსლავის გუნდი და როცა ეს ცნობა მსოფლიოს მოედო, გერმანიიდან ჩამდენიშვილი დებეზა მოვიდა შეკითხვით: შეცდომა ხომ არაა დაშეგბული? პირიქით ხომ არ უნდა გადაისეასო ციფრები? თვით გერმანელთა გუნდის გულშემატკიცერებსაც კი არა სჯეროდათ თავიანთი ფეხბურთელების ასეთი წარმატება, მაგრამ როცა გერმანელებმა ნახევარფინალში დაამარცხეს ივატრია და ისიც ანგარიშით 6:1, უველასათვის წათელი შეიქნა მათი პოტენციური ძალა და შესაძლებლობანი.

მაგრამ დამთავრდა მსოფლიო პირველობა და ახალი ჩემპიონისათვის დაიწყო წარუმატებლობათა მთელი სერია. გუნდი ზედიზედ იგებდა საერთაშორისო შეხვედრებს. იგებდა ისეთ სუსტ მოწინააღმდეგებთან, რომ ერთ-ერთმა უცხოურმა უურნალმა ხუმრო-

ბით წინადადებაც კი შეიტანა: სასამართლო წესით ჩამოვართვათ გერმანულებს ჩემიონის წოდება და უნგრეთს გადაცემის გამოსახულის

1957 წელს გფრ-ს გუნდმა საგრძნობლად გამოსახულო — შემონაბრუნვა მარეობა, დაამარცხა შვეცია (1:0), უნგრეთი (1:0), ბელგია (2:0), ესპანეთი (2:0) და წაავო მხოლოდ 2 მატჩი: — შოტლანდიასთან — 1:3 და უფრო გეიან — ჩეხეთსლოვაკიასთან — 2:3, თუმცა იმ ბოლო შეხვედრაში მწვრთნელმა ზ. პერბერგერმა ექსპერტიმენტული შემადგენლობა გამოსცადა.

გერმანულთა თამაშის სტილი ასე გამოხატა გუნდის ქაპიტანშია ფ. ვალტერმა: „როცა ბურთი ჩენა გეაქტს, ყველა მონაწილეობს შეტევაში, როცა იგი დაკარგულია — ყველა გადადის დაცვაში“.

მწვრთნელი უდიდეს ყურადღებას აქცივდა ფეხბურთელთა ტაქტიკურ მომზადებას. ტექნიკური სწავლება, საერთო ფიზიკური წერთნა, როგორც წესი, წარმოებს კლუბებში, მაგრამ როგორც კი ეროვნული ნაკრები შეკრებაზე გადავიდოდა, ძირითადი ყურადღება ექცევდა ტაქტიკური ვარიანტების დამზადებას იმ ვარაუდით, რომ თეთრეულ მოწინააღმდეგესთან შეხვედრისას შერჩეულ იქნას მისთვის ყველაზე უფრო არახელსაყრელი ვარიანტი. საამისოდ კი საჭიროა მოთამაშებს პერნლეთ მრავალფეროვანი, მდიდარი ტაქტიკური ერთულიცა, საჭიროა მათი უნაკლო შეთამაშება.

ხანგრძლივი წერთნის შემდეგ გერმანულებს ყველაფერი რიგშე პქონდათ დაცვაში, მაგრამ თვედასხმას აქლდა უნარიანი წარმმართველი ხელი. საჭირო შეიქნა ოცდაჩეილეტი წლის ვეტერანის ფ. ვალტერის გუნდში დაბრუნება, ამას კი მოყეა მთელი რიგი რეორგანიზაციული ორნისძიებანი შემადგენლობაში.

„საოცრება ორჯერ არ შეორდება“, არაორაზროვნად წერდნენ გფრ-ს გუნდის შესახებ, მაგრამ თვით გერმანულები მთელი ენერგიითა და მონდომებით ემზადებოდნენ გათამაშებისათვის და არც მაღალადნენ თავიანთ ზრახვებს — მათ სურდათ ჩემიონინობის შენარჩუნება.

პრემიუმი

„პრეტენდენტი № 1“, ასე უწოდებდნენ შვეციის ტურნირის წინ არგენტინის ნაკრებს, თუმცა 24 წელი გავიდა მას შემდეგ, რაც არგენტინულებმა უკანასკნელად მიიღეს მონაწილეობა მსოფლიო ჩემპიონატში, ხოლო ბოლო 4 წლის განმავლობაში, მათს ნაკრებს სრულიად არ უთამაშნია ერთაბაში. მაინც, არგენტინული ფეხბურთის ძალა საქვეყნოდ იყო ცნობილი, თუნდაც იმ შედეგების მი-

ხედვით, რომელსაც მან მიაღწია თავის კონტინენტზე. ეს შედეგი კი მეტად მრავლისმეტყველია (სამხრეთ ამერიკის პირველობაზე არგენტინამ 21-ჯერ მიიღო მონაწილეობა, 11-ჯერ დაიკავა პირველი აღგილი და 8-ჯერ—მეორე).

არგენტინელები სამხრეთ ამერიკული ფეხბურთის ტრიუმფი წარმომადგენლები არიან, მაგრამ ისინი ზედმეტი ეჭვებების, ტრიბუნების წინ „ქველუკობის“ გამო ხშირად იყიწყებენ გუნდის ინტერესებს და „ავანტურისტულ“ ტრიუმებს მიმართავენ. მაგალითად, სამხრეთ ამერიკის ერთ-ერთ ჩემპიონატში არგენტინელმა ფორვარდმა 20 წლის სიეორიმ (იგი შემდგომში იტალიის „ინტერნაციონალებ“ იყიდა შეტად დიდ თანხად) ბრაზილიის გუნდთან შეხვედრისას ასეთი ნომერი გააკეთა: 2—3 კვადრატული მეტრის ტერიტორიაზე ზედიზედ ოთხი ბრაზილიელი მოატყუა, შემდეგ შეჩერდა და მოელი ეს „სოლო“ საწინააღმდეგო მიმართულებით შეასრულა. როგორც მოთმინებიდან გამოსულმა ბრაზილიელმა რობერტ-სონმა სკადა წინლი ამოერტყა მისთვის გარკვეულ აღგილას, ციბრუტიფით სწრაფი და მოქნილი სიეორი გაუსხლტა მას და საქმე გათავდა მსაჯის სასტენით და საჯარიმო დარტყმით ბრაზილიელთა შეარქეს.

მაგრამ ბოლო ხანებში არგენტინელებმა თანდათან გადმოიღეს ეკროპული ფეხბურთის საუკეთესო თვისებები: კოლეგტიურობა, მიზანდასახულობა, ძალისმიერი ბრძოლა. ყველაფერი ეს უმაღლეს ტექნიკა და სისწრაფესთან ერთად უდიდეს ძალად იქცვდა ამ გუნდს.

არგენტინის ნაკრებს 15 წელია შეუცვლელად წერთნის გილერმო სტაბილე. მან აღრცევე დაწყო გუნდის შზადება ასეთი პრინციპით—გამოცდილი მცველები და იხალვაზრდა თავდამსხმელები, მაგრამ 1957 წლის შესანიშნავი გამარჯვება სამხრეთ ამერიკის ჩემპიონატში არგენტინელებს ძირითად დაუუჯდათ. უცხოური პროფესიული კლუბების წარმომადგენლებმა ელვის სისწრაფით დაიტაცეს შესანიშნავი ფორვარდები და გ. სტაბილეს ერთხელ უკვე დაწყიბული საქმე კელავ თავიდან დასაწყები შეექნა. სწორედ მისი დაუინებელი მოთხოვნით იქნა მიღებული დადგენილება, რომლის ძალითაც არგენტინელ ფეხბურთელებს აყრდალით უცხოეთში გამგზავრება შეეცის ტურნირის დამთავრებამდე, პარალელურად მიმდინარეობდა ახალი მოთამაშეების შერჩევა და შეთამაშება. ეს შეტად რთული და ძნელი საქმე გამოდგა არგენტინელთა თვისაც კი, რომლებმაც იშვიათად თუ განუცდიათ ახალგაზრდა ტალანტების ნაკლებობა.



VI შოთლით ჩემპიონატი ფეხბურთში ჩეხოსლოვაკიის სპორტული საზოგადოებრიობის ყურადღების ცენტრში იდგა. ამ ქვეყნას მდიდარი საფეხბურთო ტრადიციები გააჩნია, მაგრამ სერიოზულ წარმატებას ერთ რიმეს თასის გათამაშებაში მათ მშობლოდ ერთხელ, 1934 წელს მიაღწიეს. ისინი ფინალში გავიდნენ და მხოლოდ უაღრესად მშვეავე ბრძოლის შემდეგ განიცადეს დამარცხება იტალიასთან ანგარიშით 1:2. ამიტომ ჩეხოსლოვაკიის ნაკრები ინტენსიურად ეშვადებოდა შვეცარიის ტურნირისათვის. საწვრთნელ შეკრებაზე ვარჯიშს გადიოდა მოთამაშეთა დიდი რაოდენობა, რომელთაგან საბოლოოდ არჩეულ იქნენ საუკეთესონი.

საწვრთნელი მატჩებიდან ჩეხები დიდ მნიშვნელობას ანიჭებდნენ შეხვედრის გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის გუნდთან. მისი მოგების შემდეგ (3:2) სპეციალისტებს მიაჩინდათ, რომ ერთ-ერთი ნაკრები ქარგადაა შეთამაშებული და ძლიერ ძალას წარმოადგენს, ყოველ შემთხვევაში, უკეთესს, ვიდრე წინა ჩემპიონატში.

ეინ შედიოდა ჩეხოსლოვაკიის ნაკრებ გუნდში, ვისზე მყარებდა იმედებს ამ ქვეყნის სპორტული საზოგადოებრიობა? ესენი იყვნენ მეკარეები სტახო და დოლეიში, რომელებიც ჩემპიონატის წინ საუკეთესო ფორმაში იყვნენ. აღსანიშნავია, რომ სტახო იღიარებულია, როგორც ოსტატი 11-მეტრიანი საჯარიმო დარტყმის აღებაში.

დაცვაში ჩეხოსლოვაკიის ნაკრების ღერძი იყო გუნდის კაპიტანი ნოვაკი—გამოცემილი და ტექნიკური ფეხბურთელი, რომელსაც საქიროების შემთხვევაში შეუძლია თამაში უკანა დაცვის ყოველ ადგილზე. ნოვაკი განსაკუთრებით საქირო იყო ნაკრებისათვის იმის გამოც, რომ მარჯვენა მცველი გერტლი, ნიჭიერი მოთამაშე, ზოგჯერ ზედმეტად ერთობოდა ხოლმე ბრძოლის პერიპეტიებით და მოუფიქრებლად ტოვებდა პოზიციას.

ნახევარდაცვის ხაზი თითქმის ყევლაზე საიმედო და ბრძოლისუნარიანი მყარედათ ჩეხებს. პლუსკალი და მასობუსტი ერთნაირად ძლიერნი არიან როგორც დაცვითი ფუნქციების შესრულებისას, ისე საიერიშო ოპერაციების წარმოებაში.

თავდასხმაში ჩეხოსლოვაკიის ნაკრების მწვრთნელი ქარგახანს ეტრენირდა გარევეულ არჩევანზე. როგორც ძველი, გამოცდილი გვარდიის მოთამაშეებს, ისე ახალგაზრდა ფეხბურთელებს არ აკლდათ ტექნიკური და ფიზიკური მომზადება, ენერგია, გამარჯვებისადმი სწრაფვა, მაგრამ მათს შორის არ იყო შეტყვის ლიდე-

რი, წამყვანი მოთამაშე, რომელიც შეძლებდა კომბინაციების დამ-
თავრებას, თუმცა ამ დროისათვის საუკეთესო ფორმაში იყენენ მო-
ლნარი, ბოროვიჩია, კრასი.

ჩეხოსლოვაკიის ფეხბურთელებს უახლეს და საესებით ჩერალურ
გეგმად მიაწინდათ მეოთხედოფინალში გასვლა. რაც შეეხება შემდგომ
თამაშებს, ჩეხები დიდი ოპტიმიზმით იყენენ გამსჭვალულნი.

ჩრდილოეთ ირლანდია

შესარჩევი თამაშების იმ ჯგუფში, სადაც მოხვდნენ ჩრდილო-
ეთი ირლანდიის ფეხბურთელები, ბრძოლა უაღრესად მნელი და
შძიმე იყო. პირველი ადგილის დაკავება ჩრ. ირლანდიის გუნდისა-
თვის მაშინ, როცა აქ იყენენ იტალია და პორტუგალია, იმდენად
საეჭვო იყო, რომ მას თითქმის არავინ უქადაგი წარმატებას. დამ-
თავრდა გათამაშება და ირლანდიელებმა „თამაშები“ მდგომარე-
ობაში ჩააყენეს იტალიისა და პორტუგალიის ნაკები გუნდები.

თანამედროვე ფეხბურთი ჩრდილოეთ ირლანდიაში თავის არ-
სებობას ითვლის 1880 წლიდან, მას შემდეგ, რაც ჩამოყალიბდა
საფეხბურთო ასოციაცია, თუმცა პროფესიული ფეხბურთი აქ არ
არსებობს. ჩრდილოეთ ირლანდიის ჩემპიონატში მონაწილეობენ
მოყვარულთა კლუბები და როგორც კი გამოჩინდებიან ნიჭიერი
მოთამაშეები, ისინი სასწრაფოდ მიძყავთ ინგლისის საუკეთესო
პროფესიულ კლუბებში.

როცა საკითხი მიღება ჩრ. ირლანდიის ნაკრების ჩამოყალი-
ბებაზე, ასოციაცია დროებით უკანვე „სესხულობს“ თავის მკეიდრ
ფეხბურთელებს და მაშინ ირლანდიელთა გუნდი საქმაოდ მნიშვნე-
ლოვან ძალის წარმოადგენს, თუმცა ასეთი „მობილიზაცია“ შედა-
რებით იშვიათად ხდება. ამიტომაა, რომ ამ ქვეყნის ნაკრებს ნაკ-
ლებად ხედივენ უცხოეთის სტადიონებზე. ერთადერთი შეჯიბრება,
სადაც ირლანდიელები სისტემატურად მონაწილეობენ, ესაა დიდი
ბრიტანეთის ჩემპიონატი.

ჩრ. ირლანდიის ნაკრებმა ბოლო წლებში მთელ რიგ სერიო-
ზულ წარმატებებს მიაღწია და ეს მის ხელმძღვანელობას საფუძველს
აძლევდა ეფიქრა, რომ გუნდი გარკვეულ მიღწევებს მოიპოვებდა
მსოფლიო ჩემპიონატში. ეს ზრახვანი მოკლედ და ლაკონიურად
გამოთქვა ჩრ. ირლანდიის საფეხბურთო ასოციაციის პრეზიდენტშა
მ. მაკეირმა (იგი 94 წლისაა): „ჩვენ ვიბრძოლებთ“.

როცა ამ სიტყვებს ამბობდა, უხუცეს პრეზიდენტს აღბათ ინგ-
ლისის პროფესიულ გუნდებში გამოწირთობილი და დასტატურული
მოთამაშეების იმედი ჰქონდა, თორემ ირლანდიის ასოციაცია ვერ

დაიკვეხნის მაინცდამაინც დიდი კაპიტალით და ამიტომ გუნდსაც დიდი მომენტებით, გამოიფლილი კაპიტალი ინახავდა და საერთაშორისო საკონტროლო ჟენერალებსაც ასეთი ხელმოყენებით ატარებდა.

სწორედ მაშინ, როცა ირლანდიის საფეხბურთო ასოციაციის სალაროში თაგვები დახრიცინებდნენ, სამშობლოს გუნდის კარის დასაცავად ჩამოვიდა ბრწყინვალე მექანე პ. გრეგო (იგი ინკლისის „მანჩესტერ იუნაიტედში“ თამაშობს), რომელიც მეტად ძვირადაა შეფასებული: 65 ათას გირვანქა სტერლინგად. ჩამოვიდნენ კანინგზემი, კაში, პიკოკი, მაკარლანდი, კეიტი, სიმბსონი და სხვანი.

სწორედ მათი იმედი ჰქონდა მ. მაკედოს, როცა აშბობდა: ჩენ ვიბრძოლებთო.

საფრანგეთი

საფრანგეთის ნაკრები მსოფლიო პირველობის ერთ-ერთი ყველაზე დამსახურებული ვეტერანია. ფრანგი ფეხბურთელები ყოველთვის აქტიურად მონაწილეობდნენ უდიდეს საფეხბურთო ბრძოლებში და მათი თამაშის მანერა, მათი თავისებურებანი ფართოდაა ცნობილი.

ცნობილია, მაგალითად, ის, რომ ფრანგები ხშირად განწყობილების მიხედვით თამაშობენ: მათ შეუძლიათ ბრწყინვალედ ჩატარონ მატჩი. შეუძლიათ საკმაოდ გულგრილადაც წააგონ იგი, ამის გამოც, პროგნოზები ამ გუნდის მიმართ შეიძლება 100 პროცენტით გამართლდეს, ან... 100 პროცენტით საჭინააღმდეგოდ დამთავრდეს.

ასე იყო, მაგალითად, 1954 წელს. ამ გუნდისაგან დიდ წარმატებებს მოელოდნენ, ფრანგი ფეხბურთელები კი ვარჯიშისა და წერთვის ნაცელად შევიცარიას რომელილაც კურორტზე ისევნებდნენ, დროს ატარებდნენ და მატჩის დღესაც კი დილიდან მოყოლებული კარტს თამაშობდნენ.

სამაგიდოოდ, უფრო რომეს თასის VI გათამაშებაში ფრანგებმა მოინდომეს, ნამდვილად მოინდომეს და მთელს მსოფლიოს ნათლად დაანახეს, თუ რა ძალას წარმოადგენს მათი ქვეყნის ნაკრები.

საფრანგეთის გუნდი სერიოზულად ემზადებოდა მსოფლიო ჩემპიონატისათვის. მოთამაშეთა შერჩევა, მათი განაწილება სხვადასხვა ადგილებზე, საერთო შეთამაშება და ურთიერთმოქმედება დიდის გულმოდგინებით და პასუხისმგებლობის გრძნობით წარმოებდა. მაგრამ თუ ნახევარდაცეისა და დაცვის ხაზებში ყველაფერი წესრიგში იყო, თავდასხმის თამაში ყოველგვარ ხალისს უკარგავდა გუნდის ხელმძღვანელობას. აქ არ ჩანდა გამოცდილი დირი-

ეორის ხელი, რომელსაც შეეძლო ერთ ანსამბლად შეეკრა მსეთი
სოლისტები, როგორებიც არიან ფონტენი, პიანისტი, ვენსანი.

აი, მაშინ დადგა დღის წესრიგში ლოზუნგი — „დაგვიბრუნეთ
კოპა“. მართალია, სკეტიკოსებს ექიმებოდათ, რომ ეს „იანიჩარი“
ასე მოკლე ხანში ააწყობდა გუნდის დარღვეულ თავდასხმას,
მაგრამ ყოველგვარი შიში ზედმეტი გამოდგა. რაიმონ კოპა დიდი
ტაქტიკოსია და მან საფრანგეთის გუნდის ფორვარდებს მოუტანა
ყველაფერი, რაც საქართველოს — კომბინაციურობა, ურთიერთგავრება
და, რაც მთავარია, შეტევათა შედევიანი დამთავრება.

საფრანგეთის გუნდი მზად იყო ფინალისათვის.

პ ა რ ა გ ვ ა მ

პარაგვაის ნაკრები გუნდის შედევები ნამდვილი სიურპრიზი იყო
შესულით პირველობის ფინალისათვის, მაგრამ სიურპრიზები ამ
ბოლო ხანებში ისე მომრავლდა ფეხბურთში, რომ მას უკვე საქმა-
ოდ გულგრილად ხვდებიან. ამიტომ, როცა მიწყნარდა მითქმა-
მოთქმა პარაგვაელთა გარშემო, ყვრობის საფეხბურთო წრეებში
შეუდგნენ იმის გამორკვევის, თუ რას წარმოადგენს პარაგვაის ფეხ-
ბურთი საერთოდ.

ეს ნამდვილი გამოცანა იყო. არასოდეს ფეხბურთის ისტორია-
ში პარაგვაის ეროვნულ ნაკრებს არ უთამაშია ევროპაში. მგზა-
ვრობა ოკეანის იქით ძვირი ჯდება და პატარა პარაგვაის სამო-
ყვარულო ფეხბურთის ასოციაციის არც დაესიზმრება საამისო თან-
ხები.

იი, რას წერდნენ პარაგვაელთა შესახებ: მათს ძარღვეებში
ინდიელთა სისხლი ჩქედს, პარაგვაელები საოცრად იმტანი ხალხა
და მათი თამაში სულაც არ ჰგავს სამხრეთ ამერიკელთა უონგლი-
ორობას, ისინი უფრო უბრალოდ და სწორხაზოვნად მოქმედებენ
და, შეიძლება ამიტომ, სახითაონიც არიან.

მაგრამ ითამაშებდნენ თუ არა რაიმე მნიშვნელოვან როლს
პარაგვაელები შევციაში, იმას გარკვევით ვერ ამბობდა ვერც ერთი
ეკროპელი მიმომხილველი, ხოლო რაც შეეხება სამხრეთ ამერიკელ
სპეციალისტებს, ისინი ამ საკითხზე უარყოფით პასუხს იძლეოდნენ.

პარაგვაის გუნდის შესანიშნავი შედევი VI ჩემპიონატის შესა-
რჩევ თამაშებში (4 ქულა კოლუმბიასთან და 2 ურუგვაისთან),
მოიპოვა ახალგაზრდობამ (მოთამაშეთა საშუალო ასაკი 22-24
წელი), მაგრამ შევციაში გამგზავრების წინ პარაგვაელებმა, ყო-
ველი შემთხვევისათვის, რამდენიმე გამოცდილი ფეხბურთელით
გააძლიერეს გუნდი. პირველ ყოვლისა, იტალიიდან მოწვეულ იქნა

პაროდი, რომელიც კარგა ხანია იქაურ პროფესიულ გუნდში თამაზობს.

როცა პარაგვაელები ჩამოვიდნენ შეცეიაში და საწყებნელ მატჩებს შეუდგნენ, გამოირკეა, რომ ისინი მიმართავენ ჩეცელებრივი „3 მცენელის“ სისტემას. მათვის დამახასიათებელი იყო დიდი სისწრაფე, ენერგიულობა, გამხედაობა.

პარაგვაელთა იღრეული ეიზიტი შეცეიაში გამოწვეული იყო იმით, რომ მათ სურდათ აკლიმატიზაცია და ექროპულ ფეხსურთოთან შეჩეკება, რომელთანაც მათ არასოდეს ჰერნიათ ახლო ურთიერთობა, მაგრამ, ეტყობა, პარაგვაელებს ერთგვარ უპირატესობადაც მიანინდათ ეს გარემოება, ვინაიდან გუნდის მწერთნელმა ა. გონისალესმა ასე განუცხადა კორესპონდენტებს: „მართალია, ჩევნ არ ვიცნობთ ეცროპელებს, მაგრამ თქვენც რომ არ გვიცნობთ ჩევნ?“.

0 7 8 0 8 4 0 1

იუგოსლავიის ნაკრებ გუნდს „მუდმივ ოლიმპიურ ფინალისტს“ უწოდებდნენ იმის გამო, რომ სამივე ომისშემდგომ ოლიმპიურ თამაშებში (ლონდონი, პელსინჯი, მელბურნი) იგი ფინალში გავიდა და ერტხლის მედლები მიიღო. ასეთი დიდი წარმატება სესვებით დამსახურებულია გუნდისათვის, რომელიც ერთ-ერთ უძლიერესად ითვლება ეცროპაში.

მაგრამ VI მსოფლიო ჩემპიონატის ფინალურ ჯგუფში იუგოსლავები გვეიდნენ მხოლოდ მძიმე და დაძაბული ბრძოლის შემდეგ, თუმცა მათ ეს თითქოს არ უნდა გასკირებოდათ. სწორედ ამ შეხედრებში გამოვლინდა იუგოსლავიის გუნდის მთელი რიგი ნაკლიანებანი. აღმოჩნდა, რომ მოთამაშეთა ფიზიკური მომზადება ვერ იღდა სათანადო სიმაღლეზე, ცუდი იყო საერთო შეთამაშება. გარდა ამისა, როცა ნაკრებს სრული შემადგენლობით უნდა დაეწყო მზადება, ცალკეულ მოთამაშებს დარჩენილი ჰქონდათ კალენდარული მატჩები თავიანთ ქლუბებში იუგოსლავიის პირველობაზე და ვალინდელ პარტნიორებს დღეს ერთმანეთის წინააღმდეგ უსდებოდათ თამაში. ამას დაერთო ისიც, რომ ჩამდენიმე წამყვან ქლუბს ჩემპიონატში სახეიროდ ვერა ჰქონდა საქმეები და მოთამაშეებს საზრუნავი თავზე საყრელი ჰქონდათ.

ყველაფერი ეს — მოთამაშეთა დაღლილობა, დაქსაქსულობა, ორგანიზაციული წინააღმდეგობანი თანდათან მოისპო და იუგოსლავიის ნაკრები ნელ-ნელა ფორმაში შევიდა. გუნდში ეს ნათლად დამტკიცა 1958 წლის მაისში, როცა თავის მინდორზე ბრწყინვა-

ლელ დამარცხა ინგლისის ეროვნული ნაკრები ანგარიშით — 5:0.

მიუხედავად ასეთი გამარჯვებისა, მწერთნელი ა. ტირნანტრა არ იყო ქმაყოფილი თავისი გუნდით. გამოყდილი მექარე ბერადა დაცვის მთელი ხაზი მას არ აფიქრებდა; ეს გუნდის ყველაზე საიმედო ნაწილი იყო, თავდასხმა... არ, აქ კი მწერთნელი მეტი სტაბილურობის მიღწევას ცდილობდა. მარჯვენა გარემარბი პეტაკოვიჩი თანაბარი სიძლიერით არ თამაშობდა ყოველ მიტჩში და უცნაური მორიგეობით ატარებდა თამაშებს — ერთს ძლიერად, ერთსაც — სუსტად. სავსებით დამაკმაყოფილებლად თამაშობდნენ მილუტინოვიჩი და შეკულარაცი, მაგრამ დანარჩენი აღგილები არ იყო უზრუნველყოფილი მაღალი კლასის ფეხბურთელებით.

შეეციაში გამგზავრების წინ იუგოსლავის ნაკრებს ორი ნაკლი მაინც პქონდა: მოთამაშეთა არასაკმარისი ფიზიკური მომზადება და თავდასხმის ზოგიერთი წევრის სისუსტე.

მ თ ტ ლ ა ნ დ ი ა

ჯერ კიდევ მსოფლიო ჩემპიონატის დაწყების წინ, ბრიტანული სპორტული პრესა ორ საწინააღმდეგო ბანაკად გაიყო. ერთნი დაუინგბით ამტკიცებდნენ, რომ სისულეელა დიდი ბრიტანეთის საფეხბურთო გვარდისა დაშლა ითხ შემადგენელ ნაწილად (ინგლისი, შოტლანდია, ჩრ. ირლანდია, უელსი). ჩერჩ საკუთარ თავს ვებრძვით, — წერდნენ ისინი, — რატომ უნდა შეაკლას თავი ერთმანეთს ითხმა იმაშ?

შეორენი უფრო დინჯად და ლრმად უყურებდნენ საქმის ვათარების. მათი აზრით დიდი ბრიტანეთი ისე არ დაერღმება ფეხბურთში, რომ ითხი გუნდი „მაინც“ არ შემჭერის მსოფლიო შოტლანდიაშე საბრძოლელად. „მით უკეთესი, თუ ჩერჩი გუნდები ფინალში გავლენ, — ხაზს უსვამდნენ ისინი, — მეტი შანსია!“

შოტლანდიის ნაკრები ფინალის პრემიერთა შორის არ ითვლებოდა, მაგრამ როგორც კი გაისხენდნენ მის შედეგებს წინასწარ თამაშებში, იმ დასკვნამდე მიღიოდნენ, რომ ესაა უტსაიდერი, რომელსაც ორივე თეალით ფხისლად უნდა უცქირო და ყურადღებით იყო, თორემ მოვიგებს, იუცილებლად მოვიგებს.

არავისათვის არ იყო საიდუმლო, რომ შოტლანდიელები დროებით დაიბრუნებდნენ ინგლისის პროფესიულ კლუბებში მოთამაშე თავიანთ საუკეთესო ფეხბურთელებს. სბეგვარად ისინი ვერაცხრით ვერ გაიშარჯვებდნენ ისეთ მოწინააღმდეგებთან, როგორებიც იყვნენ ესპანეთისა და შევიცარის ძლიერი გუნდები.

რაშია საქმე? რატომაა, რომ შოტლანდიას, რომლის საფეხბუ-

რთო ტრადიციები გასული საუკუნის შუა წლებს იღწევს, საუკუნეოს ფეხბურთელები სხვებისთვისა ჰქავს „საიმპორტოდ“, მოლოდინის თვითონ სამათხოეროდ უხდება ხოლმე საერთო?

შოტლანდიის საფეხბურთო ასოციაცია გაურბის საერთაშორისო შემსრულებელის იშვიათად, რომ აქ მოიწვიონ ვინმე, ან თვითონ შოტლანდიელები გიერგზავრონ სადმე სათამაშოდ. ინგლისმა შეიგრინო ასეთი განდგომილების მთელი ზიანი და აქტიურად ჩაება საერთაშორისო საფეხბურთო ცენტრებაში, შოტლანდიელები კი ძველებულად ჯიუტობენ და, როგორც იტყვიან, საკუთარ წვენში იხარმებიან.

მაინც, მიუხედავად ამისა, შოტლანდია დიდი მონძომებით ემზადებოდა მსოფლიო პირველობისათვის. ბერი დრო დასკირდა ძირითადი შემადგენლობის დადგენას. მწვრთნელებმა ჯერ ძევლი ფეხბურთელები გამოისცადეს, შემდევ ახლებიც გადასინჯეს და საბოლოოდ ძევლისა და ახლის შერწყმის ვარიანტზე შეჩერდნენ. გუნდის მოსამაზადებელ გეგმაში შეტანილ იქნა რამდენიმე საერთაშორისო საკონტროლო მატჩი.

შოტლანდიელებს რევანში აღება სწალდათ V მსოფლიო ჩემპიონატში დამარცხებისათვის (ურუგვაისთან—0:7, ავსტრიასთან—0:1).

შვეცია

შეედური ფეხბურთის ძალა და ფასი კარგადაა ცნობილი საერთაშორისო სარჩევლზე. შეედებმა ორჯერ კარგ შედეგებს მიაღწიეს ეიულ [რიმეს თასის გათამაშებაში, 1948 წელს კი ლონდონის ოლიმპიურ თამაშებში ჩემპიონთა ოქროს მედლები მოიპოვეს.

ეს დიდი წარმატება იყო და სწორედ ამან დალუპა შეეციის ეროვნული ფეხბურთი. როგორც კი დამთავრდა ოლიმპიური თამაშები, ფეხბურთის „ეარსკელავებით“ მოვაჭრებმა იხსულეს ჩრდილოეთის ამ ქვეყნისაკენ და ნამდვილ საერთაშორისო ბაზრად აქციებს იგი. თვალისდაბამბებაში სააუქციონო წესით იქნენ გაყიდული შეეციის უძლიერესი მოთამაშები, ხოლო შესანიშნავი სამეცნიერო-გრძენი-ნოტიდალი-ლიდპოლმი ბითუმად შეიძინა იტალიის კლუბმა „მილანში“.

მიუხედავად ასეთი დანაკლისისა, შეედებმა 1950 წელს მესამე ალევილი დაიყიდეს მსოფლიო ჩემპიონატში და ფეხბურთის ქორვაჭრები კვლავ დაიძრნენ შეეციისაკენ ახალი „საქონლის“ შესაძენად. ბაზრობა იმჯერადაც სარტყიანი გამოდგა, სამაგიეროდ, შეედები უფეხბურთელეგბოდ დარჩნენ და V მსოფლიო ჩემპიონატში ბელგიასთან ორი დამარცხების შემდეგ დატოვეს გათამაშება.

ეთულ რიმეს თასის VI გათამაშებაში შეეცია მასპინძელი იყო და წინასწარი თამაშები სულაც არ აინტერესებდა. მაშინ, როცა ევროპისა და სამხრეთ ამერიკის სტადიონებშე სასტიკი ბრძოლა იყო გამართული, შეეციის ნაკრების ხელმძღვანელობა მყუდრო კაბინეტში უჯდა მწვანე მაგიდას და ანგარიშობდა, რომელი ფეხბურთელები დაებრუნებინა უქან ჩემპიონატის პერიოდისათვის. ეს სია ბოლოსდაბოლოს დაზუსტდა და გადაეცა ინგლისიდან მოწვეულ მწვრთნელს ჯორჯ რაინორს. ერთიმეორებული ჩამოდიოდნენ სამშობლოში ჰამრინი სკოგლუნდი, გრენი, ლიდჭოლმი, გუსტავსონი და სხვანი. „იტალიელი შეედების“ შესანიშნავმა ინდივიდუალურმა თამაშმა კეთილნაყოფიერი გავლენა მოახდინა ადგილობრივ ფეხბურთელებზე და მასპინძლები თავიანთ ძალებში დარწმუნებული ელოდნენ 15 ფინალისტის ჩამოსელის მათს ქვეყანაში.

მექსიკა

დად საერთაშორისო შეჯიბრებებში არაა მიღებული წინასწარი იმის გამოკვლევა, თუ ეინაა ყველაზე სუსტი მონაწილეთა შორის. სპეციალისტები იმას ეთიკის დარღვევად თვლიან, ხოლო ეურნალისტები ასეთ „კონკურსებს“ არ აწყობენ აღბათ იმის გამო, რომ მკითხველთათვის საინტერესო არაა სუსტებისა და ჩამორჩენილების კვლევა. მკითხველს ლიდერები და ძლიერები აინტერესებს.

მაგრამ ჩუმად, „შინაურულად“ რომ გეკითხათ სპეციალისტებისა და ეურნალისტებისათვის, თუ ეინ მიაჩნდათ შათ 16 ფინალისტს შორის ბოლო აღვილის პრეტენდენტად, აღბათ ერთნიცა და შეორენიც პირველად მექსიკას დასახელებდნენ.

VI ჩემპიონატის ფინალში გასელა მექსიკელთათვის [საქმიოდიოლი საქმე გამოიდგა მოწინააღმდეგებთა სისუსტის გამო. ოთხი გამარჯვების მოპოვება ამერიკის შეერთებული შტატებისა და კანადის გუნდებთან დად სიძნელეს არ წარმოადგენდა, ხოლო 3 ქულის იღება 4 შესაძლებლიდან კოსტა-რიკასთან მექსიკის-ფეხბურთელთათვის საესებით ჩაიღური საქმე იყო.

თვით მექსიკელები იმედიანად უყურებდნენ თავიანთ მონაწილეობას მსოფლიო პირველობაში. 1953 წლის თებერვალში მექსიკიში მოეწყო ტურნირი ბრაზილიის („ბოტაფოგო“) და არგენტინის („რივერ პლატას“) ჩემპიონების მონაწილეობით, სადაც პირველი აღვილი წილად ხედა მექსიკის ერთ-ერთ უძველეს კლუბს — „გვადალახარას“. და თუმცა, არც ბრაზილიელები, არც არგენ-

ტინელები მეხიეობი სრული შემადგენლობით არ ჩასულან, მექსიკის პრესა დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა გამარჯვებას ამ ტურნირის ში და წერდა, რომ „...მექსიკური ფეხბურთის წარმატებანი იზრდება და შეიძლება იმედი ვიქონიოთ გარევეულ მიღწევებზე შეეცაში“.

მექსიკის ნაკრებმა რამდენიმე საწვრთნელი მატჩი ჩატარა ბრაზილიისა და კინადის გუნდებთან და დაზევერების საწარმოებლად ჩამოვიდა ეკროპაში, კერძოდ, პორტუგალიაში, საღაც ზედიშედორი დამარცხება განიცადა ადგილობრივი ფეხბურთელებისაგან.

ამან, ცოტა არ იყოს, შეანელა მექსიკის ნაკრების ხელმძღვანელთა ნაადრევი ენთუზიაზმი, მით უმეტეს, რომ ქვეჯგუფში მათ ისეთი ძლიერი მოწინააღმდეგებები მყავდათ, როგორც უნგრეთი, შვეცია, უელსი და, რა თქმა უნდა, ბრძოლა მათს წინააღმდეგ გაცილებით ძნელი იქნებოდა, ვიდრე პორტუგალიის საკლუბო გუნდებთან.

768 60 70

უნგრელ სპორტის მოყვარულთა უდიდესი ბანაები საგანგებო ინტერესით ელოდა ფინალური მატჩების დასაწყისს შეეციაში. უნგრეთის ფეხბურთელები 1938 წელს სულ ახლოს იყვნენ ოქროს თასის მოგებასთან, მაგრამ ფინალში დამარცხდნენ იტალიასთან (2:4), ხოლო 1954 წელს მათ თითქმის უკვე ხელთა შექმნდათ სანუკეარი პრიზი, მაგრამ ეს იყო მხოლოდ „თითქმის“. „ბერნის ტრაგედია“ მათ მეორე ადგილის ფასად დაუჯდათ.

მას შემდეგ უნგრეთის ეროვნულმა ნაკრებმა დიდი ცვლილებანი განიცადა. ვეტერანთა ადგილი გუნდში დაიკავეს ახალგაზრდებმა, ახალმა მწვრთნელმა ლ. ბაროტიმ საგანგებო მოშზადების გარდა დიდი ადგილი დაუთმო საერთო განვითარების ტიპის ვარჯიშებს, სისწრაფეს, კოლექტიურობას.

შეეციაში გამგზავრების წინ ლ. ბაროტიმ განაცხადა: „იქმნება შთაბეჭდილება, რომ ჩვენ შედარებით იოლ ჯგუფში მოვხედოთ, თუმცა ამაზე იმდების დამყარება სისულელე იქნებოდა. ჩვენ ვიცით, რომ მწვანე მინდობრზე შეუპოვარი ბრძოლაა საჭირო გამარჯვების მოსაპოვებლად, მაგრამ (ამას ჩვენ არ ვმალავთ) მოხარული ვართ, რომ ჩემპიონატის დასაწყისში მაინც გვაქვს ერთგვარი შეღავათი.

ჩვენ კარგად ვიცით ერობის გუნდების ძალა და შესაძლებლობანი, ჩინებულად ვიცნობთ ოკეანესგალმელებსაც. ვიმედოვნებთ,

რომ ჩვენი გაახალგაზრდაებული გუნდი მოშავალ ბრძოლებში კვლავ გამოიჩინს თავს".

ამ განცხადებაში ლ. ბაროტი ერთობ ნათელ ფერებში ხატავდა მოშავალ ბრძოლათა პროგრამას, სინამდევილეში კი მას დიდი და ძნელი საქმე ჰქონდა მოსავარებელი. საქირო იყო მთელ რიგ ნაკლოვანებათა გამოსწორება დაცვაში და ნაწილობრივ თავდასხმაშიც, სადაც კარგა ხანს ვერ მოხერხდა ძველი და ახალი პლატის მოთამაშეთა შერწყმა, მათ შორის საერთო ენის გამოძებნა.

ერთი სიტყვით, ცხადი იყო — უნგრეთის 1958 წლის ნაერები არ იყო ის მრისხანე ძალა, რომელიც ესოდენ საშიში იყო 1954 წელს.

უ ე ლ ს ი

ეს უკვე წმინდა შემთხვევის საქმე იყო. 9 ქვეუნის საფეხბურთო „ატაშე“ შემოსხდომიდა მრგვალ მაგიდას და გულის ფანქებით ელიდა ბედის მსჯავრს. შანის ერთობ მცირე იყო: 9 შესაძლებლოდან მხოლოდ ერთი, მაგრამ იგი მაინც საესებით რეალური და შესაძლებელი გახლდათ. ეიღოცას ხომ უნდა ამოელო ეს ერთი იღბლიანი კენჭი! ბედმა ის უელსის წარმომადგენლებს არგუნა. ამბობენ, უელსელებს იმავე სალაშოს უნდოდათ სამადლობელი ბანკიტის გამართვა, მაგრამ გაწმილებულ მეტოქეებს ბანკეტისათვის არა სცენისათვის.

ეს იყო უელსის ფეხბურთელთა პირველი ბედნიერი კენჭი. მეორე ბედნიერი კენჭი მათ შეხვდათ ცოტა გეიან, როცა მოხდა 16 ფინალისტის დაყოფა ქვეჯგუფებად. მესამე ქვეჯგუფი, სადაც მათ გარდა შედიოდნენ უნგრეთი, შეეცია და მექსიკა, აშერიად ითლი იყო სხევებთან შედარებით. ერთ-ერთი აქაური უურნალისტი ასე წერდა ამ კენჭისყრის შემდეგ: „ჩვენთვის რომ უფლება მიეცათ საკუთარი გეორგების მიხედვით ამოგვერჩია მოწინააღმდეგენი, ამაზე უკეთეს არჩევანს ერცუ გავაკეთებდით“.

უელსში არ ტარდება პროფესიონალური ჩემპიონატები. აქაური ფეხბურთის ყველა უვარსკევლავიც ან ინგლისის გუნდების შემადგენლობაში თამაშობს, ან იმ თხზი პროფესიული კლუბის წევრები არიან, რომლებიც უელსიდან მონაწილეობენ ინგლისის ჩემპიონატში.

თვით ინგლისელები მეტად მაღალი წარმოდგენისა არიან უელსის ფეხბურთელებზე და იშვიათად, რომ რომელიმე ძლიერ კლუბს არა ჰყავდეს ძირითად შემადგენლობაში აქაური მოთამაშეები. ამი-



უელსის ეროვნული ნაკრების ძირითადი იმედი შემფლიო პირველობის გათამაშებაში — გიგანტი ჯონ ჩარლზი, ბრიტანელთა საუკუთხსო ცუნდრალური თავდამსახული.

ტომ, უელსის ნაკრები (ისევ), როგორც შოტლანდიისა და ჩრისტიანის (გუნდები) ფაქტურად ინგლისის ნაკრების ერთ-ერთ ვარიანტს წარმოადგენს.

მსოფლიო ჩემპიონატის დაწყების წინ უელსის სატესტურო წრეების ხელმძღვანელთა წინაშე, პირველ ყოვლისა, იდგა ჯონ ჩარლზის პრობლემა. ეს ბრწყინვალე ცენტრალური ფორვარდი, გაგანტური იგებულების ათლეტი იტალიაში თამაშობდა და იხლა ყველაფერი ისახე იყო დამოკიდებული, გამოუშევებდა „იუენტუსის“ მეპატრონების სენიორ ანელი (იგი დიდი საავტომობილო კონცერნის — „ფიატის“ ხელმძღვანელია) ჯონ ჩარლზის დროებით სამშობლოს ნაკრების დასაცავად თუ იძუნწებდა და დაიტოვებდა. იტალიის თასის გათამაშებისათვის, სენიორ ანელიმ, როგორც იქნა, გაიმეტა ჯ. ჩარლზი შინ დასაბრუნებლად.

ინგლისის ჩემპიონატის დამთავრების შემდეგ უელსის ნაკრები გუნდის კანდიდატები შეიკრიბნენ საწეროთნელ ბანაკში და შეუდგნენ მზადებას მომავალი ბრძოლებისათვის.

ა 3 ს ტ რ ი ა

1931-34 წლები აქსტრიული ფეხბურთის ტრიუმფის წლები იყო. მნელად, რომ რომელიმე ქვეყანას პქონდეს ისეთი წარმატებები სატესტურო შინდევრებშე, როგორც აქსტრიას, მაგრამ შემდგომ წლებში აქსტრიელთა მიღწევებმა საგრძნობლად მოიყლო.

დაკარგული სახელის აღსაღვენად აქსტრიის ნაკრები საგანგებოდ მოდ მოემზადა 1954 წლის მსოფლიო ჩემპიონატისათვის და დადგინდება წარმატებასაც შიაღწია (III ადგილი), მაგრამ როგორც კი დამთავრდა ჩემპიონატი, საუკეთესო აქსტრიილი ფეხბურთელები შეოსაბალი, ჰაბელი, შელჭირი, ოციორე, კომინეკი შესყიდულ იქნენ საფრანგეთისა და იტალიის კლუბების მცერ და აქსტრიის დასუსტებული გუნდი დამარცხებაზე განიცდიდა.

მაგრამ ეს არ იყო აქსტრიული ფეხბურთის დასუსტების ერთადერთი მიზეზი. აქსტრიის ნაკრები წლების განმავლობაში განთქმული იყო კ. წ. „ვენური ხელუებით“. უმაღლესი ტექნიკის მქონე ფეხბურთელები ლამაზად და მოხდენილად ქარგავდნენ ათასგვარ კომბინაციის მინდვრის შუაგულში, მათ არ აკლდათ მახვილგონიერება, სიზუსტე, დახვეწილობა, მაგრამ ვენელები დიდად ჩამორჩინენ ათლეტიზმით. მათ სულ არა პქონდათ ტემპი, სისწრაფე, არ ზედლოთ ძალისმიერი ბრძოლა, რის გარეშეც თანამედროვე ფეხბურთი წარმოუდგენელია. აქსტრიილთა თამაში ბოლო ხანგბში წააგავდა ლაბან საქეტაკლს, რომელიც პირველსაც აქტში იშლებოდა ხოლმე მოწინააღმდეგის შძლავრი, ტემპიანი შეტევის დროს.

პროტესტი „ვენური სკოლის“ წინააღმდეგ სულ უფრო სშირად გაისმიოდა აქსტრიაში, ამიტომ 1958 წლის მსოფლიო პირველობისათვის მზადების პროცესში აქსტრიული ფეხბურთის ხელმძღვანელობა არა მარტო ეძებდა ნაკრების ახალ შემადგენლობას, არამედ სკოლისულად ზრუნავდა თამაშის სტილის შეცვლისათვის.

II გ ლ ი ს ი

შევიდი და აუდელებელი, საკუთარ ძალებში დარწუნებული ინგლისელი ფეხბურთელები თამაშობენ უალრესად ეკონომიკურად, მიზანდასახულად. მაღალ ტექნიკას ისინი იყენებენ საქმიანად, ყოველგვარი გარეუნილი და უსარგებლო ეფექტის გარეშე. ინგლისელ ფეხბურთელებს შესანიშნავად ესმით თამაში, ესმით მისი ტაქტიკური ნიუანსები, შეუძლიათ მოწინააღმდეგეს თავს მოახვიონ თამაშის ის გარიანტი, რომელიც მათთვისაა ხელსაყრელი.

კარგა ხანია განელო ინგლისელთა „საფეხბურთო განდგომილებისა“ და უკადრისობის პერიოდმა, ისინი აქტიურად ჩაებნენ საერთაშორისო საფეხბურთო ცხოველებაში და 1958 წლის მაისამდე ზედისედ ჩატარებულ თექვსმეტ საერთაშორისო შეხვედრაში არცერთი არ წაუგიათ. მხოლოდ მეჩვიდმეტე თამაშში დამარცხდნენ, ისიც თავისიანებთან—ჩრ. ირლანდიის ნაკრებთან (2:3).

ინგლისელებმა გადაჭრით უარყევს ნაკრების შედგენის ძველი
6. ბ. ჟაჭაძე, ბ. ქორქია

პრინციპი, უარი თქვეს „11 ვარსკელავზე“ და შექმნეს თამაშის ერთიანი გაეგბის შემნე, მონოლითური კოლექტივი. გუნდის მწერთნელი უ უინტერმოტომი ერთ-ერთი პირველთავანი იყო, რომელმაც უარყო ტრადიციული ინგლისური კონსერვატიზმი და შექმნა სრულიად ახალი, ბრძოლისუნარიანი ინსამბლი.

ინგლისურმა ფეხბურთმა უმძიმესი ტრაგება მიიღო მიუნდენის საავიაციო კატასტროფის შემდეგ. ეს იყო შევი დღე, რომელმაც ინგლისის ნაკრებს გამოსტაცა რამდენიმე ბრწყინვალე ფეხბურთელი. დაიღუპა შესანიშნავი ცენტრალური თავდამსხმელი ტოში ტეალორი, ნახევარმცველი ედვარდსი, მცველი ბირნი, მძიმედ დაშვედნენ სხვანი.

ტეალორი, ედვარდსი და ბირნი არ იყვნენ ისეთი ფეხბურთელები, რომელთა შეცვლა ასე უბრალოდ და ხელაღებით შეიძლებოდა, მაგრამ ინგლისის პროფესიულ ფეხბურთს გააჩნია პირველხარისხოვან მოთამაშეთა უდიდესი რეზერვი და დაახლოებით შესაფერი ცვლა ასე თუ ასე გამოძებნილ იქნა.

როცა ინგლისში გაიგეს კენჭისყრის შედეგები, ყველასათვის ცხადი შეიქნა, თუ რა სიძნელების წინაშე იდგა გუნდი. „ეს ხომ უკვე ფინალია“, აღნიშნავდნენ ინგლისური გაზეთები. „პოპლი“, მაგალითად, წერდა: „ჩვენ ორი უბედურება დაგვატყდა თავს: მიუნდენის კატასტროფა და წყეული კენჭისყრი. მაგრამ, ფინალობთ, ინგლისის ნაკრები იმჟამად წესრიგშია და ნაოჭები ბ-ნ უინტერბოტომის სახეზე გამჭრა. ახლა მთავარია შევინარჩუნოთ გუნდის სპორტული ფორმა“.

პოპინსონი, რაიტი, ჰოუ, კლეიტონი, დუგლასი, კევანი, ჰეინსი, ფონე და სხვანი — ეს იყო ის ძალა, რომელიც ინგლისელ ფეხბურთის მოყვარულებს მომავალ ბრძოლებში წარმატებათა გარინტიას იძლევდა.

გ რ ა ზ ი ლ ი ა

როცა ლაბარეკია ფეხბურთის პირველობაზე რომელიმე ქვეყანაში, მხედველობაში გვაქვს მაყურებლებით საესე სტადიონები, საფეხბურთო სტატიებით იტრელებული გაზეთები, ქუჩებში მოთამაშე ბავშვები...

მაგრამ თუ სიტყვა ჩამოვარდება ფეხბურთის პოპულარობაზე ბრაზილიაში, ეს იცოდეთ, სულ სხვაა — ექვევ საყოველთაო სახალხო სიყვარულთან გვაქვს საქმე. აი როგორ აღწერა ეს სიყვარული ბრაზილიურმა გაზეთმა „გაზეტა ექსპორტიკამ“: „სკოლის

პოსტავლეს შეუძლია არ იცოდეს რესპუბლიკის პრეზიდენტის გვარი, ეს არაფერია, მაგრამ მან უსათუოდ დაწერილებით იცის ყველა ლაფერი, რაც საკუთხესო ფეხბურთელებს „მეტება“.

ბრაზილიაში ფეხბურთს თამაშობს თითქმის ყველა — ბავშვიცა და მოხუციც. სწორედ ამ პოპულარობისა და მასობრიობის შედევრია ის, რომ ამ ქვეყანაში უთვალივი რაოდენობით არიან შესანიშნავი ფეხბურთელები, ტუავის ბურთის შეუდარებელი ოსტატები. აქ მთელი წლის განმავლობაში მიმღინარეობს საფეხბურთო ბრძოლები, ხოლო ბრაზილიის გუნდი უცვლელად მონაწილეობს თითქმის ყველა დიდ საერთაშორისო შეჯიბრებაში. ყოველ შემთხვევაში, ჩეს ჯერ არ გაუცდენია მსოფლიო პირველობის გათამაშება.

მიუხედავად ფეხბურთის ასეთი პოპულარობისა, ბრაზილიაში არ ტარდება ეროვნული ჩემპიონატი, როგორც ეს სხვა ქვეყნებშია მიღებული. ყოველ შტატს აქ თავისი პირველობა იქნება, თუმცა ყოველწლიურად ეწყობა ე.წ., „მაქსიმალური ტურნირი“, რომელშიც მონაწილეობენ რიო-დე-ჟანეიროსა და სან-პაულუს საკუთხესო გუნდები. გარდა ამისა, ხდება თასის გათამაშება შტატების ნაკრებ გუნდებს შორის.

ყველაფერი ეს ანელებს ბრაზილიის ერთიანი ნაკრები გუნდის შექმნას. შტატების საფეხბურთო ფედერაციებს შორის ნამდევილი შულლია ჩამოვარდნილი და ყველა ცდილობს მეტი რაოდენობით მოახველდოს თავისი ფეხბურთელები ნაკრებში. გამონაკლის წარმოადგენდა მზადება V1 მსოფლიო ჩემპიონატისათვის, როგორც მოშულლებმა საოცარი ერთსულოვნება და ურთიერთგაუბა გამოავლინეს გუნდის დაკომპლექტებისა და მზადების საქმეში. ეტყობა, ბრაზილიელებს გულით სწადდათ ოქროს ქალმერთის შოგება.

შესარჩევ თამაშებში ბრაზილიის გუნდმა ვერ დატოვა სახატბიერო შთაბეჭდილება. კარგა ხანი დასკირდა მთვარი მწერონელისა და მისი თანაშემწევების შერჩევას, შემადგენლობის საბოლოო დადგენას, სხვადასხვა დეფექტის გამოსწორებას. მაგალითად, ბრაზილიელები იღრე ვერ ეგუებოდნენ ათლეტურ ბრძოლის, პერსონალურ დარაჯობას დაცუაში, ძალისშეტენი ილეობის გამოყენების და ა. შ.

არასოდეს არ მომზადებულა ასე გულმოდგინედ ბრაზილიის გუნდი მსოფლიო პირველობისათვის. 1954 წლის ჩემპიონატის მონაწილეთაგან ნაკრებში დარჩნენ შეკარე კასტილიო, მცველები ნილტონ და ჯალმა სანტოსები, თავდამსხმელი ვალდირ პერეირა, რომელსაც ზედმეტ სიხელად დიდის უწოდებენ საფეხბურთო საჩუაროში.

1958 წლის მსოფლიო პირველობის გათამაშება ფეხბურთის დაემთხვევა სამამულო ფეხბურთის საიუბილეო თარიღის — 60 წლის-თავს.

არნახული წინსელა განიცადა ამ ხნის განმავლობაში ფეხბურთის ჩვენს ქვეყანაში. პირველ საერთაშორისო მატჩებში, რომლებიც დათარიღებულია 1900 წლით, რუსეთის ნაკრები გუნდი მარცხდებოდა მეორეხარისხოვან გუნდებთანაც კი. ეპროდ, 1912 წლის ოლიმპიურ თამაშებში რუსეთის ნაკრებმა წააგო პირველივე შეხვედრა ფინეთთან, ანგარიშით 1:2.

ამჟამად საბჭოთა კავშირის გუნდი სამართლიანად ითვლება ერთ-ერთ უძლიერეს გუნდად მსოფლიოში. ჩვენი ქვეყნის საკლუბო გუნდებს უამრავი საერთაშორისო მატჩი იქვთ შოგებული როგორც საკუთარ, ისე მოწინააღმდეგეთა მინდვრებზე (ინგლისი, ბრაზილია, იტალია, საფრანგეთი, უნგრეთი, ჩეხოსლოვაკია, შევეცია, აესტრია და ა. შ.), ხოლო სსრ კავშირის ნაკრებ გუნდს დამარცხებული პყავს მთელი რიგი უძლიერესი ეროვნული ნაკრები გუნდები.



ლევ იაშირი. საბჭოთა ნაკრების
შესანიშნავი მეცარე.



საბჭოთა გუნდის ნახევარმცველი
იური ვოინოვი. იგი სპეციალისტთა
მიერ შეცვანილ იქნა დ. წ. „ჩევენი
ნი პლანეტის“ ნაკრებში.

1956 წელს საბჭოთა ფეხბურთელებში მოიპოვეს დიდი წარმატება: XVI ოლიმპიურ თამაშებში, რომელიც მელბურნში შედგა, მათ დამარცხეს ყველა მოწინააღმდეგე და მოიპოვეს ჩემპიონობის ოქროს მედლები. ამ პერიოდში გუნდი შესანიშნავად შეთამაშებულ ანსამბლს წარმოადგენდა, რომლის ძალა არაერთ მოწინააღმდეგეს გამოუყდია. საბჭოთა კავშირის ნაკრები დაქომბლექტებული იყო მოსკოვის „სპარტაკის“ ბაზაზე, რომლის საუკეთესო მოთამაშეები გუნდის ძირითად ბირთვს შეადგენდნენ. ნაკრების შედგენის ამ პრინციპში სრული გამართლება ჰქოვა, მაგრამ შემდგომში შემადგენლობაში მოხდა ცვლილებანი, რამდენიმე მოთამაშემ დაკარგა ფორმა, მათი შეცვლა ახალი კადრებით მტკიცნეული, რომელი პროცესი აღმოჩნდა. გუნდს რამდენიმე ადგილზე აშკარად აკლდა მაღალი კლასის ფეხბურთელები. ყველაფერი ეს ნათელი შეიქნა 1958 წლის 18 მაისს, როცა მოსკოვში, ვ. ი. ლენინის სახელობის ცენტრალურ სტადიონზე შედგა ახანაგური საერთაშორისო მატჩი სსრ კავშირი—ინგლისი. მართალია, შეხვედრი დამთავრდა ფრედ (1:1), მაგრამ უპირატესობა აშკარად ინგლისელთა მხარეს იყო.

ფინალური მატჩები კარზე იყო მომდგარი, გუნდში კი ჯერ არ იყო დადგენილი საბოლოო საბრძოლო შემადგენლობა, ადგილი ჰქონდა დენადობას, მწვრთნელები განავრთობდნენ ექსპერიმენტებს. ამას დაემატა ისიც, რომ საბჭოთა კავშირი კენჭისყრის ძალით მოხვდა IV ქვეჯგუფში ბრაზილიის, ინგლისისა და იყსტრიის გუნდებთან ერთად, ეს კი, საყოველთაო აღიარებით, ყველაზე ძნელი ჯგუფი იყო.

გრძოლა ფინანსი

არგენტინა «თამაშგარე» მდგრადართვაში

I ჯგუფი

(გფრ, ჩეხოსლოვაკია, არგენტინა, ჩრდილოეთ იტლანტიკა)

ვის შეებარებოლა ექვი, რომ არგენტინის ნაკრები გამარჯვებას მოიპოვებდა ჩეხოსლოვაკიის, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკისა და ჩრდილოეთ იტლანტიკის გუნდებთან ბრძოლაში? თითქმის არავის. არგენტინა იყო ფაფორიტი, რომლისთვისაც პირველი ჯგუფი საწყირთნელ ეტაპად მიაჩნდათ ოქროს ქალმერთის თასისათვის შემდგომ ბრძოლაში და ამიტომ ლაპარაკს იწყებდნენ პირდაპირ მეორე აღვილის კანდიდატებიდან. ამ აზრის გაერცელებას ყოველნაირად უწყობდნენ ხელს თვით არგენტინელებიც, რომელთა შწყრთნელმა გ. სტაბილუმ ჯერ კიდევ აღრევი განაცხადა, რომ მისი ფეხბურთელები შევციაში აჩვენებდნენ გაუგონარ საოცრებას — „ჯაზურ ფეხბურთს“. რა იყო ეს „ჯაზური ფეხბურთი“ კაცმა არ იცოდა და არც ნანახი ჭრონდა ვინმეს, მაგრამ არგენტინელთა ამგვარი „ფსიქიური შეტევა“ მეხიცით გავარდა საფეხბურთო წრეებში და ევროპის გუნდები შიშით მოელოდნენ ამ მრისხანებას ოკეანის გაღმიდან. არგენტინელთა უმაღლესი ტექნიკა და თავბრუდამხევე ტემპი ყველასათვის ცნობილი იყო და თუ ყველაფერ ამას ახლა „ჯაზური“ საიდუმლოებაც თან დაერთოდა, რა თქმა უნდა, ბრძოლა მათთან თითქმის შეუძლებელი გახდებოდა.

არგენტინის გუნდის პირველი მატჩის დასაწყისი შართლაც საშინელი აღმოჩნდა ევროპელთათვის. თამაში გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ნაკრების წინააღმდეგ არგენტინელებმა და-

იწყეს გრიგალისებური შეტევით. მარჯვენა შუამარბი პრაღოსტად შეიტრა საჯარიმო მოედანზე, არტისტულად აიგდო ბურთოვადა როცა ჟველა ელოდა გადაცემას ცენტრში, პრაღომ კიდევ ურთი მცენელი მოატყუა და ლამაზი დარტყმით კარში გაგზავნა ბურთი—1 : 0.

ეტყობა, გერმანელმა ფეხბურთელებმა იფიქრეს, რომ დასაკარგი მათ აღარაფერი ჰქონდათ და მთელი ძალით შეუტიეს მოწინააღმდევეს. აი აქ კი სწრაფად გიმოიჩინება, რომ არგენტინული „ციხე-სიმაგრე“ არც თუ ისე აუღებელი ძალა ყოფილა. მოწინააღმდევეთა პერსონალური მჭიდრო აუკანა, რთული კომბინაციური თამაში და ძალისმიერი ბრძოლა მინდვრის შუაგულში მათთვის უცხო ხილი აღმოჩნდა. სანამ არგენტინელი ფეხბურთელი თავსატეს ტრიუქებს ასრულებდა ბურთით, გერმანელები საჩიაროდ კიტავდნენ მის პარტნიორებს და შემდეგ სულ იოლად ახდენდნენ განცალკევბულად დარჩენილი მოთამაშის უკნებელყოფას. ასე მეთოდურად ეუფლებოდნენ გერმანელები ინიციატივას და სულ მალე არგენტინის გუნდი კართან მიჯაჭეული აღმოჩნდა. ზოგენტინელთა შორის არ იყო მოთამაშე, რომელსაც შეეძლო შეისრულებინა ორგანიზატორის როლი და ხელმძღვანელობა ვარწია თმევისი დაბნეული პარტნიორებისათვის. გუნდი აშკარად ვანწიორული აღმოჩნდა პირველსაც შატჩში. გერმანელები ვანუწყვეტლივ ვეიჭროებდნენ მოწინააღმდევეს და 32-ე წუთზე რანმა, როგორც იქნა, ვაათანაბრა ანგარიში. მცირე ხანს შემდეგ შეელერმა წინ ვაიყვანა თავისი გუნდი—2 : 1.

შეორე ტაიში არგენტინელებმა სცადეს გარდატეხის შეტანა თამაში და ასე თუ ისე ვამოასწორეს კიდეც მდგომარეობა, მაგრამ ჟველაფერი, ჩასაც ისინი აკეთებდნენ, არ გასცილებია მოწინააღმდევის საჯარიმო მოედანს, აქ კი გერმანელებს ისეთი საცულდაგულო კიდელი ჰქონდათ აღმართული, რომ მისი გარღვევა შეუძლებელი აღმოჩნდა. ვერ უშეველა ვერც სამხრეთამერიკულმა ტრიუკებმა, ვერც უხეშობამ და, როცა ერთ-ერთი კონტრშეტევისას რანმა მესამე ბურთიც გაიტანა, არგენტინელებმა საბოლოოდ ჩაიქნიეს ხელი და შეურიგდნენ დამარტებას.

ასეთ დებიუტს, ეტყობა, პირველ უოვლისა, თვით არგენტინელები არ მოელოდნენ. საქმე მარტო წაგებაში არ იყო. გ. სტაბილები შეატყო, რომ ასეთი არაორგანიზებული თამაშით მისი გუნდი ევროპაში ვერას გახდებოდა, რომ მისი ფეხბურთელების ფოკუსები მოწინააღმდევეთათვის არ წარმოაღვენდა და ხიდათს. ამიტომ მწვრთნელმა სამშობლოში აფრინა საგანგაშო სიგნალი

„SOS“ და რეაქტიული თვითმფრინავით გამოიძახა 40 წელს გადა-
ცილებული ჟტერანი ლაბრუნა, რომელსაც, შეიძლება ითქვას, არგენტინაში უფრო მეტი პოპულარობა აქვს, ვიდრე იქაურ პრე-
მიერ-მინისტრს. გ. სტაბილეს აზრით მხოლოდ და მხოლოდ ლაბრუ-
ნას შეეძლო დირიქორობის გაწევა მისი დაქსაქსული სოლისტები-
სათვის.

ლაბრუნამ მოუსწრო არგენტინელთა მეორე მატჩს ჩრ. ირ-
ლანდიის ნაკრებთან და მართლაც შეიტანა გუნდში ის ორგანიზე-
ბულობა, რომელიც ასე აკლდათ სამხრეთამერიკელებს.

ანგარიში ირლანდიის გუნდის ფორვარდმა მაკაბარლანდმა გა-
ხსნა, მაგრამ არგენტინელებმა სულ მალე ისეთი ტემპი განავითა-
რეს, რომ მოწინააღმდეგე თითქმის მთელი შემაღენლობით კარს
მიაჯაჭვეს. განთქმული მექარე ჰ. გრეგო განუწყვეტლივ იღებდა
უინელეს ბურთებს და თუ ტამის დასასრულამდე ირლანდიელებს
ერთი ბურთის მეტი არ გაუშეიათ საკუთარ კარში, ეს, პირველ
ყოვლისა, ჰ. გრეგოს დიდი დამსახურებაა.

ასეთივე თავებანწირებით იცავდა კარს გრეგო მეორე ტამიშიც,
მაგრამ არგენტინელთა წინააღმდეგ ბრძოლა ამ დღეს შეუძლებე-
ლი იყო. მათ მტკიცედ ჰქონდათ გადაწყვეტილი მატჩის მოგება
და მოიგეს კიდევ იგი ანგარიშით 3 : 1.

ურაც არ უნდა იყოს, არგენტინა მაინც არგენტინა! — ასეთი
სათავრით ალინიშნა გუნდის ეს წარმატება ერთ-ერთ შეედურ გა-
ზეთში, მაგრამ ის, რაც არგენტინელთა შემდგომ მატჩში მოხდა,
ყოველგვარ სენსაციურ და წარმოუდგენელ პროგნოზს აღემატებო-
და. არგენტინის ნაკრები განადგურებულ იქნა ჩეხი ფეხბურთელე-
ბის მიერ ისე, რომ მისი აეტორიტეტი საბოლოოდ შეილახა და
დაეცა. ეს მატჩი (არგენტინა-ჩეხისლოვაკია) ჰქონდა სასწავლებელ
გაეცეთილს უფრო წააგავდა, ვიდრე ფინალური ჯგუფის შეცვედ-
რას. ჩეხისლოვაკიის გუნდის დეტალურად გაანგარიშებული,
მძლავრი იქრიშის წინაშე არგენტინელთა უმიზნო ტრიუქები იაფ-
ფასიან საესტრადო ნომრებად ჩანდა. მაქსიმუმი, რაც გ. სტაბი-
ლეს გუნდმა შეძლო, ეს იყო ერთადერთი გოლი გატანილი 11-
მეტრიანი საჯარიმო დარტყმით. ჩეხებმა გაიმარჯვეს დიდი ანგა-
რიშით - 6 : 1.

არგენტინელები პირში ჩალაგამოვლებულნი დაბრუნდნენ სამ-
შობლოში, სადაც მათ არც თუ ისე სასიამოვნო მიღება ელოდათ.
ფეხბურთელები დამით, ქურდულად შეიძარნენ ბუენოს-აირესში და
დამფრთხალნი კარგა ხანს ცხვირს ეკრ ყოფდნენ გარეთ. ეს შიში
სრულიადაც არ იყო საფუძველს მოკლებული, ვინაიდან არგენტი-

ნელი ფეხბურთის მოყვარულნი შერისძიების გრძნობით აღესილნი დაექცებდნენ თავიანთ შემარცხვენლებს და მათთან შეხვედრას შეიძლება საბედისწერო ბოლოც მოჰყოლოდა.

პირველი ჯგუფის ერთ-ერთ ყველაზე დაძაბულ და მწვავე მატჩიდ შემომავლებები თელიდნენ შეხვედრას ჩეხისლოვაკიისა და გერმანიის ფედერაციული ჩესკებლიერის გუნდებს შორის. პირველი ტარის დასასრულს ჩეავბის გამარჯვება ეჭვს ორ იწვევდა, ენიანდან ისინი წინ იყვნენ ანგარიშით 2:0 და გერმანელები გამირვებით იცავდნენ თავს მათი განუწყვეტელი იერი მებისაგან. მეორე ტარის დასაწყისში გერმანელთა თავდამსხმელმა შეფერმა მეტად საეჭვო ეთარებაში გაიტანა საპასუხო გოლი (მან მექანისტან ჰაერში შეჯახებისას დაარღვდა წესი), რომელიც ინგლისელმა მსაჯმა ა. ელის-მა უკუმშანოდ ჩათვალა და გერმანელებს ანგარიშის გათანაბრების ჩატარებით შანსი მისცა. ასეც მოხდა: მატჩი დამთავრდა ფრედ—2:2.

დარჩენილი შეხვედრა ჩრ. ირლანდიის გუნდთან გერმანელებმა კალავ მაღალ დონეზე ჩატარეს და რომ პ. გრეგის ბრწყინვალე თაბები არა, ისინი აღბათ გაიმარჯვებდნენ კიდეც, მაგრამ მათ ურეც (2:2) საესპირაციულ და საესპირაციულ ხელს მეოთხედფინალში გასასვლელად.

უალრესად მძაფრი ბრძოლა გაიმართო ჩრ. ირლანდიისა და ჩეხისლოვაკიის გუნდებს შორის. ჩეხების აგრესიული, სწრაფი ფორვარდები 90 წუთის განმავლობაში უშედეგოდ ცდილობრნენ გაერებათ ირლანდიელთა დაცვისა და მექანის შეუპოვარი წინა-ილმდევობა, მატჩი დამთავრდა და მათს ფარზე ციფრი „0“ შეუცვლელად ეკიდა. ამ იღბლიან თამაშში ირლანდიელებმა გაიტანეს ერთადერთი ბურთი და გაიმარჯვეს შინიმალური ანგარიშით—1:0.

საჭირო შეიქნა დამატებითი მატჩის დანიშვნა ჩრ. ირლანდიისა და ჩეხისლოვაკიის გუნდებს შორის. იგი კვლავ ირლანდიელებმა მოიგეს (2:1) და გვეიდნენ მეოთხედფინალში.

I ჯგუფი

	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
გურ	1	2	0	7:5	4
ჩრ. ირლანდია	1	1	1	4:5	3
ჩეხისლოვაკია	1	1	1	8:4	3
არგენტინა	1	0	2	5:10	2

დამატებითი მატჩი მეორე აღვილისათვის: ჩრდ. ირლანდია—ჩეხისლოვაკია — 2:1.

II ჯგუფი

(საფრანგეთი, პარაგვაი, იუგოსლავია, შოტლანდია)

მეორე ჯგუფის გუნდების ტურნირში განსაკუთრებით საინტერესო იყო ევროპელთათვის სრულიად უცნობი მოწინააღმდეგის — პარაგვაის გუნდის მონაწილეობა.

უკვე ის ფაქტი, რომ პარაგვაელებმა წინასწარ თამაშებში დაამარცხეს ურუგვაის განთქმული გუნდი, საკმარისი არგუმენტი იყო პათი ძალის განსაზღვრისათვის, გარდა ამისა, შენახველი ამბობდნენ, რომ პარაგვაელები თამაშობენ უალრესად სწრაფად, გამედულად და ყოველთვის, თითქმის უიმედო პოზიციაშიც კი არ კარგავინ გამარჯვების რწმენას.

და მაინც, პარაგვაის უეხბურთი არ ითელება პირველი სიღილის „ეარსკელავად“ საერთაშორისო საფეხბურთო კლასიფიკაციაში, ამიტომ მეოთხედფინალის ყველაზე უმჭედელ კანდიდატებად იქ მიანიდათ საფრანგეთი და იუგოსლავია—გამოცდილი, ძლიერი სატურნირო მებრძოლი გუნდები.

პარაგვაელებმა მართლაც დაამტკიცეს თავიანთი „ეგზოტიკურობა“ პირველივე მატჩში საფრანგეთის გუნდთან. ისინი თვალშეუსწრები სისწრაფით გაურბოდნენ მოწინააღმდეგეს და ისეთი არეულობა შექმნიდათ მათს საჯარიმო მოედანზე, რომ ფრანგების დაცვა ვერ ასწრებდა გაერქვა ვინ ვის იქერდა და რომელი თავდამსმელი საღ იმყოფებოდა. მაგრამ დაახლოებით ასეთივე აღრევა სუფედა პარაგვაელთა ქარის წინაც, ვანაიდან მათს მცველებს ერთობ ბუნდოვანი წარმოდგენა აქვთ საკუთარი ქარის უხილვათობისათვის ბრძოლის პრინციპებზე და ვერ ერქვეოდნენ შექმნილ სიტუაციაში. ამიტომ იყო, რომ მატჩის დასაწყისი უხემოსაელიანი გამოდგა გოლების გატანის მხრივ. მხოლოდ მას შემდეგ, როცა ანგარიში გახდა 3 : 3, ფრანგებმა მოაწესრიგეს საქმე დაცვაში, გააძლიერეს შეტევა და მათი შეტევება უკვე შეუძლებელი გახდა. ბურთები სეტუაციასაეთ ცვილდა პარაგვაელთა ქარში. მატჩი მოგებულ იქნა საფრანგეთის გუნდის მიერ ანგარიშით 7 : 3.

ასეთივე საოცარი გამოდგა პარაგვაის უეხბურთელთა მატჩი იუგოსლავის გუნდთან. იუგოსლაველებს ამ დროისათვის უკვე პქონდათ აქტივური 3 ქულა და ჯგუფში გამარჯვების მოსაპოვებლად აუცილებლად სტირდებოდათ „უკანასკნელი აკორდი“—კიდევ 2 ქულა პარაგვაელებთან. ანალოგიურ მდგომარეობაში იმყოფებოდნენ

პარაგვაელებიც, რომლებსაც შოტლანდიასთან მოგებული თამაში შემდეგ (3:2) აღრეთვე ჰქონდათ მეოთხედფინალში გასვლის დროს და ლური შესაძლებლობა.

პართალია, ანგარიში მთელი თამაშის განმავლობაში იუგოსლავიას მიჟყვადა, მაგრამ პარაგვაელი ფეხბურთელები ისეთი ფანტაზიათ და თავგამოდებით თამაშობდნენ, ისეთი ჯოჯოხეთური სისწროვით დარბოლდნენ მთელს მინდორზე, რომ ოფლში გაწუწული იუგოსლაველები ძლიერ ახერხებდნენ მათი შეტევების მოგერიებას. როგორც კი რომელიმე იუგოსლაველი გაიტანდა გოლს, პარაგვაელი „ჯადოქრები“, ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით, მიესეოდნენ მათს კარს და არ დაცხრებოდნენ, სანამ საპასუხო გოლს არ გაიტანდნენ. ასეთი ისტორია სამჯერ გამეორდა და მატჩიც ფრედ დამთავრდა—3:3.

შოტლანდიელებმა ვერ გაუძლეს ვერც სამხრეთამერიკელთა განუწყვეტილ იერიშებს (2:3), ვერც ფრანგების კომბინაციურ, მახვილგონიერულ თამაშს (1:2) და მხოლოდ ერთ, ისიც ორმოცდათ პროცენტიან წარმატებას მიაღწიეს იუგოსლავის გუნდთან (1:1).

ამ ჯუფუში გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა მატჩს ძველი შეტოქების—საფრანგეთისა და იუგოსლავის გუნდებს შორის.


ფრანგებმა შეტევით დაიწყეს თამაში და უკეთ დასაწყისში ფონტენბა გახსნა ანგარიში. იუგოსლავის გუნდმა თანდათან გამოასწორა მდგომარეობა და მალე ანგარიში გათანაბრებულ იქნა პეტაკოვიჩის მიერ—1:1. ეს დაწოლა ვაგრძელდა მეორე ტაიმზიც. როცა ვესელინოვიჩმა წინ გაიყვანა თავისი გუნდი, მაგრამ იმავე წუთს დაიწყო ფრანგი ფეხბურთელების იერიში, რომელიც ფონტენბა დამთავრა ლამაზი გოლით: მან მოატუშა ზედიზედ რამდენიმე მოწინააღმდეგე და თავზე გადაატარა ბურთი კარიდან გამოსულ მექარე ბერას—2:2.

თითქოს ეს იყო მატჩის უკანასკნელი ღირსშესანიშნავი მოელენა, მაგრამ უკეთ გონგის შემდეგ ვესელინოვიჩმა კარგად გამოიყენა მოპირდაპირე დაცვაში დაშვებული შეცდომა და გამარჯვება იუგოსლაველებს დარჩით—3:2.

ძველი შეტოქები (საფრანგეთი და იუგოსლავია) გავიღნენ გათამაშების შემდგომ ეტაპში.

II ჯგუფი

	გ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
საფრანგეთი	2	0	1	11:7	4
იუგოსლავია	1	2	0	7:6	4



«უბვირგვინო ჩემაიონის» მარცხი

III ჯგუფი

(შეკვა, უნგრეთი, უელსი, მექსიკა)

„უნგრელები საკურორტო ჯგუფში მოხვდნენ“, — ასეთი იყო მიმომხილველთა საერთო აზრი გათამაშების დაწყების წინ და ეს აზრი სიმართლესთან ახლოს იდგა. რომელ გუნდს შეეძლო ხელი შეე შალა მსოფლიოს 1954 წლის „უგვირგვინო ჩემპიონის“ — უნგრეთისათვის, რომელიც საგანგებოდ ემზადებოდა შეეციის ტურნირისათვის? მასპინძლებს — შეედებს სულ ახლახან ჩამოუკიდათ „მაშველი მალა“ იტალიიდან და ჯერ კიდევ ხეირიანად არავინ იცოდა რით დამთავრდებოდა ჩრდილოეთის მკვიდრთა დუეტი გასამხრეთებულ შეედებთან, უელსის გუნდი თითქმის სახელდახელოდ იქნა შეკარიჭებული და ისიც „ილბლიანი კენჭის“ წყალობით მოხვდა ფანალურ ჯგუფში, ხოლო მექსიკელებს სერიოზულ ყურადღებას არავინ აქცივდა, ვინაიდან მათ ჯერ კიდევ ბევრი უნდა ისწავლონ, რომ გაუტოლდნენ მსოფლიოს უძლიერეს გუნდებს.

ასეც მოხდა. მექსიკის გუნდმა 3 მატჩში ერთადერთი, „ობოლი“ ბურთი გაიტანა, რომელმაც მას ფრე მოუტანა უელსის ნაკრებთან შეხვედრიში (1:1), ხოლო შეედებთან და უნგრელებთან მატჩებში მოწინააღმდეგეთა კარი მექსიკელთათვის მიუღწევილ ოცნებად დარჩა (0:3 შეეციისთან და 0:4 უნგრეთთან).

დიდ ინტერესს წარმოადგენდა მატჩი შეეციისა და უნგრეთის გუნდებს შორის. იგი დაიწყო უნგრელთა დამაჯერებელი შეტევიბით. გუნდს მტკიცედ ეპყრი ინიციატივა მინდერის შუაგულში; კავშირი დაცვასა და თავდასხმას შორის კარგად ხორციელდებოდა ნახევარმცველთა შემწეობით, რაც ხანგრძლივი იერიშის შესაძლებლობას იძლეოდა, მაგრამ ფორმარდებს აშეარად აკლდათ სისწრაფე, აქლდათ სიმწვავე და გადამწყვეტი დარტყმები კარში. ვერც ერთი მათგანი ვერ ბედავდა თავის თავზე აელო ორგანიზატორისა და იერიშების დამამთავრებელის როლი.

ამასობაში შეედებმა ააწყებს თამაში, კარგად გამოიყენეს მოწინააღმდეგის გაუზედაობა და ბრძოლაში სრული ძალით ჩააბეს თავდასხმის ცენტრალური სამეული (ჰამრინი, ლიდჭოლმი, სკოგლუნდი). სანამ შეცდომებს უშევებდა მხოლოდ თავდასხმა, კიდევ არა უშავდა რა, მაგრამ როცა შეცდომები დაშვებულ იქნა უნგრების 92

რელთა დაცვაში და მექანიკური გროვისმაც ველარ მოუარა ნერვებს, საქმე ცუდად წავიდა. შეედების უპირატესობა თანდათან აშერა ხდებოდა და 33-ე წუთზე პამრინმა გახსნა ანგარიში. 10 წუთის შემდეგ პამრინმა კვლავ გაიმეორა თავისი სწრაფი რეილი და უნკრეტის ნაკრები დამარცხების აშერა საშიშროების წინაშე აღმოჩნდა — 2 : 0. მატჩის დასასრულს უნგრელებმა ისევ ხელთ იგდეს უპირატესობა, მაგრამ მათი მოწინააღმდეგე სულაც არ იყო საიმისოდ განწყობილი, რომ დაეთმო ბრძოლით მოპოვებული 2 გოლი. უნგრეთის ნაკრების თავდამსხმელმა ტიხიმ გაქვითა ერთი ბურთი და ეს ანგარიში — 2 : 1 მასპინძელთა სასარგებლოდ აღარ შეცვლილა.

შეედებს უკვე განალდებული ჰქონდათ პირველი ადგილი ჯგუფში და ამიტომ ბოლო შეხვედრაში უელსთან მინდორზე გამოიყავნეს რამდენიმე სათადარივო მოთამაშე. 0 : 0 მათ სავსებით უწყობდა ხელს და ამიტომ ეს მატჩი სწორედ ასე დამთავრდა. შეეციის ნაკრები გაეიდა მეოთხედოფინალში.

უნგრეთისა და უელსის გუნდებმა ერთმანეთს შორის ითამაშეს ფინალური ტურნირის პირველ დღეს — 8 იქნის. მატჩი დამთავრდა ფრედ — 1 : 1. ვინ იფიქრებდა მაშინ, რომ ამ გუნდების შეხვედრა არ იყო უკანასკნელი და მსაჯს კვლავ მოუხდებოდა მათი გამოძახება მინდორზე გადამწყვერი მატჩისათვის მეორე ადგილის გამოსარეკვევად.

ამ თამაშში უნგრელებს აშერა უპირატესობა ჰქონდათ შესვენებამდე. საქმე მარტო იმაში არაა, რომ ტიხიმ გაიტანა პირველი ვოლი. ანგარიში ალბათ კიდევ უფრო გაიზრდებოდა, რომ უნგრეთის გუნდის თავდამსხმელებს შეტი სიზუსტე გამოეჩინათ და რიმდენიმე მეტიად ხელსაყრელი მომენტი არ დაეკარგათ. როგორც ეს ხშირად ხდება ფეხბურთში, ინიციატივამ უელსის ნაკრების მხარეს ვალიინაცვლა, რომლის თავდამსხმელები უფრო პრაქტიკული ხალხი აღმოჩნდა. ჯერ ილჩერმა გაქვითა გოლი, ხოლო შემდგომში მედევინმა გაიტანა მეორე ბურთი და გამარჯვება თვალსა და ხელს შეა გამოეცალათ უნგრელებს. ძნელი იყო ასეთ დამარცხებასთან შერიგება. უნგრეთის გუნდი 10 კაცის შემადგენლობით (მინდერიდან გაძევებულ იქნა შიპოში) უკანასკნელ წამებამდე იბრძოდა დაკარგულის ასანაზღაურებლად, მაგრამ ეს შეუძლებელი აღმოჩნდა. „უგვიარვეინო ჩემპიონი“ გამოითიშა შეჯიბრებიდან, ხოლო უელსის გუნდი გადავიდა „ზედა კლასში“.

III ჯგუფი

	მ.	ჭ.	წ.	ბ.	კატეგორია მოხვდებითი
შეცვია	2	1	0	5:1	5
უელსი	0	3	0	2:2	3
უნგრეთი	1	1	1	6:3	3
მექსიკა	0	1	2	1:8	1

დამატებითი მატჩი მეორე იდგილისათვის: უელსი—უნგრეთი —2:1.

III ჯგუფი

IV ჯგუფი

(ავსტრია, ბრაზილია, ინგლისი, სსრ კავშირი)

ჩემპიონობის სამი კანდიდატი ერთ ჯგუფში—ასეთი იყო IV ჯგუფის შემადგენლობა, რომელშიც კენჭისყრის ძალით მოხვდნენ ბრაზილია, სსრ კავშირი, ინგლისი და ავსტრია. მართალია, ავსტრიელთა აქციები ასეთ „მრისხანე“ მეზობლობაში საგრძნობლად დაეცა, მაგრამ არავის ეჭვი არ ეპარებოდა, რომ სხვა, უფრო იმბლიან ჯგუფში მოხვედრის შემთხვევაში ავსტრიის ნაკრები მეოთხედფინალში გასვლის ერთ-ერთი უძლიერი პრეტენდენტი იყო. ახლა კი...

ავსტრიელი ფეხბურთელები პირველად ბრაზილიელთა შსხვერტლი გახდნენ. დამსწრენი ერთხმად აღნიშნავდნენ, რომ ახალგაზრდა, ენერგიული და ტექნიკურად ჩინებულად მომზადებული ავსტრიის გუნდი ყოველმხრივი მოწონების ღირსი იყო, რომ იგი თამაშითდა ტემპიანად, მონდომებით, მაგრამ ის, რაც აჩვენეს ბრაზილიელებმა, ყოველგვარ მოლოდინს აღმარტებოდა. უწინ საყოველთაოდ მისინეული იყო, რომ ბრაზილიის ფეხბურთელები თავიანთი ბრწყინვალე ტექნიკის არსენალიდან ერთგვარ ზარქს უხდილნენ სანახაობითს ეონგლიორობას, რასაც ხმირად ზიანი მოჰქმნდა გუნდის საერთო სამოქმედო გეგმისათვის. იმჯერად გუნდის ყოველი წევრი მუშაობდა მხოლოდდამხოლოდ კოლექტივის საერთო ინტერესებისათვის და როცა ასეთი შეუდარებელი ტექნიკა დამოარჩილდა მკაცრ ტაქტიკურ დისკიპლინას, იგი უძლიერ ძალად იქცა.

სპეციალისტები მაშინვე აალაპარაკა ბრაზილიელთა თავიშის სქემამ: $1+4+2+4$. თეოთ მოთამაშეთა განლაგებაში ახალი არაფერი იყო, მაგრამ განვითარებას იწყებდა ის, რომ ამ ტაქტიკურ ვარიანტს ბრაზილიელი ფეხბურთელების შესრულებით სულ სხვა შე

ელფერი დაპერავდა. კერძოდ, ეს იყო ორა თავდაცვითი, არამედ შემტევი ტაქტიკა. ერთის შეხედვით, ტერიტორიული უპირატესობა თითქოს იგსტრიელთა მხარესაც კი იყო, მაგრამ სინამდვილეში პრაზილიელებს ზუსტი კონტროლის ქვეშ ჰქონდათ მინდორი და ყველაფერი, რაც მასხე ხდებოდა, მათი გამგებლობით მიმდინარეობდა. ამის ნათელი ილუსტრაციაა ანგარიში—3:0. ორი ბურთი გაიტანა ცენტრალურმა თავდამსხმელმა მაცოლამ, ერთიც მცველმა 6. სანტროსმა.

„ნიუ ულფეის“ სტადიონზე გეტებორგში ტევა ორ იყო, როცა მინდორზე გამოვიდნენ ინგლისისა და სსრ კავშირის ნაკრები გუნდები. უდავოდ, ეს იყო „მატჩი № 1“ გათამაშების პირველ ტურში და ამიტომაც იგი საყოველთაო ყურადღების ცენტრში იმყოფებოდა. სულ ერთი თვის წინ ეს გუნდები მოსკოვში შეხვდნენ ერთმანეთს და თუმცა მატჩი დამთავრდა ფრედ—1:1, სამართლიანობა მოითხოვს აღინიშნოს, ინგლისელებს საგრძნობი უპირატესობა ჰქონდათ თამაში. ეს ზოგიერთ მიმომსილევლს უფლებას აძლევდა ეფიქრა, რომ ინგლისელები თავიანთ უპირატესობას ამჯერად უფრო შედეგიან ფორმას მისცემდნენ.

ისტორია არ განმეორდა. უკეთ მე-9 წუთზე ინგლისელთა კარი ისეთი საშინროების წინაშე აღმოჩნდა, რომ ბეჭვზე გადაურჩა ვოლს: შეკარე შაჟდონალდმა შესანიშნავი ნახტომით მოიგერდა ნახევარმცველი ვოინოვის მიერ საშინელი ძალით დარტყმული ბურთი.

საბჭოთა გუნდის თავდამსხმელები თამაშობდნენ გაშლილი ფრთხოებით, ზუსტი გადაცემებით. ისინი ხშირად იცელიდნენ ერთმანეთს შორის აღვილებს და როცა მათს რიგებს ემატებოდა ვოინოვიც, ინგლისელთა დაცვას უჭირდა შექმნილ ეითარებაში გარკვევა. სწორედ ასეთი კომბინაცია იქნა გათამაშებული მე-14 წუთზე ილინისა და ვოინოვის მიერ, რომელიც შეუცდომელი დარტყმით დაამთავრა სიმონიანმა—1:0.

და როცა ა. ივანოვმა შესვენების შემდეგ მეორე ბურთიც ვიტანა, ჩვენი გუნდის გამარჯვების საკითხი თითქოს გადაწყვეტილი იყო. მართალია, ინგლისელებმა თანდათან გამოასწორეს თამაში და კევანმა ერთი საპასუხო გოლიც გაიტანა, მაგრამ საბჭოთა გუნდის დაცვა წარმატებით იბრძოდა საჯარიშო მოედნის მისაღვმებთან და მოწინააღმდეგეს არ აძლევდა საშუალებას, პოზიციური უპირატესობა გადაეყვანა დამამთავრებელ ფაზაში.

მატჩის დამთავრებას 5 წუთი აკლდა. ინგლისელთა მოელი ძალები შეტყვაზე იყო გადმოსული. დუგლასმა მიიღო ბურთი, რომელ

ლიც ვოინოვმა დაკარგა, გაიქრა წინ და კრიცევსკისთან შეტაკებას წაიქცა. განზრახ უბეშობაზე კრიცევსკის შხრდე ლაპარაკიც შედება მეტი იყო და, გარდა ამისა, ეს ინციდენტი მოხდა საჯარისმთა მსახურებელის გარეთ, რასაც საკუთარი თვალებით ხედავდნენ იოული ათასობით შაყურებლები, გარდა უნგრელი შეაჯის ი. ფოლტისა (შეიძლეს შეეცის განხეთებში დაიბეჭდა ფოტო, სადაც ნათლად ჩანს, რომ შეტაკება მოხდა ხაზს გარეთ). შაგრამ ფოლტი აღმართ სხვა თვალით უყურებდა თამაშს და ამიტომ გადაჭრით დაინიშნა სასჯელის უმაღლესი ზომა—პენალტი. ფინები გაქვითა ანგარიში — 2:2.


რა შეიძლება ითქვას ამ ეპიზოდის შესახებ? მოყიფვანთ შეეღური „იდროსბლადეტის“ რედაქტორის ბ-ნ ტეგნერის სიტყვებს: „ჩემს ცხოვრებაში არ მინახევ ასეთი საზღაპრო პენალტი!“ მაგრამ მეორე დღეს დაბეჭდილი ფოტოები და სპეციალისტთა მოკვიდებული გაოცება საქმეს რას უშეველიდა? ოქმით ჩაიწერა 2:2 და საბჭოთა ფეხბურთელებმა უსამართლოდ დაკარგვეს ნალდი ქულა.

მორიგი მატრი ჩეენს გუნდს აესტრიცელებთან ჰქონდა. საბჭოთა ფეხბურთელებმა უაღრესად მაღალი ტემპი შესთავაზეს ტექნიკურად ძლიერ შეტოქეს და არ მისცეს კომბინაციური თამაშის განლის შესაძლებლობა. განსაკუთრებით აქტიური იყო მარჯვენა ფრთა (ა. და ვ. ივანოვები), სადაც აესტრიცელთა დაცვას დამატებითი რეზერვების გადასრულა დავირდა. მოწინააღმდეგის ძალთა ასეთი გადაჯგუფების შემდეგ, შეტევის ძირითადი მიმართულება მოკლედნელად იქნა გადატანილი მარტენივ და ილინმა უძლიერესი დარტყმით მაღალ კუთხეში გაგზავნა ბურთი — 1:0.

მეორე ტაიმში საბჭოთა გუნდის კარში დაინიშნა 11-მეტრიანი საჯარიმო, მაგრამ იაშინმა საოცარი ჩემპიონით მოუსწრო ბულევის მიერ ძლიერად დარტყმულ ბურთს და აიღო იგი, ხოლო 63-ე წუთზე ვ. ივანოვია ზუსტი დარტყმით განამტკიცა თავისი გუნდის გამარჯვება — 2:0.

ამავე დღეს თამაშობდნენ ბრაზილიისა და ინგლისის გუნდები. ბრაზილიელებმა კვლავ აჩვენეს შესანიშნავი თამაში და 90 წუთის განმავლობაში შიშის ზარს სცემდნენ მოწინააღმდეგეს, შაგრამ ბრიტანელთა დაცვის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მან გაუძლო ამ წარმოუდგენელ დაწოლას ისე, რომ არც ერთი ბურთი არ მიუღია საკუთარ კარში — 0:0.

დადგა ტურნირის მესამე, გადამწყვეტი დღე. „ნიუ ულევის“ სტადიონზე თამაშობდნენ ბრაზილიისა და საბჭოთა კავშირის გუნდები.



... პირველი წუთი. ბრაზილიელთა მარჯვენა გარეშემარბი ფარინგია აუჩქარებდღად მიიწყევდა გვერდითი ხაზის გასწრები, კუზნეცები ცოცი არ აძირებდა მასთან შეტაკებას და ნელა იწყევდა უკან. ასე შევიღნენ ისინი საჯარიშო მოედანში. აქ გარინგიმ ცრუ მოძრაობა გააქცა მარცხნივ, აიყოლია კუზნეცოცი, მეტე მოულოდნელად წარმოუდგენელი სისწრაფით იაწყება მარჯვივ და სანამ კუზნეცოცი გონის მოვიდოდა, საშინელი სიძლიერით დაარტყა კარში. ბურთშა შეაჭანარა ძელი.

... მესამე წუთი. დიდიმ მათემატიკური სიზუსტით შიაწოდა ბურთი გავას. აქე, სულ ახლოს, იმყოფებოდა კრისტენს და შორიდან ისე ჩანდა, თითქოს ბურთი მას უნდა მიეღო, მაგრამ ეს შორიდან ჩანდა ისე. გავამ თვალისდახამხამებაში მოასწრო კრისტენს კის და შეასრულა საუცხოო სიზუსტისა და ძალის დარტყმა—1:0.

გარინგია და გავა ამ თამაშაშიდე სათადარიგო სკამზე ისხდნენ, ეინაიდან მწერთნელს ისინი საგანგებოდ ჰყავდა შემონახული „შავი დღისათვის“ და თუმცა ბრაზილიელებს საიმისო არაფერი გასკირებიათ, 15 იენისს ორივე გამოვიდა მინდოორზე და ორივემ ნამდვილი საოცრება მოახდინა.

ბრაზილიელებმა უნაკლოდ ჩატარეს მატჩი და როცა გავამ 77-ე წუთზე მეორე გოლიც გაიტანა, გუნდის დანარჩენებმა წევრებმა თავიანთი სიხარული ისე „მხურვალედ“ გამოხატეს ცენტრტორეადის მიზართ, რომ საცოდავი გავა ხელით გაიტანეს მინდვრიდან და ექიმები კარგა ხანს მოუნდნენ მის მოსულიერებას.

ამავე დღეს თამაშობდნენ ინგლისისა და ესტრიის გუნდები და თუმცა აესტრიიელთათვის მის შედეგს არაეითარი მნიშვნელობა არა ჰქონდა, ეინაიდან ბოლო ადგილის საკითხი გარეევით იყო დადგენილი, მათ გამოიჩინეს ნამდვილი სპორტული რაინდობა და კიდევ ერთხელ დაამტკიცეს აესტრიიული ფეხბურთის ძალა. ინგლისელები ორჯერ ჩამორჩებოდნენ ანგარიშში (0:1 და 1:2) და მხოლოდ დასასრულისათვის შეძლეს ანგარიშის გათანაბრება—2:2.

ასე რომ, როცა ინგლისელებს უკე თავიანთ სახელზე გამოწერილი ცეონათ მეოთხედფინალის „პასპორტი“, მათ მოულოდნელად დაკარგეს ძეირფასი ქულა და დამატებით მატჩში ბრძოლა დაჭირდათ საბჭოთა ფეხბურთელებთან.

ეს მატჩი შედგა 17 იენისს. საბჭოთა გუნდში მეტად აქტიურად, მაღალ ტემპში დაიწყო თამაში და მოწინააღმდეგე იმულებული იყო სხია „ყრუ დაცეაში“ ეპოვა. 45 წუთის განმავლობაში გრძელდებოდა ნამდვილი საფეხბურთო ალყა ინგლისელთა საჯარიშო მოედანზე, მაგრამ კარი აუღებელი აღმოჩნდა—0:0. მეორე ტა-7. ბ. პატერი, ბ. ქორქია

იმის დასაწყისში მდგომარეობა ერთხანს გათანაბრდა, მაგრამ 23-ე წუთზე ცირკულაციის გადაცემა ზუსტად გამოიყენა ილინგა და გაიტანა ლამაზი გოლი, რომელიც ერთადერთი აღმოჩნდა ამ თაშიშში.

ნახევარფინალში გავიდა სსრ კავშირის გუნდი.

	გ.	ც.	წ.	ბ.	ქ.
ბრაზილია	2	1	0	5:0	5
სსრ კავშირი	1	1	1	4:4	3
ინგლისი	0	3	0	4:4	3
ივერია	0	1	2	2:7	1

დამატებითი მატჩი მეორე აღვილისათვის:

სსრკ—ინგლისი—1:0.

დაღლილობა, დაღლილობა...

მეოთხედუინალი

როცა შეეციის ნაკრების მწერთნელმა ჯ. რეინორმა სამსაჯო თახეში გაიგო საბჭოთა გუნდის შემადგენლობა, იგი გახარებული გამოიკარდა გარეთ და რამდენიმეჯერ ხმამალლა დაიძახა: გაეიძარჯვეთ, გავიძარჯვეთ!

შეელაშე უფრო ჯ. რეინორს ეშინოდა იმისა, რომ მისი მოწაალმდეგე იხალი ძალებით გამოვიდოდა მინდორზე და მაშინ შეედებს ხელიდან ეცლებოდათ თავიანთი ერთ-ერთი მთავარი კონირი—შეიძდლიანი დასევნება. მაგრამ საბჭოთა კავშირის გუნდში არ აღმოჩნდა შესაფერისი რეზერვები და 11 გადალლილი მოთამაშე კელავ გამოიიდა მინდორზე საბრძოლველად. უეხბურთში ეს შეტაისმეტი დატვირთვა—5 მატჩი ზედისედ 12 დღეში. უკადურესად დაძაბული შეხვედრები დღეგამოშვებით თითქმის უცვლელი შემადგენლობით! ჩა თქმი უნდა, ჯ. რეინორს პქონდა სიხარულის საფუძველი.

შედებმა კარგად იცოდნენ, რომ შეემნილ სიტუაციაში მათთვის გამარჯვება უნდა მოეტანა მეორე ტაიმს და ეს ასეც მოხდა. მათ მატჩის დასაწყისშივე აიძულეს მოწინააღმდეგე ჩაბმულიყო შემე, დამქანცველ ბრძოლაში და როცა ტაიმი დამთავრდა, ცხადი იყო—ჩვენს გუნდს კიდევ უფრო გაუჭირდებოდა ბრძოლა მეორე ნახევარში.

შესევნების შემდეგ, 49-ე წუთზე საბჭოთა ნაკრების დაცვაში დაშვებულ იქნა შეცდომა, რომელიც დაუყოვნებლივ გამოიყენა პამ-

რინგი (№ 7) და გახსნა ანგარიში—1 : 0. ჩვენი ფეხბურთელები უდილობდნენ მდგომარეობის გამოსწორებას, მაგრამ ამაღლ, მინდორს საფუძვლიანად ფლობდნენ ზედები, გარდა ამისა ა. იყო-ნოვმა, ილინმა, სიმონიანმა ვერ გამოიყენეს რამდენიმე ხელსაყრელი მდგომარეობა.

დალლილობამ კიდევ უფრო იჩინა თავი მატჩის დასასრულს. შედები არნახული ენერგიითა და მონდომებით ავიწროებდნენ მოწინააღმდეგეს. ბრწყინვალედ იცავდა კარს ტურნირის ერთ-ერთი საუკეთესო მექარე ლ. იაშინი, სრულ დაძაბულობაში იმყოფებოდა დაცვა, მაგრამ მატჩის ბედი ფაქტიურად გადაწყვეტილი იყო. ფინალურ სასტრენამდე რამდენიმე წუთით ადრე პატრიონმა გადაი-ნაცვლა მარცხნა ფრთაზე, მიიღო გრენისაგან ბურთი, გადასკა იგი ცენტრში სიმონსონს, რომლისთვისაც დიდ სიძნელეს აღარ წარმოადგენდა მისი კარში გავზავნა—2 : 0. საბჭოთა კავშირის გუნდი გამოითიშა ჩემპიონატიდან.

ასეთივე ბედი ეწიათ პირველ ყოვლისა იმ გუნდებსაც, რომლებშიც ქვეჯუფებში შეორე ადგილები მოიპოვეს მხოლოდ გადათამაშების შედეგად და ამ ზედმეტი მატჩის წყალობით გვიყდნენ მეოთხედფინალში. ეს დამქანცველი მატჩი ძირიად დაუჯდათ როგორც ჩრდილოეთ ორანდის, ისე უელსის გუნდებს.

აშეარად არათანაბარი ძალები იბრძოდნენ მინდორზე საფრანგეთისა და ჩრ. იტლანდის გუნდების მატჩში. იტლანდიელთა კარს იცავდა ჩემპიონატის საუკეთესო მექარე პ. გრეგო, თავგამოდებით ეწინააღმდეგებოდნენ ფრანგების თავდასხმას მცენები და ნახევარ-ცუცლები, მაგრამ ჩ. კოპასა და ე. ფონტენის „საიერიშო რაზმის“ ზეტევების მოვერიება ინელი საქმე იყო, თითქმის შეუძლებელი.

დამარცხება განიცადეს უელსის ფეხბურთელებმაც, მაგრამ ეს იყო სასახელო დამარცხება (თუ ასეთი ეპითეტი რამეს უშველის წაგებულ გუნდს). მათს ჩივებს ამჯერიად აქლდა ცენტრალური თავდამსხმელი და საერთოდ მათი ცენტრალური მოთამაშე ჯონ ჩარლზი. მიუხედიად ამისა, ბრაზილიელებს ისე გაუქიმდათ თამაშის მოვება, როგორც არასდროს. ერთადერთი ბურთი გაიტანა პელემ 66-ე წუთზე. ეს იყო პირველი და უკანასკნელი გოლი ამ მატჩში, მაგრამ იგი ერთ თამაშად ღირდა: პელეს გარშემორტყმულია ახალგაზრდა ზანგშა ფეხბურთელმა რაღაც წარმოუდგენელი ნახტომით მიიღო ბურთი, გადაუგდო იგი თავის დარაჯებს ზემოდან, ელგასაცით გაიმტა წინ და გაიტანა გოლი, რომლის სილამაზეზეც დიდან აღტაცებით წერდნენ უცხოეთის უურნალ-გაზეობი.

ასეთივე ანგარიში იქნა ფიქსირებული გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკისა და იუგოსლავის გუნდების შეხედრაში. იუგოსლაველებს დიდი უპირატესობა ჰქონდათ მთელი მატჩის განმავლობაში. მათი თავდასხმა შეუკავებელ ნიაღრად შიედინებოდა მოწინააღმდეგის კარისაენ, მაგრამ ზ. ჰერბერგის მიერ განსწიობული დაცვა საოცარი ხელოვნებით ახერხებდა „მშრალი“ ანგარიშის შენარჩუნებას. სამაგიდეროდ, იუგოსლაველებმა ვერ შეძლეს საკუთარი კარის სსნა: პ. რანმა თითქმის პირითი ხაზიდან მოატრიალა ბურთი და გაიტანა გოლი — 1 : 0.

მეოთხედფინალური მატჩები

19/VI. შვეცია — სსრკ — 2 : 0 (0 : 0).

შამრინი (49-ე წუთზე) — 1 : 0, სიმონსონი (78-ე წუთზე) — 2 : 0.

19/VI. გური — იუგოსლავია — 1 : 0 (1 : 0).

რანი (მე-12 წუთზე) — 1 : 0.

19/VI. საფრანგეთი — ჩრ. ირლანდია — 4 : 0 (1 : 0).

ვისნესკი (44-ე წუთზე) — 1 : 0, ფონტენი (56-ე წუთზე) — 2 : 0, ფონტენი (64-ე წუთზე) — 3 : 0, პიანტონი (68-ე წუთზე) — 4 : 0.

19/VI. ბრაზილია — უელსი — 1 : 0 (0 : 0).

ბელ (66-ე წუთზე) — 1 : 0.

მევანე პური ბრაზილიის

(ნახევარფუნიალი)

ფეხბურთში ხშირად ხდება ისე, რომ მაყურებლებში დაუფარავ აღტაცებას იწვევს ხოლმე მინდობრზე მომხდარი ამბავი, სპეციალისტები კი ამ დროს სკეპტიკურად იქმუხნებიან და პირიქით, ის, რაც სპეციალისტთა ივტორიტეტულ მოწონებას პოულობს, ტრიბუნებზე მხსდარ ჩვეულებრივ „მოკვდავ“ გულშემატკიცრებს სრულიად შეუმნიერებლი რჩებათ.

მაგრამ როცა მინდობრზე იყვნენ ბრაზილიელები, ორი აზრი არ არსებობდა: აღტაცებული იყო ყველა — სპეციალისტიცა და სრულიად გამოუცდელი მაყურებელიც. სამხრეთ ამერიკის ფეხბურთელები კერძარიტ სიამოვნებას პგერიდნენ ყველას თავიანთი ვირტუოზული, სწრაფი და მსუბუქი თამაშით, არავითარი ძალდატანება ან ზედმეტი დაძაბულობა.

ასეთივე ცოცხალი და ლამაზი თამაში აჩვენეს შვეციაში ფრანგმა ფეხბურთელებმა და როცა ეს ორი გუნდი ერთმანეთს შეხვდა

ნახევარფინალში, მაყურებლებმა იხილეს წარმტაცი ბრძოლა, ნამდვილი თანამედროვე „დიდი ფეხბურთი“. რომელიც VI მსოფლიო ჩემპიონატის მშვენებას წარმოადგენდა.

ფრანგების მთავარი „დისპეტჩერი“ ქოპა თავისუფალ აღგილზე მოქმედებდა, რათა მოესწრო ბურთის მიღება და როგორმე შეექმნა ხელსაყრელი მღვმარეობა ფონტენისათვის, რომელიც 90 წუთის განმავლობაში ტრიალებდა მოწინააღმდეგის საჯარიშო მოედნის სიახლოეს და ეპებდა მომენტს კარში დასარტყმელად. თვით ბრაზილიელთა განთქმული დაცუაც კი ხშირად იძნეოდა ამ საოცრად შეწყობილი „დუეტის“ წინაშე.

მაგრამ რაც არ უნდა მონდომებითა და აზარტით ეთამაშათ ფრანგებს, რა ოსტატობითაც არ უნდა გადაეცა ქოპას ფონტენისათვის „საებილო“, სეროთ სიძლიერით ისინი მაინც შესამჩნევად ჩამორჩებოდნენ ბრაზილიის ნაერებს. გარკვევა ბრაზილიელთა გეგმის წვრილმანებში მეტად ინელი საქმე იყო და ფრანგებს თუნდაც რომ გამოიცნოთ მათი ზრახვანი, ეს ბევრს არას ნიშნავდა, ვინაიდან მოწინააღმდეგის ჩანაფიქრის ამოცნობა ეს ერთი საქმეა, საჭიროა კიდევ მისი განხორციელებისათვის ხელის შეშლა. ეს კი შეუძლებელი იღმოჩნდა.

ბრაზილიის ნაერების აშერა უპირატესობა ნათელი შეიქნა, მით უმეტეს მას ზემდეგ, როცა ფრანგებმა დაკარგეს თავიანთი დაცვის ლერძი—რ. ეონე. იგი ფეხის მძიმე ტრავმით გაიტანეს მინდებრიდან და ექიმები კარგა ხანს მოუნდნეს ნატკენი ადგილის მოშენებას. ისინი კატეგორიულად უკრძალავდნენ დაშავებულ ფეხბურთელს მინდობრზე დაბრუნებას, მაგრამ ეონემ მოქლედ განაცხადა, რომ ჯეტ არ ამირებს დეზერტირობას, და კვლივ გამოვიდა სათამაშოდ შარტენა ფრთაზე, თუმცა მის დაბრუნებას მინდობრზე ერთობ პირობითი ხასიათი პქონდა და როგორც მოთამაშე, იგი არავთარ ლირებულებას აღარ წარმოადგენდა. „საბრძოლო დანაკარგების“ მიხედვით მდგომარეობა გათანაბრდა, როცა ფეხი იტკინა ბრაზილიელთა ცენტრალურმა თავდამსხმელმა ვავაშ, მაგრამ ამ დროსათვის მატების ბედი უკვე გადაწყვეტილი იყო. გაიმარჯვეს ბრაზილიელებმა ანგარიშით 5:2.

მეორე ნახევარფინალურ მატჩში ერთმანეთს შეხვდნენ შეეციდა და გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის გუნდები.

ძნელი იყო განმორება მსოფლიო ჩემპიონის ესოდენ ძეირფას ტატულთან, მაგრამ გერმანელთა უფელა ცდა შეენარჩუნებინათ 4 წლის განმავლობაში ზეიმით ნატარები გვირგვინი, ამათ გამოდგა.

ამჯერად მათი დაცვა თამაშობლა მოუქნელად, უხეში შეცდომებით, ხოლო თავდამსხმელებმა ერთმანეთს შორის ეტრატრით ვერ გაშოძებნეს საერთო ენა. შეედებმა სწორედ ივარაუდეს, რომ მათი სსა მდგომარეობდა სისწრაფეში და ამიტომ თავიანთი სპრინტის მოქლი მარაგი ჩაიქსოდეს ამ თამაშში. ფორვარდები შეუჩერებლივ იცვლიდნენ აღილებს, მოძრაობდნენ, განუწყვეტლივ მოძრაობდნენ.

და ის, როცა მაყურებლებით საესე ტრიბუნები წუთზე ელოდნენ გოლს ვერჩანელთა კარში, გოლი მართლაც იქნა გატანილი, მაგრამ საწინააღმდევო მხარეს—შეეციას კარში (ვერჩანელი ფეხბურთელები ასეთ საქმეში ოსტატები არიან). ცეზლიარჩევა ოცდამეოთხე წუთზე შორიდან მიაწოდა ბურთი შეფერს და ამ უკანასკნელმა ბადეში გაგზავნა ივი—(1 : 0).

შეედებმა ანგარიში 6 წუთში გაქვითეს. შემდგომში მათს თავში შეტი დამაჯერებლობა და სიზუსტე მიეცა, ამას დაემატა ისიც, რომ მსაჯმა დაუფარავი უხეშობისათვის მინდვრიდან გააძევა ვერჩანელთა მცველი იუსკოება და მასპინძელთა გამარჯვება მოოლოდ დროისა და ანგარიშის საქმე გახდა. ეს მათ არც გასჭირებიათ—3 : 1.

ნაცევარფინალური მატჩები

24/VI. ბრაზილია-საფრანგეთი—5 : 2 (2 : 1).

ვაკა (მე-2 წუთზე)—1 : 0, ფონტენი (მე-8 წუთზე)—1 : 1, დიდი (38-ე წუთზე)—2 : 1, პელე (53-ე წუთზე)—3 : 1, პელე (64-ე წუთზე) 4 : 1, პელე (75-ე წუთზე)—5 : 1, პიანტონი (83-ე წუთზე)—2 : 5.

24/VI. შეეცია—გორ 3 : 1 (1 : 1).

შეერი (24-ე წუთზე)—0 : 1, სკოგლუნდი 30-ე წუთზე (1 : 1). გრენი (79-ე წუთზე)—2 : 1, პამრინი (87-ე წუთზე)—3 : 1.

«ოძროს ქალებისთვის—უახლოესის ღმისთვეს»

(ფ ი ნ ა ლ ი)

ფინალური მატჩის წინ სტოკოლმში მოქლელი ღადაუდებლივ წევიდა. „როსუნდას“ სტადიონის საფეხბურთო მინდორი დასველდა, დამძიმდა, ამინდი აშეარა სიმპათიით იყო განწყობილი შეედების მიმართ, ვინაიდან ასეთ პირობებში უპირატესობა ტიქინიკაში უკანა პლანზე იწევეს და შეტი მნიშვნელობა ენიჭება ძალისმიერ ბრძოლას, მოთამაშეთა ფიზიკურ მონაცემებს, ამტანობას.

ერთი სიტყვით, სტოკოლმის ცაც თავისი ფეხბურთელების მხარეს იყო, მაგრამ მეორე დღეს შეედური გაზეთები წერდნენ:

„ჩემი ცა კი არა, მამაშეციერი ღმერთიც ვერ გვაწეველილა. იმაზეც
დიდი მადლობა, რომ 5 წუთი მაინც ეყიყავით მსოფლიო ჩემისახელის
ნები!“

კომენტატორს მხედველობაში ის 5 წუთი ჰქონდა, როცა ლიდ-
კოლმამა ზუსტად გამოზომილი დარტყმით გაიტანა გოლი და ზაფუ-
რებელთა აუწერელი ყიყინის ქვეშ ხელებაშეული გამოიქცა ცენტ-
რისაკენ. მაგრამ 5 წუთი მცირე დროა, ჩემისინობას კი 4 წელი
აქვს ვადად. მე-9 წუთზე ვავამ გაქცითა ეს გოლი, ხოლო რამდენი-
მე ხნის შემდეგ მეორეც დაუშატა, რითაც სამართლიანი და ლო-
გიკური მსელელობა მისცა საქმეთა ვითარების მინდორზე.

არ შეიძლება თქმა, რომ შეედები ცუდად თამაშობდნენ ამ
დღეს. პირიქით, გრენი ძეველებურად ხელმძღვანელობდა კომბინა-
ციებს, ჰაშრინი, სკოგლუნდი და ლიდპილმი ყოველგვარად ცდი-
ლობდნენ გაერლებით მოწინააღმდეგის დაცეის ხაზი. ერთხელ ისი-
ნი სულ ახლოს იყენენ კიდევ მიზანთან: ბრაზილიელთა მექარე
ეილმარი სიმონსონთან ბრძოლაში შეფერხდა საჯარიმო მოედანზე
და სკოგლუნდმა ცარიელ კარში გაგზავნა ბურთი, მაგრამ მარცხე-
ნა გარემარტმა ზავალომ რაღაც გუმანით იგრძნო ხიფათი, შორი-
დან მოირბინა კარში და სულზე მოუსწრო ბადისკენ გაგზავნილ
ბურთს...

შეედების შესაძლებლობათა შაქსიმუმი არასაკმარისი იღმოჩნდა
ბრაზილიელებთან საბრძოლეველად. ბრწყინვალე ტექნიკა, მოთამა-
შეთა უნაკლო შეთამაშება, კომბინაციათა განუწყვეტილი სიახლე
და მოულოდნელობა, შეუნელებელი ტექნიკი, უკიდურესად ყურად-
ლებიანი და დაკვირვებული ურთიერთმოქმედება დაცეაში, დაბო-
ლოს, შესანიშნავი თავაზიანობა და პატივისცემა სპორტული მო-
წინააღმდეგის მიმართ —ყველაფერი ეს იმდენად თვალსაჩინო იყო,
რომ ბოლოსდაბოლოს მთელი სტადიონი, ისინიც კი, ესი პირ-
დაპირ მოვალეობას შეადგენდა შეედების ქომაგობა, ყურისწამდე-
ბად გაქციოდნენ: „ო-ო-ო, ბრა-ზი-ი-ი-ი-ლ!“...

ძნელია მსოფლიო პირელობის ფინალურ მატჩზე მსაჯს დას-
ჭამი არაობიერტურობა, მაგრამ მ. გიგმა (საფრანგეთი) რატომდაც
არ დანიშნა მასპინძელთა კარში უდიდელი პენალტი, ხოლო შემდეგ
ბრაზილიელთა კარში ჩათვალი გოლი, რომელიც მეტისმეტად შეგვ-
და თამაშვარე მდგომარეობიდან გატანილს. ბრაზილიელებს ხშაც
არ ამოუღიათ საზიდულელად და ძეველებური ენთუზიაზმით განავრ-
ძობდნენ თამაშს.



ასე გაითხატა უფლენენ ბრძანილი უკაბურითელები თავიანთ სიხარულს ყოველი გატანილი ბურთის შემდეგ. გოლის ავტორს ექსტაზი შესული პარტნიორები ეხვეონენ, კოუნილენ და ჟელაფერი ეს შეირთა ისეთ „მშრალე“ ფორმებში ხდებოთა, რომ საქმე ექიმის უშუალო ჩატვაზდე მიღიოდა. ამ, აწლაც, ვავამ გაირარა გოლი და მისი მეგობრების წერვისული მილოცვის შემდეგ რამდენიმე წუთით ექიმის განკარგულებაში გადავიდა.

და როცა მატჩი მოგებულ იქნა ანგარიშით 5 : 2, სამხრეთ ამერიკის შესანიშნავ ფეხბურთელთა სიხარულს საზღვარი არა ვაჭონა, და. ისინი მალაყებს გადადიოდნენ მინდორზე, ცეკვადნენ, შეღროდნენ, შემდეგ მოპეიდეს ხელი შვეციის ეროვნულ დროშას და სტადიონს გარშემო შემოურბინეს მასპინძელთა პატივსაცემად. მაყურებლები გულწრფელად იზიარებდნენ გამარჯვებულთა ამ სიხარულს, ვინაიდან იგი ისეთივე ხალასი, უშუალო და დამსახურებული იყო, როგორიც კანონიერიც იყო მათი გამარჯვება.

„ფიფას“ პრეზიდენტმა ა. დრიურიმ ტაშის გრიალში ჩააბარა იქმოს თასი ბრაზილიის გუნდის კაპიტანს ა. ბელინის. შვეციის მეფე გუსტავ დიოდორი პირადად მიესალმა ფინალისტებს. ფოტო-რეპორტორებს, კინოპერატორებს იქრიში იერიშზე მიპქონდათ და მინდერიდან არ უშვებდნენ დაქანცულ ფეხბურთელებს.

„ოქროს ქალღმერთი—ფეხბურთის ღმერთებს“—ასეთი ლაქონიური, მაგრამ მოსწრებული სიტყვებით აღინიშნა მეორე დღე ერთ-ერთ განეთში ბრაზილიელ ფეხბურთელთა ბრწყინვალე გამარჯვება.



1958 წლის მსოფლიო ჩემპიონი ფეხბურთელი — ბრაზილიის ნაკრები გუნდი.



* * *

მესამე ადგილისათვის ბრძოლაში ერთმანეთს შეხვდნენ საფურცელო რანგეთისა და დასავლეთ გერმანიის გუნდები. გერმანელებმა ერთხელ კიდევ დაყარეს ფარ-ხმალი სწრაფი, ტემპერამენტიანი და ენერგიული მოწინააღმდევის წინაშე. კოპას, პიანინისა და ფონტენის კომბინაციები გერმანელთა დაცვისათვის ამოუხსნელ რებუსად დარჩა მატერიალურობის მოლოდინი. საფრანგეთის ფეხბურთელებმა თამაზი მოიგეს ანგარიშით 6 : 3 და პირველად მოიპოვეს ბრინჯის შედლები გათამაშებაში, რომელსაც ურანგი ფეხბურთის მოლვაწის ეულ რიმეს სახელი ეწოდება.

ფინალური მატჩები

პირველი ადგილისათვის

29/VI. ბრაზილია—უეიკია—5 : 2 (2 : 1).

ლილბოლმი (მე-4 წუთზე) — 0 : 1, ვავი (მე-9 წუთზე) 1 : 1,
ვავი (31-ე წუთზე) — 2 : 1, პელე (45-ე წუთზე) — 3 : 1,
ზაგალო (68-ე წუთზე) — 4 : 1, სიმონსონი (მე-80 წუთზე)
— 2 : 4, პელე (90-ე წუთზე) — 5 : 2.

მესამე ადგილისათვის

28/VI. საფრანგეთი-გერმანია—6 : 3 (3 : 1),

ფონტენი (მე-15 წუთზე) — 1 : 0, ლებლარჩიე (მე-18 წუთზე)
— 1 : 1, კოპა (26-ე წუთზე, პენალტი) — 2 : 1, ფონტენი (34-ე
წუთზე) — 3 : 1, ლუი (50-ე წუთზე) 4 : 1, რანი (52-ე წუთზე)
— 2 : 4, ფონტენი (79-ე წუთზე) — 5 : 2, შეფერი (მე-80 წუთზე)
— 3 : 5, ფონტენი (90-ე წუთზე) — 6 : 3.

ଶ. ପ୍ରଦୀପ ପାତ୍ର

ବେଳରୁକୁଳ ଜାମିଶାଖରୁକ୍ଷିତଙ୍କ ନିର୍ମାଣ

କବି ୩୬୧୬୮ ୩୩୭୮୦୧୩୦

წევნი დელეგიციის შემაღებენლობაში, რომელიც შეეციაში გა-
 ემგზავრა ფეხბურთში მსოფლიო პირველობის ფინალურ მატჩებზე
 დასასწრებად, შედიოდნენ საბჭოთა ფეხბურთის გამოჩენილი სპე-
 ციალისტები, ძველი ფეხბურთელები, მსაჯები, მწერთნელები, სა-
 ზოგადოებრივი მუშაკები. აქ იყვნენ მ. ბუტუსოვი, ალ. და ან.
 სტაროსტინები, ა. ხომიჩი, გ. ნაბუტოვი, გ. სოლოვიოვი, მ. ლილ-
 ვიჩი, გ. არხანოვი, პ. კრილოვი, ნ. მახინია და მრავალი სხვა.

სტოკოლმში 23 ივნისს ჩავედით. მოგვათავსეს კომიტეტი ბე-
 ლურ სასტუმრო „დომიუსში“, სადაც ჩვენს გარდა, თურმე, ცხო-
 ვრობდა ბრაზილიის ფეხბურთელთა ნაკრები გუნდი.

ზალე გავიცანით ერთმანეთი. ბრაზილიელი ფეხბურთელები
 უბრალო, გულლია და მხიარული ბიქები აღმოჩნდნენ. ისინი წყნა-
 რი ლილინით სეირნობდნენ სასტუმროს გარშემო და თავისებური
 თამაშებით ერთობოდნენ ესტრიბიულში: ჩამოსხდებოდნენ სასტუ-
 მროს კიბებშე და განუწყვეტლივ ეხუმრებოდნენ ერთმანეთსაც და
 სხვებსაც. ამ შევერებაში ახალგაზრდებს ფანატიკურად უყვართ ფეხ-
 ბურთი და პატარა ბავშვებივით მზად არიან ყველაფერს მოარ-
 ტყან ფეხი, რაც კი მიწაზე დევს ან ჰაერში ფრინავს, იქნება ეს
 დაჭმუჭმული ქალალდი, ასანთის კოლოფი თუ ვინმე გამოლელის
 მიერ გადაგდებული სიგარეტის ნამწვი.

ა. ხომიჩმა ჯგუფად და ცალცალკე გადავიდო სურათები და
 ბრაზილიელები ბავშვებივით გვეხვეწებოდნენ: თითო სურათი ჩემ-
 თვეისაც დაბეჭდეთო...

* * *

სტოკოლმში ულაშანესი ქალაქია. მთლიანად მწვანეში ჩაფლუ-
 ლი, სუფთა, უამრავი ხიდებით, ნათელი ქუჩებით, ლამაზი შენობე-
 ბით, აურაცხელი მაღაზიებით, უაღრესად წესრიგიანი სატრანსპორ-
 ტო მოძრაობით—იგი წარუმლელ შთაბეჭდილებას ტოვებს.

ფიზიკური კულტურა და სპორტი შეეციაში უდიდესი პოპუ-
 ლარობით სარგებლობს. სკოლებში და უმაღლეს სასწავლებლებში
 მას დიდი დრო ეთმობა და ეს საგანი ერთ-ერთ წამყვანად ითელე-

ბა სხვა დისკუიპლინათა შორის. სტოკმოლმში, მაგალითად, ჩვენმა დელეგაციამ ინახულა ე. წ. „ტანვარჯიშის ინსტიტუტი“. ესაა უძველესი სანიშნავი. სპორტული ქომბინატი საუკეთესო დარბაზებით, მოედნებით და აუდიტორიებით (ინსტიტუტი ამზადებს ტანვარჯიშის სპეციალისტებს საშუალო სკოლებისათვის).



სურათი, გადაღებული სასტუმრო „დომინის“ ესოში, მარცხიდან—
მ. იაკუშინი, ვ. აკრეიტა (ფიფი), ბ. პარეაძე.

როცა ინსტიტუტის მთავარი დარბაზის აიგანზე იველით და შემოდან დაეხედეთ დარბაზს, გაგვაოცა სარკესავით პრიალა იატაქია, რომელიც უფრო საციურაო მოედნის შთაბეჭდილებას ტოვებდა, ვიდრე პარკეტისას. შეკითხვაზე, თუ რა საქიროა ასეთი სრიალი იატაქი ტანვარჯიშის დარბაზში, მასპინძლებმა არაფერი გვიპასუხეს და ქვეყნით მიგვიწვიოს. ყველაფერი გამოიჩევა მაშინ, როცა იატაქზე შევდევქით. მასზე ფეხი კი არ ცურავდა, არამედ უფრო მკერივად ჩერდებოდა, ვიდრე ჩერულებრივ პარკეტზე.

ტანვარჯიშული იარაღები აქ კედლებშია ჩამოლული. ღილაკს თითს დააჭირ, კედლელი გაიხსნება და რომელიც გნებავთ იარაღი ავტომატურად გაიმლება თქვენს წინაშე. ზოგიერთი იარაღი ჰერქვეშ კიდია და მათი გაშლა ზონარის ჩამოწევით ხდება.



* * *

პირველი მატჩი, რომელიც ჩენ უნდა გვენახა, ეს იყო ნახენი გარფინალური შეხვედრა ბრაზილიისა და საფრანგეთის გუნდებს შორის „როსუნდას“ სტადიონზე სტადიონზე.

ჩენ წინასწარ ვიცოდით რა აღვილები გვეონდა სტადიონზე, მაგრამ ყოველი შემთხვევისათვის აღრე წავედით და დავიყავეთ აღვილები. გავგაოცა იმ გარემოებამ, რომ ტრიბუნების ნახევარი კარიელი იყო. მაშინვე ვითქიქრე: ასეთი თამაში რომ თბილისში მოწყოს, სტადიონი ხომ დილიდან გაიტენებოდა-მეთქი.

ვადოოდა დრო, ახლოვდებოდა თამაშის დასაწყისი, მაგრამ ტრიბუნებზე კელავინდებურად რჩებოდა თავისუფალი აღვილები. ეს იმიტომ კი არა, რომ შევდებს არ უყვართ ფეხბურთი. პირიქით, ისინი უდიდეს ინტერესს იჩენდნენ გათამაშებისადმი, მაგრამ ბალეთების ფასი ძალზე გალალია—30-40 ქრონი. ასე, რომ კაცი ან უნდა ფეხბურთის კეშმარიტი მოყვარული იყოს, ან ზედმეტი ქრონები გააჩნდეს ჯიბეში, რომ ასეთი თანხა გადაიხადოს. ამიტომ გულშემატკიცართა! უმრავლესობა ამჯობინებს გამოიზოგოს ეს 30-40 ქრონი, ტელევიზორს ზიუჯდეს სახლში და იქ უყუროს მატჩის, რომლის გადაცემასაც იქ დიდის ოსტატობით აწარმოებენ. სპეციალისტისათვის მსოფლიო პირველობის შეხვედრაზე დასწრება საფალდებულოა, მაგრამ მატჩის ტრანსლაცია ტელევიზორში ისე კარგად ხდება, რომ უბრალო მაყურებელი განსხვავებას თითქმის ვერ ამჩნევს.

აქ უნდა დაეძინო, რომ ეს ცარიელი აღვილები ჩემითონატის ორგანიზატორებს სრულიადაც არ აწუხებდათ, ვინაიდან, კონტრაქტის თანახმად, სატელევიზიო კომპანია იხდიდა ჭველა გაუყიდვი აღვილის საფასურს.

მატჩის დაწყების წინ სწორედ ჩენს უკან აუწერელი ყიფინითა და სმაურით შემოცეიდნენ ფრანგი ტურისტები. მათ ხელში ექირათ თავიანთი ეროვნული დროშები და თავზე იმავე დროშის მაგვარი ნატრისაგან შეკერილი ქუდები ეხურათ.

გაისმა მსაჯის სასტეპის ხმა და ცოტა ხანში ფრანგების აეითეავიც მიწყდა: ყველასათვის აშკარა იყო—ბრაზილის გუნდი საფრანგეთისაზე გაცილებით ძლიერად თამაშობდა.

ბრაზილიელი ფეხბურთელებისაგან ყოველ წუთს უსიამოვნებას უნდა მოელოდე. ეს კარგად იცოდნენ ფრანგებმა და უაღრესი სიფრთხილით დაიწყეს მატჩი, მაგრამ მათ მხედველობიდან გამოჩათ მოწინააღმდეგ ნახევარმცველის ზიტოს სწრაფი რეიდი მინ-

დერის სილრმეში. სანამ მიღებულ იქნა საგანგებო ზომები, წამიერი არეულობით ისარგებლა ცენტრალურმა თავდამსხმელმა ვავაშ და თავისუფალ ადგილზე გავიდა. ასეთ მომენტებს ბრაზილიელები არ კარგავენ: ჰიტომ მაშინვე გავზავნა ბურთი საჭირო ადგილას და ვავა პირისპირ აღმოჩნდა მექარე აბესთან. ფრანგების მექარის ცდა, კარიდან გამოსულიყო და ისე მოესწრო ბურთის აღება, უშედეგოდ დამთავრდა. ვავამ მოასწრო და ძლიერად დაარტყა კარის შორეულ კუთხეში—1:0.

ანგარიში 0:1 მატჩის მეორე წუთზე, ისიც ბრაზილიასთან! ასეთი „უვერტიურა“ ყოველ გუნდს აუბნებდა თავგზას, მაგრამ საფრანგეთის ფეხბურთელები საოცარი სიმშეიდით შეხედნენ მას— ყოველგვარი არეულობისა და პანიკის გარეშე.

ფრანგები მაშინვე საპასუხო შეტევაზე გადავიდნენ. მცველებმა უფრო მშიდროდ აიყვანეს მოწინააღმდეგე ფორვარდები, ხოლო თავდამსხმელები სწრაფი გარღვევებით და გადაცემებით შეუდგნენ იერიშს.

ფრანგების ტექნიკური გეგმა ისეთი იყო: შეტევას ხელმძღვანელობდა ცენტრში ოდნავ უკან დაწეული რაიმონ ქოპა, რომელიც ცდილობდა რაც შეიძლება მოხერხებულ მდგომარეობაში გაუყვანა კარის სიახლოეს უისტ ფონტენი.

როცა საფრანგეთის გუნდში ასეთი კომბინაცია განხორციელდება, საქმე, როგორც წესი, გოლით მთავრდება. ასე მოხდა აშერიადაც. ქოპამ იშეიათი სისუსტით გადასცა ბურთი ფონტენს, ეს უკანასკნელი სრული სისწრაფით შეიჭრა საჯარიმო მოედანში. მოატყუ მექარე უილმარი და გაქვითა გოლი—1:1.

ჩემპიონატის მანძილზე ეს იყო პირველი ბურთი, გატანილი ბრაზილიელთა კარში.

ჩენს უკან შესდომითა ფრანგმა ტურისტებმა გამაყრუებული ხმაური ატეხეს. ისინი შემლილებიერი ყვიროლნენ, ახტებოდნენ ერთმანეთს, ქედებს ჰაერში ტყორცნილნენ და რაღაცა საყვირებს აღრიალებდნენ. ეს თავშეუკაებელი ღრიანცელი კარგა ხანს გრძელდებოდა, სანამ საფრანგეთის გუნდი შეტევაზე იყო და ფონტენი მრიასხან მოჩეკებასავით ტრიალებდა ბრაზილიელთა კართან. მაგრამ ამ ფონტენი რამდენიმეჯერ ზედიზედ „შემთხვევით“ დარჩა თანმაშვილ მდგომარეობაში და იძულებული გახდა მოცილებოდა საჯარიმო მოედანს. სულ უფროდაუფრო უჭირდა ბურთების განწილება ქოპასაც, რომელსაც ბრაზილიის გუნდის მცველები გასაქანს არ იძლევდნენ.



ცოტი ხანში ბრაზილიელები თამაშის ბატონ-პატრონიდან გამოიყენები დანენ. მათ მოაგვარეს „საქმეები“ მოწინააღმდეგის თრი. ყველაზე სახითო თავდამსმელის მიმართ და უკვი აღარისუერი უშლიდა ხელს ეთამაშათ სრული ბრწყინვალებით.

ამას დაემატა ისიც, რომ ვავასთან უკაბედი შეტაკებისას ტრაგია მიიღო ფრანგების ცენტრალურმა მცველმა რ. უონკემ, რომელიც ჯერ კარგა ხნით გავიდა მინდვრიდან და გუნდი 10 მოთამაშის შემაღენლობით დატოვა, ხოლო შემდეგ კოქლობით დაუბრუნდა თამაშს. მატჩის ბედი აშეარად გადაწყვეტილი იყო.

ისევე, როგორც ფრანგებთან კოპა, ბრაზილიის გუნდში მთავარი „დისპეტჩერის“ როლს ასრულებს დიდი, რომელიც ვაზრებულად და ვანსაცვიფრებელი სიზუსტით ანაწილებს ბურთებს პირტნიორებს შორის. ერთ-ერთ ასეთ გადაცემას მოელოდნენ მისგან ყველანი 38-ე წუთზე, ხოლო დიდიმ სულ სხვაგვარი გადაწყვეტა მოძებნა. მან 25 მეტრის მანძილიდან უეცრიად დაარტყა კარში და ბურთი სუფთად გაიყვანა მარცხენა მაღალ კუთხეში—2:1. ეს იყო გრასმაისტერული გოლი!

შეორე ტამში ბრაზილიელთა უპირატესობა კიდევ უფრო ნათელი შეიძნა. მართალია, საფრანგეთის ფეხბურთელები თამაშობდნენ სრული მონდომებით, მთელი ენერგიით, მაგრამ ძალები აშკარად არათანაბარი იყო, მით უმცრეს, რომ უონკე თითქმის ვირაფრით ვერ შეელოდა თავის ამხანაგებს.

აი ვავა მარცხენა მხრიდან გაეიდა კართან და დაბლა მიაწოდა ცენტრში. მექარეს ხელიდან გაუვარდა ბურთი და პელემ ის წყნარად შეეგორა კარში—3:1.

ამის შემდეგ „ბრაზილიის ფეხბურთის იმედმა“—პელემ თრი ბურთი კიდევ გაიტანა, რასაც მატჩის დასასრულისათვის ერთი გოლით უპასუხა პიანტონმა (№ 10) და მატჩი დამთავრდა ანგარიშით 5:2 ბრაზილიის გუნდის სასაჩვენებლოდ.

ჩემის აზრით, ეს იყო ჩემპიონატის ერთ-ერთი საუკეთესო მატჩი—ტემპერამენტული, აზარტული, მძიფრი ბრძოლით აღსავსე და მეტად დასანანია, რომ ფრანგებს ბრაზილიასთან შეხვედრა ნახევარფინალში მოუხდათ. ჩემის აზრით, ეს იქნებოდა საუკეთესო ფინალური წყვილი.

ეს საფრანგეთის გუნდმა ცხადჰყო მატჩში მესამე იდგილისათვის გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ნაკრებთან, რომელიც შედგა გეტებორგში „ნიუ ულევის“ სტადიონზე.

გეტებორგში აუარებელი საფეხბურთო მინდვრებია, სადაც ბავშვებს არავინ უშლის ხელს დილიდან დაღამებამდე ითამაშონ ბურთი 8. ბ. ვაკეად, ბ. ჭორეჭა

საინტერესო აღინიშნოს, რომ მინდვრებზე გარღივარდმო დაგ-
გმულია დამატებით 4 კარი საფარჯიშოდ).

დაიწყო ბრძოლა ბრინჯაოს შედლებისათვის. დასაწყისში თო-
ვი გუნდი ზედმეტად ფრთხილობდა, ვინაიდან სერე მიწაზე ყოველ-
გვარი მოულოდნელი უსიამოენება შეიძლებოდა შომხდარიყო, მა-
გრამ ფრანგებმა თანდათან დაალაგეს თამაში და ქომბინაცია ლუ-
კოპა-ფონტენი მე-15 წუთზე დამთავრდა პირველი გოლით გერმა-
ნელთა კარში—1:0.

გერმანელებმა (ცენტრალისტი) სულ მალე გაათანაბრეს ანგარიში,
ხოლო 27-ე წუთზე მათს კარში დაინიშნა 11-მეტრიანი საფარიში
(„მოცელეს“ ეისწესები) და კომამ ზუსტი დარტყმით გაჩარდა ან-
გარიში—2:1.

ტაიმის დამთავრებამდე გერმანელებს კიდევ ერთხელ მოუხდათ
თამაშის დაწყება ცენტრიდან. გოლი, კუთხური ბურთის მოწო-
დების შემდეგ, გაიტანა კელავ იმავე დაუღალება უონტენმა.

მეორე ტაიმი მეტად საინტერესო ბრძოლაში ჩატარდა და
„უხმოსაელიანი“ გამოდგა. ჯერ ლუიმ გაიტანა მეოთხე ბურთი,
ხოლო შემდეგ გერმანელთა მარჯვენა გარემარბმა რანმა მეტისმე-
ტად ძნელი მდგომარეობიდან გაგზავნა ბურთი კარში—2:4.

გერმანელებმა ცერაფერი გააწყეს ფონტენის განუწყვეტელი
შეტკების წინააღმდეგ და მისგან კიდევ ორი ბურთი მიიღეს კარ-
ში. ხოლო თავის მხრიց გაიტანეს ერთი (შეფერი).

მატჩი ანგარიშით 6:3 მოიგო საფრანგეთის გუნდმა და მო-
იპოვა ბრინჯაოს მედალი.

დარჩია მხოლოდ ერთი მატჩი—ფინალი.

ფეხბურთში მსოფლიო პირველობის ფინალი.

რა ზეიძლება იყოს ამაზე კარგი სანახავი იმისათვის, ეისაც
მთელი სიცოცხლე ფეხბურთისათვის შეუწირავს?

და ა. ჩეენ, მთელი საბჭოთა დელეგაცია, მატჩის დაწყებამდე
საათნახევრით აღრე ესხედებირთ სტროკოლმის „როსუნდას“ სტადი-
ონზე და ველით „უმალლესი ფეხბურთის“ დაწყებას.

სტადიონი საესეა მაყურებლებით. ამბობენ „შევ ბირეაზე“
ბილეთების ფასში 400-დან 600-800 კრონამდე იციათ. ეს
მთელი ქონებაა, მაგრამ იმასაც ამბობენ, რომ ბილეთებს ხელიდან
სტაციებენ ერთმანეთს.

მთელი ღამე და დილითაც განუწყვეტლივ წეიმდა. მინდორი
დასეველდა, დამძიმდა და ახლა გაცხარებული შუშაობა წარმოებს
მის გასაშრომად.

ასეთი მინდორი შეედებისათვის გაცილებით უფრო ხელსაყრე-

ლია, რადგანაც ერთგვარად ხელს შეუშლის ბრაზილიელთა მაღალ-ტექნიკურ თამაშს, მაგრამ კოესპირულადაც რომ იწვიმოს, მე მაინც ღრმადა ვარ დარწმუნებული ბრაზილიის გუნდის გამარჯვობაში. ჩვენს დელფაციაში წინასწარ მოვაწყეთ თავისებური „ლატარია“, სადაც მე ჩავწერ ანგარიში 5:1 ან 6:2 ბრაზილიელთა სასარგებლოდ.

მატჩის დაწყებამდე საქმაო დროა, მაგრამ მაყურებლები არ არიან მოწყინით. მინდორზე ჯერ ვიღებ იუმორისტი მსახიობი გამოდის და ყოველი მისი სიტყვა ხმამაღალ სიცილს იწვევს ხალხში. სამწუხაროდ, ჩვენ არ გვესმის მისი ობუნჯობა. შემდეგ მინდორზე გამოდის ქალვაჟი და გიტარის თანხლებით მშვენიერად ასრულებენ აყსტრალიურ სიმღერებს. მათ ხანგრძლივი ტაშით აცილებენ.

უცემ ტრიბუნებიდან ბურთით ხელში გადმოხტა რომელიდაც მაყურებელი, მიირჩინა კართან და ბურთის შეკდება სცადა, მაგრამ ორჯერ ზედიზედ დააცილა კარს. მთელი სტადიონი, ხარხარებდა, საიდანლაც პოლიციელიც გამოიჩნდა და გაყვანა დაუპირა მას. მაყურებელი საქმაოდ „პრინციპული“ აღმოჩნდა: სანამ ბურთი არ შეაგდო არაფრით არ დაემორჩილა პოლიციელს, მერე კი თავაზიად ანჭქა მას ბურთი და თეთონ ტრიბუნისაკენ გაიძეს.

მატჩის დაწყებას აქლდა 20:25 წუთი, მთელმა სტადიონმა დაიწყო სკანდირება: „ჰეია, ჰეია, ჰეია“, რაც ჩვენებურად „მიდი, მიდის“ ნიშანებს. ორი შვედი გულშემატევები ეროვნული დროშით ხელში ვაღმოვიდა მინდორზე და დირიქორიობდა ხალხს, რომელიც ერთგულად, ხმის ჩახლებამდე გამცემის დროის სასულეო ორექსტრშიც მძლავრად დააგუგუნა შვეცარის ეროვნული ჰიმნი. ერთი სიტყვით, ბრაზილიელთა შომხერენი თითებზე ჩამოსათვლელად ვიყავით — ძირითადად უცხოეთის დელეგაციები.

მინდორზე გამოდის შეეცაის შეფე გუსტავ ალოლფი, მიესალმება მსაჯებს, შემდეგ ბრაზილიელ და ბოლოს, შვედ ფეხბურთელებს, ოფიციალური ცერემონიალი მთავრდება. მარსელელი მსაჯის მ. გიგის სასტერნის სმაზე მატჩი იწყება.

ისინი, ესიც ესწრებოდნენ წინა მატჩებს, უკვე შეეხვინ იმას, რომ ბრაზილიელები მსაჯის პირეელი სასტერნიდან იწყებდნენ მოწინააღმდეგის კარის თავბრუდამხევე შტურმის, თამაშის დასაწყისშივე უმსხვერევდნენ მის ყოველგვარ გეგმის და აიძულებდნენ უკან დაეხიათ ლრმა დაცაში.

ამჯერად პირიქით მოხდა. შეედები 3 წუთის განმავლობაში თავდავიწყებათ უტევდნენ მოპირდაპირე კარს და როცა 35 წლის ლიდპოლმზა მოულოდნელი დარტყმით ბურთი კარში გაიტანა,

ტრიბუნაზე ენით აუწერელი, შარმოულგენელი ლრიანცელი „ტყდა/სტალინი საგიეს დაემსგავსა: მაყურებლები იცინოდნენ, კვეთოთა
დნენ, ცეკვადნენ.“


ბრაზილიელებს აშკარად ეტყობოდათ, რომ არ მოელოდნენ
ასეთ დასაწყისს, მაგრამ ვერ ვიტყვი, რომ მოთამაშეებს იორის-
ოდნენა აღლებება ან პანიკა დატყობოდეთ. მათ, პირეელ ყოვლისა,
ბურთის წყნარი და უშეცლობო გადაცემებით ჩაიტრეს შვედების
ენთუზიაზი და სულ მალე გენერალურ შეტევაზე გადაეიდნენ. საბ-
ჯერ ზედიზედ გაიტრა თავის ფლანგზე მარჯვენა გარემარხი გა-
რინჩა და წევეცის გუნდის მცველები თავაგანწირვით უწვებოდნენ
ჩას ფეხებში, რათა ოფორმე შეეჩერებინათ ეს აგრძესიული ფორ-
მარლი.


ყველაფერი ამაო იყო. მე-9 წუთზე გარინჩა ერთხელ ქიდევ
გაექცა მცველებს, უკანასკნელ მათვანს—აქსბომს ზედ ცხეირწინ
შემოუარა და თითქმის ხაზიდან მიაწოდა ცენტრში. ვავამ ჩინებუ-
ლად იცის სად დახვდეს გარინჩას მიწოდებულ ბურთს. იგი სწრა-
ფად გავიდა ჭინ და მშეიდად შეავორა ბურთი კარში—1:1.

მცირე ხანს შემდეგ ბრაზილიელებმა გაიტანეს მეორე გოლი, რომელიც ძლიერ ჰგავდა პირეელს. ეს იყო ნამდეილი „ტყუპი გო-
ლი“. კომბინაცია სადღაც, მინდერის სილრმეში წამოიწყო პელე. ბურთი მიიღო ჯერ ზიტომ, შემდეგ გარინჩამ. და ის ეს „მცველ-
თა რისხეა“ ნელ-ნელა, თითქოს ეპარებაო, მიუახლოვდა დაბნეულ
აქსბომს. იმ უკანასკნელის დასახმარებლად სწრაფად გამოეშურა
ლიდოლმიც, ზაგრამ ორი კაცი გარინჩასათვის არაფერია. იგი
თვალის დახამხამებაში გაუსხლტა მცველებს, გაეარდა მარჯვნე
და მიაწოდა ცენტრში, სადაც უკე მზად იყო ვავა. ბრაზილიელთა
ამგეარ თავებრუდამხევე შეტევაში კველაფერი დეტალურად გამო-
თვლილი და გაანგარიშებულია, ყველამ ზედმიწევნით იცის თავისი
დრო და ადგილი, განსაკუთრებით ვავამ. დარტყმა, გოლი—2:1.

ტამი ამ ანგარიშით დამთავრდა. შესვენების შემდეგ მეათე
წუთზე სტალინი კელავ ტაშმა შეაზანზარა. მესამე გოლის აეტორს
—პელეს ალფროვანებით მიესალმებოდა ყველა, ჩეენც — უცხო-
ელები—და მასპინძლებიც.

შე იშვიათად მინახავს ასეთი ლამაზი გოლი: პელეს ბურთი
ჩიაწოდეს, როცა ის სამი მოწინააღმდეგე მცველით გარშემორტუ-
შელი ზურგით იდგა კარისაკენ. მან ბურთი გულზე მიიღო, თავს
უკან გადაიგდო, მოტრიალდა და ბურთს დაშეება არ აცალა, ისე
დაარტყა კარში. რა თქმა უნდა, სკენსონი უძლური იყო იმ ბურ-
თის წინაშე და არც მის პარტნიორებს—მცველებს შეეძლოთ და-

ხმარება. პელემ მთელი ეს მანიპულაცია ბურთით შეასრულა  ტისტულად, როგორც ქონგლიონრმა.

შეედებმა მთელი თავიანთი ძალები გადაისროლეს გარინჩასა— პელეს წინააღმდეგ საბრძოლველად, მაგრამ ბრაზილიელებმა ასლა თამაშში მთელი სიმძლავრით ჩართეს მარცხენა გარემორბი—ზაგალო, რომელშაც სწრაფად გამოიყენა მასპინძელთა მცირე შეცდომა და ინგარიში 4-მდე აიყვანა.

35-ე წუთზე შეედებმა თავიანთ საჯარომო მოედანზე აშკარად დაარღვეოს წესი, მაგრამ მ. გიგმა ორ დანიშნა პენალტი და ბურთი მოედნის გარეთ გამოიტანა. შეეციის ფეხბურთელები სწრაფად გადავიდნენ ზეტევაზე და სიმონსონმა გაიტანა კიდევ გოლი, თუმცა ბრაზილიის გუნდის მცენები ხელაწეული სამართლიანად ელოდნენ მსაჯის სასტუენს „თამაშეარე“ მდგომარეობის გამო.



ასე ტიტოთა გაბუკი პელე მიყრდნობილი თავისი უფროსი შეფობრის, ფიდის მხარეზე. ამაოდ ამშეიდებენ მას ეილმარი და გარინჩა— დიდმა სიხარულმა ცრემლები იცის.

სულ რამდენიმე წამი აკლდა მატჩის დამთავრებას, როცა პელემ აკრობატულ ნახტომში კიდევ ერთი ულამაზესი და მეტად ძნე-

ლი ბურთი გაიტანა. დრო ამოიწურა. თამაში მოიგო ბრაზილის ნაკრებმა ანგარიშით 5:2.

ეს იყო ლირსეული ჩემპიონის მიერ მოგებული ფინალი. ბრაზილის გულწრფელად მიესალმნენ შევდი ფეხბურთელები და მეფე გუსტავ ადოლფი. დაფდაფები გამაჟრუებლად უკრავდნენ, მინდორშე ზღვად დელავდნენ ფორმა და კინოკორესპონდენტები და მათს შორის თითქოს ცურავდნენ სიხარულით გაოგნებული ბრაზილიელები. ისინი ეხვეოდნენ ერთმანეთს, კოცნიდნენ და... ტიროდნენ. დიახ, დიახ, მარცხენა გარემარბი ზაგალო, მექარე ეილმარი და ქაბუკი პელე სახალხოდ ტიროდნენ.



ბრაზილიელმა ფეხბურთელებმა საცოვეჭაო სიმპათია მოიპოვეს არა შარტო შესანიშნავი თამაშით, არამედ თავაზიანი, უაღრესად კორექტული საქციულითაც. ტინალური მატინის მოგების შემდეგ მათ შევიცის ერთეული დორშით ხელში შემოურბინეს გარს ტრიბუნებს.

შემდეგ, როცა ეს პირველი ექსცესები მიწყნარდა, გუსტავ ადოლფმა სურათები გადაიღო ბრაზილიის ფეხბურთელებთან ერთად, „ფიფას“ პრეზიდენტმა ა. დრიურიმ ჩემპიონებს გადასკარებულ ჩიმეს თასი, რის შემდეგ რამდენიმე ბრაზილიელმა ფეხბურთელმა ფინალის ორგანიზატორის — შეეციის სახელმწიფოს პატივსაცემად ამ ქვეყნის დროშით ხელში შემოირბინა სტადიონი.

მსოფლიოს პირველისა დამთავრდა. ოქროს თასს გამოუჩნდა ახალი, საცემით კანონიერი მფლობელი — ბრაზილიის ნაკრები.

გვიან საღამოს, სასტუმრო „მალმეს“ ურცელ დარბაზში მოეწყო სხვადასხვა სახელმწიფოთა დელეგატების ბანკეტი. საერთო დროსტარებასა და მხიარულებაში შემოგვესწრნენ ჩვენი ნაცნობე-

პი—ბრაზილიელი ფეხბურთელები. კარგა ხანს ვისხედით ერთად, ქალალდჲე ქაზავდით და ვისხენდით განვლილი მატჩის შერწყმა პეტიებს. რომელიღაც ჩვენგანმა პელეს გაასხენა მის მიერ გატანილი ბესამე ბურთი და გაოცება გამოხატა მისი უშალლესი ოსტატობის მიმართ.

პელემ მორიდებულად გაიღმია და მოგვაგონა, რომ მას საშუალება არ ჰქონდა ბურთის უფრო უბრალიდ გატანისა და ამიტომ მიმართა ამ უკიდურეს ზომას—აკრობატიკას.

დავიშალეთ ნაშუალიმეეს, მაგრამ არც ერთი ბრაზილიელი ფეხბურთელი არ დამორჩალა, თუმცა საამისოდ მათ საბამიც ჰქონდათ, დროცა და უფლებაც.

* * *

თითქმის ყოველი მსოფლიო ჩემპიონატის დამთავრების შემდეგ ფეხბურთის სპეციალისტები გამოიტქვამდნენ სრულიად საწინააღმდეგო შეხედულებებს გამარჯვებულთა შესახებ. მაგალითად, 1954 წლის პირველობის შემდეგ, როცა გერმანელებმა ფინალში დაამარცხეს უნგრეთის უძლიერესი გუნდი, პრესაში დიდი ხნის განმავლობაში არ შემწყდარა ხმაური იმის შესახებ, რომ ნამდვილ ჩემპიონს სინამდვილეში მხოლოდ შეირჩე აღვილი შეხვდა, რომ გერმანელებს საოცრად წყალობდათ ბეჭი და ა. შ.

იმჯერად კი ორი აზრი არ ყოფილა: ჩემპიონობა ჩემპიონს ხედა წილად.

საინტერესოა, რას წარმოადგენს ბრაზილიის გუნდი საერთოდ და მისი წევრები ცალცალკე.

ბრაზილიის ნაერები შედგენილია 8 სხვადასხვა კლუბის მოთამაშეთავან. ერთის შეხედვით, ინელია ასეთი ცრელი შემაღენლობის შეთამაშება ერთ კოლექტივად, მაგრამ ფეხბურთელთა უმაღლესი ტექნიკა და თამაშის კულტურა საშუალებას იძლევა ნაკრები შედგეს უზრუნველყოდ, ზედმეტ გართულებათა გარეშე. ბრაზილიის გუნდში არიან ე. წ. ისაკვადაციოლებული ვეტერანები და ჯერ სულ იძლევაზრდა ფეხბურთელები, მაგრამ ეს კოლექტივი ხანდაზმულობისა და სიახლეაზრდავის მეტად მარჯვე შესამებას წარმოადგენს. გუნდში ყველა ფუნქცია ზედმიწევნით მიზანშეწონლადაა განაწილებული და თავისი საქმე ყველაზ ხუთი თითოეული იცის—ვეტერანმაც და ახალგაზრდამაც.

დიდი ხნის განმავლობაში გაიჩნეული იყო, რომ სისტემა 1+4+2+4 დაცუითია, მაგრამ ბრაზილიის გუნდის მაგალითზე ჩვენ ერთხელ კიდევ დაგრძელდით, რომ ეს სულაც არაა დაცუითი სისტემა. პირიქით, ესაა შეტად მოქნილი და მოძრავი სისტემა; სადაც

გუნდი სრული ძალებით მოქმედებს როგორც დაცვაში, ისე თავ-
დასხმაში. იყო შემთხვევები, როცა ბრაზილიელები დაცვაში არ-
მოთამაშის შემაღვენლობით იბრძოდნენ და სულ რამდენიმე სელის
შემდეგ ამდენივე მოთამაშე იმყოფებოდა მოწინააღმდეგის საუკარი-
შო მოედანზე.

ბრაზილიელები დაცეიდან შეტევაშე გადადიან მშვიდად, ყო-
ვალგვარი ჩოჩქოლისა და ზედმეტი აჩქარების გარეშე. ბურთის გა-
დაცემათა რაოდენობა ერთი კარიდან მეორემდე ზოგჯერ 10 - 12-ს
აღწევს და იშვიათად, რომ ბურთი გადაეცეს საეგებიოდ – მისამარ-
თი ყოველთვის ლია მოთამაშეა.

თამაშის უმაღლესი ტექნიკა ამ გუნდში შერწყმულია კოლექ-
ტიურობასთან. ბრაზილიელები ცდილობენ ითამაშონ მარტივად და
უბრალოდ, მაგრამ თუ საჭიროა, მათ ისეთი ფოკუსების გაქცევება
შეუძლიათ, რომ თავი ცირკში ვევონებათ. თუ ბრაზილიელება უქა-
ბურთელმა ქუსლით ითამაშა, ან ხელებზე თავდაყირი დამდგარმა
გადაიტანა ბურთი, ეს იმას ნიშნავს, რომ მას სხვა გზა არა ჰქონ-
და.

ყველაფერი ეს ბრაზილიელ ფეხბურთელებს შეთვისებული
აქვთ ბავშვთა იმ „ველურ“ გუნდებში, რომელთა რაოდენობა ამ
ქვეყნის ქუჩებში, მინდვრება და პლატფორმებზე ათეულ ათასებს აღ-
წევს. აქედან იწყება მათი გზა მსოფლიო ჩემპიონობისაკენ. ამი-
ტომაა, რომ ბრაზილის ნაკრებში თითქმის არ არსებობს ცნება—
ძირითადი და სათადარივო მოთამაშე. აქ ყველა თანაბარი ძალისაა,
მაგალითად, მაცოლა, და სორდი, პელე № 2 და სხვანი ბეგერის
ასრით უფრო ძლიერადაც თამაშობენ, ეიდრე ფინალური მატჩის
მონაწილენი.

განც, შეიძლება დაისვას ასეთი კითხვა: ვინაა ყველაზე შესა-
ნიშნავი ფეხბურთელი ბრაზილის გუნდში, ვის ექუთვნის მასში
წამყვანისა და ორგანიზატორის როლი?

ამ კითხვაზე მე ყველაფერი ყოფმანის გარეშე გავცემ პასუხს:
ესაა დიდი – ბრწყინვალე ფეხბურთელი, თავისი გუნდის სული და
გული, მისი მთავარი დირიგორი. ბრაზილიაში ამ ფეხბურთელს
კოლოსალური ავტორიტეტი აქვს და მას ყველაზე მეტ ფულს უხ-
დიან. თუმცა მთელი სეზონის განმავლობაში 8 - 10 მატჩში თუ მო-
ნაწილეობს. მხოლოდ მაშინ, როცა კლუბს აუცილებელი მოსავები
მატჩი აქვს.

დიდი თამაშობს უკიდურესად ეკონომიკურად, გააზრებულად,
პრეციანურად. იგი იშვიათად ურტყამს კარში და იმჯობინებს სხვამ
გაიტანოს გოლი, ოღონდ კი გაიტანოს. სააშისოდ დიდი ისეთ კომ-

ბინაციებს ხლართავს მინდორზე, რომ მოწინააღმდეგე დაბრულადარბის ერთი მოთამაშიდან მეორისაკენ. მაგრამ თუ საჭიროა, დიდი ისეთი გოლების გატანაც იცის 20-30 მეტრის მანძილიდან როგორიც მან გაიტანა ნახევარფინალში საფრანგეთთან.

დიდი სწრაფად არ დარბის. იგი ნელა მოარაობს, როგორ-ლაც ახერხებს თავისუფლად დარჩენას, ბურთს ამჟამავებს რჩილად, წყარიად. მისგან უხეშობა წარმოუდგენელია — დიდი უაღრესად თავაზიანია მინ-დორზე.

დაცვითი ოპერაციების წარმოებისას დიდი ჩამო-დის საჯარიშო მოედანთან, აქ დებულობს ბურთს და აქადემიური სიმბოდით იწ-ყებს შის გათამაშებას.

დიდის განსაკუთრებით უყვარს ბურთის გადაცემა მარჯვენა ფრთაზე, გარინ-ჩიაკენ. ეს უკანასკნელი კი ნამდევილი ფენომენია. თუ გარინჩამ ბურთი მიიღო, ძნელად რომ მცველმა მო-ახერხოს მისი წარმეტა.

გარინჩა არასოდეს არ მიჩნის ცარილი. ადგილისაკენ. იგი ჯიქურ, წარმოუდგენელი სითამაშით (სხვა სიტუაცია რომ არ ვისმა-რო) მიდის პირდაპირ მცველისაკენ, თითქოს უნდა შეეჩეროს მას, მეტე თვალის დახახმაში უკეთებს რომელიმე ფინტს, რომე-ლიც მას მრავლადა აქვს არსენალში, და ელვასავით გადის კართან. მისთვის არავითარი შნიშვნელობა არა აქვს ერთი მცველი იქნება მის წინ, ორი, თუ სამი. ბრაზილიელთა მარჯვენა გარემარბის და-ქერი შეუძლებელია. შეიძლება ითქვას, რომ ესაა ერთადერთი უკებურთელი ბრაზილიის გუნდში, რომელაც 'ინდივიდუალურად თამაშობს, მაგრამ მას აქვს ამისი უფლება. გარინჩას ცალი ფეხი მეორეზე ოდნავ მოქლე პქონია და მაშინაც, როცა იკი უბურთოდ ფეხს, ისეთი შეხელულება აქვს, თითქოს რაღაც ფინტს აკოტებდეს.

როცა გარინჩა ბურთიანად მიჩნის, მცველი უკან იხევს, ხო-ლო ნახევარმცველი პარტნიორის მისაშეელებლად მორბის. გარინ-



დიდი ისევნებს. წინაა მძიმე, დაძაბულ მატჩი. საჭიროა სიმშევი, ნერვების დაწერარება.

ჩა თავის „ულუფა“ 2 კაცს, როგორც წესი, ატყუებს და აწილდებს ცენტრში თავისუფლად დარჩენილ ვავის ან პელეს. თუ ვავამ არ შეაგდო ბურთი, მას შეაგდებს პელე. თუ პელემ არ შეაგდო—შეაგდებს ვავა. ეს კანონია. თუ მცველებმა შეძლეს ბურთის მოგერიება, ბრაზილიისელები მას აწევდიან დიდის და მთელი ეს ამბავი ისევ თავიდან იწყება.

დიდისა და გარინჩას ყოფელ მოძრაობას თვალს არ აცილებს ცენტრალური თავდამსხმელი ვავა. იშვიათად, რომ ფეხბურთელს პეტონდეს ისეთი ორიცნტაციისა და მინდორზე შექმნილ ვითარებაზი გარევევის უნარი, როგორც ვავის აქეს. მას უბურთოდ, მხოლოდ აღვილის შერჩევაში შეუძლია მოწინააღმდევის მოტუება. ვავა განუწყვეტლივ მოძრაობს, ბევრს მუშაობს, ზედმიწევნით, დეტალურად აქეს შესწავლილი თავისი მეგობრების თამაშის ნიუანსები. ვავა შესანიშნავად თამაშობს თავით და შეუცდომლად ურტყამს კარში.



განეჭილ მსოფლიო ჩემპიონატში ბრუნინგულებ ითამაშა ბრაზილიურთა მარჯვენა გარემარბმა გარინჩაში.

გასაკვირი ალლოთი გრინობს არა მარტო თავისი პარტნიორების, არამედ მოწინააღმდევებეთა ჩანაფიქრსაც. შუა თამაშში პელე უცებ მოწყდება აღვილს და არც უყურებს ბურთის, ისე მირბის „სადღაც“. ვადა წამი და ამ „სადღაცაში“ ეშვება ბურთი, რომელსაც ეს ზანგი სურვილისამებრ იმორჩილებს თავით, ფეხით, მეტით, ბარძაყით და... ისე წარმოიდგინეთ ზურგითაც კი. პელეს ასოლუტურად არა აქეს შიშის გრძნობა და ყელაზე უხეშ მივიღოთაც კი პირისპირ თამაშობს, გარდა ამისა, მას უყვარს ყელაზე მწევავე და რისკიან გაგრძელებათა ამორჩევა. არ შეიძლება, რომ პელეს დააგვიანდეს შეტევაში, ან დააყონოს გოლის გატანა.

ზაგოლო, მარცხენა გარემარბი, არ გამოიჩინეა რაიმე თავისებური მონაცემებით, მაგრამ მას თამაშად შეგიძლიათ მიაწეროთ ჩველა ზემოჩამოთვლილ მოთამაშეთა თვისებები და მიიღებთ უმა-

ღლესი ქლასის მარცხენა გარეშემარბს, რომელსაც ბრაზილიელები ურაფრით ვერ ელევიან.

გუნდში შედარებით სუსტია მეკარე კილმარი, მაგრამ დაცვის წუნი არა აქვს. აქ გამოირჩევა ბელინი—ფიზიკურად ძლიერი, გაბედული, ტაქტიკურად უნაკლო მოთამაშე. იგი ისე დაეჯახება მოწინააღმდეგს და წააქცევს მას, რომ ჯარიმას არ მიიღებს. არ მიიღებს იმიტომ, რომ ბელინი ზუსტად იცავს ათლეტური ბრძოლის კანონებს. ორივე სანტოსი, ორლანდო, ზიტო, და სორდი თამაშობენ უკიდურესი ყურადღებით, ურთიერთდაზღვევით, სწრაფად. ისინი ყველაფერს აქტებენ იშისათვის, რომ მოწინააღმდეგს არ მოეცეს კარში დარტყმის საშუალება.



ბრაზილის გუნდის მცენები ერთდებიან კარიდან ბურთის ძლიერად მოვერიებას. ისინი ან შეეკრის აწერდან ბურთს, ან რბილად გადასცემენ წინ ან გვერდზე მდგარ მოთამაშეს, რათა იგი საბოლოოდ დიდისთან მოხვდეს. როცა ბურთი დიდისთანაა, გუნდი მაშინვე წყნარდება—იწყება შეტევა. ყოველი გატანილი ბერთის შემდეგ ბრაზილიელები გახარებული ეხვევიან და კოციან გოლის ავტორს.

ბრაზილის ნაკრების საოცარი უორეარდი, „შავ მარგალიტად“ უთადებული პელე. მას ტებბურთის გარდა უკარს მუსიკა და სმირად შერავს ჯას-ორკესტრში.

* * *

მეორე ფინალისტი—შეციის გუნდმა—ჩემზე ნაკლები შთაბეჭდილება დატოვა, თუმცა ემიგრირებულ ფესტურთელთა დაბრუნების შემდეგ შეედები გაცილებით გაძლიერდნენ და დიდის მონდოშებითა და ენერგიით თამაშობდნენ. ბეგმარი, ჰამრინი, ლიდჭოლმი, სიმონსონი, გუსტავსონი, გრენი მრავალ საერთაშორისო ტურნირში გამოცდილი მებრძოლები არიან, რომლებიც კარგად იცნობენ ყოველ მოწინააღმდეგს და იციან მათი სუსტი მხარეების გამოყენება. გარდა ამისა, შეედები თავიანთ ქვეყანაში თამაშობდნენ და მაყურებელთა უდიდესი ენთუზიაზმი მნიშვნელოვან ფაქტორს წარმოადგენდა მათს წარმატებაში.

მე ძლიერ მომეწონა საფრანგეთის გუნდი. განსაკუთრებით თავდასხმა. ფეხბურთის ნამდვილი პროფესორია რაიმონ კოპა, რომელიც მელიც უდიდესი ხელოვნებით წარმართავს თავისი გუნდის მიერთო თქერაციებს. შესანიშნავია ფრანგების მთავარი „ბომბარდირი“ ეიუსტ ფონტენი. იგი დაუღალვად მუშაობს მინდობრზე, სულს უწუხებს მოწინააღმდეგებს და თუ მცველებს წამით მაინც დარჩათ ლია აღვილი კარისაკენ—ფონტენი მათ ამას არ აპატიებს. მას საშინელი ძალის დარტყმა აქვს.

ის ისეთი შთაბეჭდილება დამტანია მსოფლიო პირველობის პრიზიორებზე. რაც შეეხება ჩვენს გუნდს, ეს უკვე ცალკე თემაა, მე მისი თამაში შეეცაში არ მინახავს, ამდენად, ჩემთვის ძნელია ჩატარებული მატრიცების ანალიზირება, მაგრამ ერთი ცხადია, უკელა-ზე ძნელ ქვეჯგუფში ზედიშედ ჩატარებულმა თამაშებმა თითქმის ერთოდაიგვე შემაღებენლობით გუნდი დალალა და დაუქვეითა ბრძოლისუნარიანობა. მაგრამ ისეთ ტურნირში, როგორც მსოფლიო პირველობაა, არ შეიძლება 11-13 კაცის შემაღებენლობით თამაში. გუნდს უნდა ჰყავდეს სრულფასოვანი რეზერვი და ისიც დიდი რაოდენობით, როგორც ეს, მაგალითად ბრაზილიას პუადა. უამისოდ შეუძლებელია წარმატებაზე ფიქრიც კი.

საბჭოთა კავშირის ნაკრების თამაში მე ენახე 18 მაისს მოსკოვში ინგლისის გუნდის წინააღმდეგ. რა დასამალია, გუნდმა მაშინ არ დატოვა კარგი შთაბეჭდილება და ინგარიში 1:1 სრულიადაც არ ისახავდა ძალთა ნამდვილ შეფარდებას მინდობრზე. უდავოა, მას შემდეგ გუნდში ბევრი რამ გაკეთდა და, მიუხედავად მოედი რიგი ცვლილებებისა ძირითად შემაღებენლობაში, საბჭოთა ფეხბურთელებმა შეძლეს მეოთხედფინალში გასელი ისეთი ძლიერი ქვეჯგუფიდან, როგორიც მეოთხე იყო. მოგება აესტრიის ძლიერ გუნდთან, საპატიო დამარცხება ბრაზილიელებთან, ერთი ფრე (ისიც უსამართლო პენალტის წყალობით) ინგლისელებთან და ერთიც გამარჯვება, ეს არც ისე ითლი საქმეა.

ეს სრულიადაც არ ნიშნავს, რომ საბჭოთა გუნდის გამოსელა განელილ ჩემპიონატში დამაქმაყოფილებელი იყო. არა. ჩემი ქვეყნის სპორტულ სახოვალოებრიობას სრული უფლება აქვს მოთხოვოს თავის საუკეთესო ფეხბურთელებს გაცილებით უკეთესი თამაში და უფრო მაღალი მაჩენებლები.

უპირველეს ყოვლისა, მოთამაშეთა შესახებ, ჩემ ახლა არა გვიას ბრწყინვალე, ექსტრა-კლასის ფეხბურთელები, უამისოდ კი ისეთი მასშტაბისა და სიძლიერის ტურნირებში გამარჯვება წარმოუდგენელია. 11 მოთამაშის „საშუალო დონე“ საქმეს არ შეელის,

რაც არ უნდა თავგამოლებით იმუშაონ მათ მინდორზე. რომ ა
ეილაპარაკოთ ბრაზილიის გუნდის შესანიშნავ ანსამბლზე, ასეთი მოთამაშები ჰყავს ყველა გუნდს, რომელიც კი რაიმე რეალურ ძალას წარმოადგენს ფეხბურთის ასპარეზზე (ჩვენს გუნდში გამონაკლის წარმოადგენ შეკარე იაშინი და ნახევარმცველი ვოინოვი).

XV ოლიმპიური თამაშების შემდეგ, სადაც ჩვენი გუნდის გამოსვლა წარმატებით დამთავრდა, ბევრს მიაწინდა, რომ ცალკეულ უძლიერეს მოთამაშეთაგან ნაკრების შედგენა არაა ხელსაყრელი და უფრო მიზანშეწონილია ნაკრების შექმნა ერთი რომელიმე კლუბის ბაზაზე.

შვეციის ტურნირმა კი ცხადქყო, რომ მთავარია ფეხბურთელი ტექნიკური იყოს მაღალხარისხოვანი და მათი შეთამაშება ყოველთვის შესაძლებელია. მოთამაშის ტაქტიკური დახელოვნება უნდა ხდებოდეს არა ნაკრები გუნდის საწერონელ შექრებებზე. არამედ კლუბებში. ბრაზილიაში, მაგალითად, ეროვნული ჩემპიონატი სრულიადაც არ ტარდება და ყოველი შტატი თვითონ ატარებს პირველობას. და ის იმ ქვეყნის მრავალი კლუბიდან შეკრიბეს ე.წ. „ვარსკელავები“, რომლებსაც სრულიადაც არ გასჭირებიათ იმიტომ, რომ მათი ტექნიკა უნაკლოა, ხოლო ტაქტიკურ განათლებას ისინი თვითი კლუბებში საქმიანისად იძენენ. კიდევ მეტიც, შვეციებს გუნდში ჰყავდათ ფეხბურთელები, რომლებიც წლების განმავლობაში სხვა ქვეყნებში თამაშობენ და იმას მათთვის სრულიადაც არ შეუმლია ხელი მეორე აღვილის აღებაში.

მთავარია მოთამაშეთა ინდივიდუალური ტექნიკა. ჩენები იმის შესახებ ბევრს ლაპარაკობენ, მაგრამ ლაპარაკი გაცილებით მეტია, ვიდრე საქმე. ტექნიკის ათვისება უნდა ხდებოდეს არა 17-18 წლის ასაკში, არამედ გაცილებით, გაცილებით ადრე, 8-10 წლის ასაკში. რასაკეირველია, 8 წლის ბავშვებს არავინ დაუწყებს ტექნიკური ილეტების სწავლებას, მაგრამ იგი თვით უნდა იკეთებდეს იმას ეზოში. შინდორიზე, ყოველ მოხერხებულ აღვილის. ისე იწყებენ თამაშს ბრაზილიის პლატფორმზე და მინდვრებზე ათეულ ათასობით ბავშვები. შემდგომში, უკვ 17-20 წლის ასაკში ჰყავთ ისეთი კორიფეული, როგორიცაა, ვთქვათ, ბელე ან გარიბია.

მაგალითისათვის მოვიყვან ბრაზილიის გუნდის შინის თვის საწერონელ გრაფიკს. 1. ერთობლივი წერთნა. 2. დასევება. 3. ინდივიდუალური წერთნა. 4. მატჩი პარაგვაისთან რიო-დე-ჯანეიროში. 5. გამგზავრება სან-პაულუში. 6. ინდივიდუალური წერთნა. 7. მატჩი პარაგვაისთან. 8. დასვენება. 9-10. ინდივიდუალური წერთნა. 11. ერთობლივი წერთნა. 12-13. ინდივიდუალური წერთნა.

14. შატჩი ბულგარეთის გუნდთან სან-პაულუში. 15. დაბრუნება / რიო-დე-ჟანეიროში. 16-17. ინდივიდუალური წვრთნა. 18. შატჩი ბულგარეთის გუნდთან. 19. დასვენება. 20. ინდივიდუალური წვრთნა. 21. გაფრენა ექტოპაში. აი რაოდენ დიდ ყურადღებას აქცევენ ბრაზილიელები ინდივიდუალურ წვრთნას და ეს მაშინ, როცა ტექნიკაში მათ იოტისოდენა ხარევზიც კი არა აქვთ.

ე. ი. ტექნიკის ათვისებაზე მუშაობა საქიროა ბავშვობიდან, ხოლო შემდეგში, ორგანიზმის ზრდასთან ერთად უნდა ხდებოდეს მისი განმტკიცება. ჩეენში კი ხშირად ისე ხდება, რომ ფეხბურთელი „ა“ კლასის ოსტატებში თამაშობს, მწვრთნელს კი მასთან მუშაობა უძლება ტექნიკის ანბანურ ელემენტებზე.

კიდევ ერთი სერიოზული შეცდომა: ცნობილია, რომ ყოველ ბავშვს, რომელიც ფეხბურთს თამაშობს, აქვს რაღაც - თავისებურება. სეუცისურობა, რომლითაც იგი გამოიჩინევა ტოლებასაგან. სწორედ ამითაა იგი ძლიერი და აი, როცა ეს ჭაბუკი ფეხბურთელი მიღის საკლუბო გუნდში, მწვრთნელი მასთან მუშაობას იწყებს საერთო ვეგმით, ყურადღებას არ აქცევს მის ინდივიდუალუბას და ამის შედევგად ყველანი თამაშობენ ერთნაირად, სტანდარტულად, ზაბლონის მიხედვით. აქედანაა სწორედ ის „საშუალო დონე“, რომელზეც ზევით ვილაპარაკეთ.

ნორჩ ფეხბურთელს საშუალება უნდა მიეცეს ივარჯიშოს ისე, როგორც ის ბავშვობიდანაა მიწვეული (საქიროა შხოლოდ სწორი გენის მიცემა), მან უნდა გამოიჩინოს მეტი ინიციატივა, მეტი შემოქმედება და სითამამე. ჩეენში კი ახალგაზრდა ფეხბურთელებს თავიდანვე აჩვევენ ქულებისათვის თამაშს, სქემატიზმსა და წინასწირ შემზადებული „რეცეპტის“ მკაფრად შესრულებას.

ყოველი ახალი მწვრთნელი ფეხბურთელისაგან მოითხოვს ითავმოს ისე, როგორც მას სურს, და თუ ჭაბუკმა გამოიცვალა რემდენიმე მწვრთნელი, მას საკუთარი იაღიათერი რჩება. ეს უკვე ნამდეილი „საშუალოა“. დღესდღეობით კი საშუალო უკვე ცუდსა ნიშნავს.

მწვრთნელების მიერ მთელი რიგი შეცდომები იქნა დაშეცემული გუნდის დაკომპლექტებისა და მომზადების, აგრეთვე თვით მატჩების მსვლელობის პროცესში.

მაგრამ სწორი არ იქნებოდა ხელალებით და ერთის მოქნევით გვეთქვა: ჩეენი ფეხბურთი არ ვარგა იმიტომ, რომ მსოფლიო პირელობაზე წავაგეთ მეოთხედოინალში. საბჭოთა ფეხბურთი წინ მიღის, პროგრესის გზაზეა. ამის დასამტკიცებლად შეიძლება გავიხსენოთ ჩინებულად ჩატარებული საერთაშორისო მატჩები შვეციის,

უნგრეთის, გერმანიის ფედერაციული ოესპუბლიკის, საფრანგეთის ნაკრებ გუნდებთან, საქლუბო გუნდების გამარჯვებები, ოლიმპიადის ური ოქტოხ მედლები 1956 წლის თამაშებში და ა. შ. მაგრამ წარმატებებმა თავბრუ არ უნდა დაგვახიოს, საჭიროა შეცდომათა გამოსწორება, წარუმატებლობათა სერიოზული ანალიზი, დაულა-ლავი მუშაობა ტექნიკური ჩამორჩენის სრული ლიკვიდაციისა-თვის.

საჭიროა შემოქმედებითად ავითვისოთ და გაღმოვილოთ ჟველა-ფერი ის დადებითი, რაც მსოფლიო პირველობაზე იქნა დემონ-სტრირებული, კიდევ უფრო წინ წავწიოთ ჩვენი სამშელო ფეხ-ბურთი, რომელსაც შესანიშნავი საწყისები და ტრადიციები გა-აჩნია. როცა ზევით ლაპარაკი გვექონდა ჩვენში ექსტრა-კლასის ფეხ-ბურთელთა „დეფიციტის“ შესახებ, არ უნდა დავივიწყოთ, რომ ასეთი ვარსკევლავები გვყავდა. გ. ფედოტოვი, ვ. ბობროვი, ნ. დე-მენტიევი, ა. პონომარიოვი, ვ. ტროფიმოვი, ვ. ნიკოლაევი, ლ. სო-ლოვიოვი, მ. სემიჩასტნი და სხვანი სწორედ ასეთ ფეხბურთელებს წარმოადგენდნენ. ჩვენ კიდევ უნდა იღვზარდოთ ასალი ფედოტო-ვები.

მსოფლიო პირველობის გაკვეთილები დეტალურად უნდა იქნას შესწავლილი. არც ერთი წუთით არ უნდა დავივიწყოთ, რომ წი-ნაა ევროპის პირველობა, წინაა დიდი შეჯიბრებები, საღაც საბჭოთა ფეხბურთელებმა კვლავ უნდა აჩვენონ თავიანთი ნა-მდვილი სახე.

ნ ა რ ე ვ ი

ჯენტლმენური ხიტყვა

რაშდენიმე შეეღმა ფეხბურთელმა ჯერ კიდევ ფინალური თა-
მაშების დაწყებამდე ოფიციალურად განაცხადა, რომ თუ შეეცის
ნაკრები ფინალში გავიდოდა, ისინი სამართებლით გადაიპარსავდ-
ნენ თმას.

შეეღმა მართლაც გავიდნენ ფინალში და როგორც ეს ჭეშ-
მარტო ჯენტლმენებს შეეფერება, ფეხბურთელებმა პატიონსნად შეას-
რულეს სიტყვა: გაზეთებში მოთავსებული იყო ეკება სურათები,
სადაც ელეგანტურად ჩატული ულამაზესი ქალები თმას პარსავდ-
ნენ მხიარულად მომლიმარ ფეხბურთელებს.

ფინალში ისინი ხოტორა თავებით თამაშობდნენ.

მსოფლიოს ნაკრები

VI მსოფლიო ჩემპიონატის დამთავრების შემდეგ სპეციალის-
ტთა მიერ შედგენილ იქნა ე. წ. „ჩევენი პლანეტის ნაკრები“, რომ-
ლის შემადგენლობაში შევიდნენ: შეკარე—ძარი გრეგი (ჩრ. ირლან-
დია); შეველები—ორეარ ბეგმარჯი (შეეცია), ბენგტ გუსტავსონი
(შეეცია), ნილტონ სანტოსი (ბრაზილია); ნახევარშეცველები—იური
ვოინოვი (სსრ კავშირი), ჰორსტ შიმანიაჟი (გფრ); თავდამსხმელე-
ბი—შანოელ ფრანცისკო დოს სანტოსი—„გარიბიში“ (ბრაზილია),
ვალდირ პერეირა—„დიდი“ (ბრაზილია), რაიმონ ქოპა (საფრანგე-
თი), ევალდო ილევს სანტა-როსა—„პელე“ (ბრაზილია), ლენარტ
სკოგლუნდი (შეეცია).

ხიტყვა – ხიტყვა

პარიზის ცენტრში დგას ლამაზი საშიართულიანი შენობა, რო-
მელსაც აწერია „ბ-ნ ლორიოს მოდების ატელიე.“

მსოფლიო პირველობის დაწყების წინ ატელიემ ოფიციალუ-
რად გამოაცხადა, რომ თუ საფრანგეთის გუნდი მოიპოვებს ჩემ-
128

პიონირების, ბ-ნი დორიო ნაკრების წევრების შეულლებს ან საცოლეებს საკუთარ ხარჯზე საგანგებოდ შეუკერავს ძვირფას კაბებს.
როგორც ცნობილია, საფრანგეთის ფეხბურთელებმა ჩემპიონატი დატში დაიკავეს მხოლოდ მესამე ადგილი, მაგრამ ფირმამ არ გირება სიტყვა. ბ-ნმა დორიომ გუნდის სახელზე დეპეშა გაგზავნა სტუკტოლმით: „მოგილოცავთ საპრიზო ადგილს. ქალბატონებს შეუძლიათ მობრძანდნენ კაბების მოსაზომებლად.“

ზეიმი ბრაზილიაში

ბრაზილიელ ფეხბურთელთა ეროვნული ნაკრების სამშობლოში ჩამოსელის დღე—2 ივნისი პრეზიდენტმა კუბიჩექმა არასამუშაო დღედ გამოიცხადა. თვითმფრინავებს, რომლითაც მოემგზავრებოდნენ ჩემპიონები, მოყვებოდა საპატიო ესკორტი—15 რეაქტიული გამანადგურებელი.

ეროვნულმიდან რიო-დე-ჟანეიროში შესელა შეუძლებელი აღმოჩნდა: ოცეილომეტრიანი გზატკეცილი გამედილი იყო ათიათასობით გულშემატკიცარით და ქალაქის მეტი იძულებული შეიქნა ეშორნა შეეულმფრენი, რათა მოესწრო ეროვნულმა მისელა.

თვითმფრინავებინან გადმოსულ ფეხბურთელებს არ აცდიდნენ ვანქანებში ჩასხდომის და ხელით მიძყადათ ქალაქისაკენ. ამის გამო მოედი ეს სახეიმო მსელელობა 4 საათზე მეტს გაგრძელდა. სალამის პრეზიდენტის სასახლეში უნახავი ზეიმი მოეწყო. ქალაქის ქუჩები, მოედნები, პარკები სადღესასწაულოდ იყო მორთული, ფეიერვერკი დილამდე ანათებდა არებარეს, არც ერთი სახლის კარი არ დაკეტილი მოელი ღამის განმავლობაში.

ბრაზილიელთა ეროვნული ზეიმი 15 დღეს გაგრძელდა.

სიხარულის მსხვერპლი

პირველობის ფინალური მატჩის დღეს რიო-დე-ჟანეიროში მოქალაქე იქნა 6 კაცი.

ტაქსის მძლოლს ადოლფო გონსალესს ხელში შემოაკედა მოკამათე, რომელმაც ეჭვი გამოთქვა ბრაზილიის გუნდის გამარჯვებაზე. პოსტზე მდგარი პოლიციელი მოკლა თავდავიწყებიმდე მისულმა გულშემატკიცარმა შეედების მიერ გატანილი პირველი გოლის შემდეგ. დანარჩენები გასრისა ბრძომ, რომელიც რეპორტაჟს უსმენდა ქალაქის ქუჩებში.

ნილტონ სანტოსის სანაძლევ



თინალური თამაშების მეორე წრის შემდეგ სტოკოლმში ტურნირის დასრულებულების სტუდიაში გამოვიდა ბრაზილიელთა მცველი ნილტონ სანტოსი. მან გამოიტქვა რწმენა, რომ ბრაზილიის ნაკრები აუცილებლად გავა ფინალში. რეპორტიორმა, რომელიც გადაცემას აწარმოებდა, აქვე დაუდო ნ. სანტოსს ასეთი სანაძლევ: თუ მისი სიტყვა გამართლდებოდა, რეპორტიორი იხდიდა 5 ძროხას და 12 ცხვარს, თუ არა და—ბრაზილიელს გაუპარსავად უნდა ეცლო სამი წელი.

სანაძლევ მოიგო სანტოსმა.

ძვირფასი ფეხბი

შემოფლიო ჩემპიონატის ერთ-ერთ გმირს ჭარმიალენდა 23 წლის „იტალიელი შეედი“ კურტ პამრინი. მის აღტაცებაში მოჰყავდა მაყურებელი თავისი ლამაზი, მსუბუქი და, რაც მთავარია, გაბედული თამაშით. კ. პამრინი არ ერიდებოდა ისეთ ბრძოლაში შეტრას, სადაც სულ ადვილად შეიძლებოდა ტრაემის მიღება.

ყველაფერი ეს პირველ ყოვლისა კ. პამრინის პატრიოტიზმით აისწერა. მაგრამ გარდა იმისა, მას ჩემპიონატის წინ თურმე ფეხბი დაუზღვევია ცნობილ ინგლისურ საზოგადოებაში „ლოიდი და კომ. პანია“, ასე, რომ ტრაემა ფეხბურთელისათვის აღარ იყო საშიში. საინტერესოა აღინიშნოს, რომ კ. პამრინის ფეხბი გაცილებით უფრო დიდ ფასად იქნა შეფასებული, ვიდრე ამერიკელი კინოკარ-სკელავის მარლენ მონროსი, რომლის ფეხები ქალის ფეხების იდე-ალადაა აღიარებული.

* * *

ჩემპიონატის ყველაზე სიციერი მოთამაშე იყო არგენტინელი ლაბრუნა (42 წელი); ყველაზე ახალგაზრდა — ბრაზილიელი „შავი ბრილიანტი“ — პელე (17 წელი).

* * *

ერთ რიმეს ოქროს თასზე უკეთ ამოკეთილია 6 ჩემპიონის სახელი: ურუგვაი, იტალია, იტალია, ურუგვაი, გთრ, ბრაზილია და აღარ რჩებოდა ადგილი 1962 წლის ჩემპიონისათვის. ამიტომ თასს გაუკეთეს ახალი სადგამი, სადაც შეიძლება ჩემპიონის სახელების ამოკეთა 1990 წლამდე.

მ ი ნ ა ჩ ა ს ი

პ. ქ რ ქ ი ა	
მსოფლიო პირველობა ფეხბურთში	3
თამაში, რომელიც ჯველის უფარს	5
ურუგვაი, 1930 წელი	12
იტალია, 1934 წელი	17
საფრანგეთი, 1938 წელი	21
ბრაზილია, 1950 წელი	24
შეეციცარია, 1954 წელი	27
შვეცია, 1958 წელი	34
ევროპა	36
სამხრეთ ამერიკა	53
ცენტრალური და ჩრდილოეთი ამერიკა .	56
აზია, აფრიკა	58
დიდი ტურნირის წინ	62
რას ამბობდნენ მწერთნელები	65
16 ფინალისტი	67
ბრძოლა ფინალში	
არგენტინა „თამაშებარე“ მდგომარეობაში. I ჯურუა	86
ერთულნობიანი ტურნირი, II ჯგუფი	90
„უკეირგენიო ჩემპიონის“ მარკი. III ჯგუფი	92
ტიტანთა ბრძოლა, IV ჯგუფი	94
დალლილობა, დალლილობა... მეოსმედეინალი	98
მწვანე ქუჩა ბრაზილიელებს (ნახევარფუნალი)	100
„ოქტომის ქალღმერთი—ფეხბურთის ღმერთებს“ (ფინალი)	102
პ. წ ა ი წ ა ძ ე (სპორტის დამსახურებული ისტატი)	
რა ცნახე შეეციანი	107
ნარევი	128

Борис Соломонович Пайчадзе

Бичкин Родионович Корнил

БОРЬБА ЗА ЗОЛОТУЮ БОГИНИЮ

(На грузинском языке)

Художник М. Бердзенишивили

Детиздат Грузинской ССР

„Накадули“

Тбилиси

1960

* * *

რედაქტორი ვ. ფარახველიძე

მხატვარი მ. ბერძენიშვილი

მხატვ. რედაქტორი გ. დიკი

ტექნიკური რედაქტორი შ. ღოლობერიძე

კორექტორი მ. მოცრალაშვილი

* * *

გადაეცა წარმოებას 9/XII-59 წ. ხელმოწერილია და-
საბეჭდად 10/III-60 წ. ანუყობის ზომა 6×10 . ქა-
რალის ზომა $60 \times 92\frac{1}{2}$. ნაბეჭდი თაბაზი 8,25.

საღრიცხვო-საგამომცემლო თაბაზი 6,72.
უმ 00163. შეკ № 1551. ტირ. 15,000.

ფასი 3 მან.

საჭ. კპ „ცე-ის გამომცემლობის პოლიგრაფიული კომუნისტი“,
თბილისი, ლენინის ქ. № 14.

Полиграфкомбинат „Коммунисти“ издательства ЦК КП Грузии,
Тбилиси, ул. Ленина № 14.



378/164

36105748
36105748

